ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 სექტემბერი 1999 №171 (944) ფასი 50 თეთრი


**3** ერიდეთ პახარსს!

ლატვიელთა პრემიერლიგელი თბილისში მოგებითაც იმუქრება

**4** საბედისწერო გოლის გამტანი

კიდევ გვაქვს შანსი, თვლის ანდრეი შტოლცერსი

**5** ტორპედო: ფორს-მაჟორი

თამაში არ გადაიდება, აეკ-ს ქუთაისში ვუმასპინძლებთ — ამბობს მიხეილ ქორქია

**6** დიდი ევროსანაკრებო დღეები გრძელდება

დღეს, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის კიდევ ხუთი ფინალისტი გაირკვეს

**12** ისევ ცრემლები!

US OPEN

ჯენიფერ კაპრიატიმ აშშ-ის ღია პირველობა ატირებულმა დატოვა

**13** რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ნანა ალექსანდრია

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IX ტური

## საქართველო 4:2 ლატვია

8 სექტემბერი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

# წაუგებელი მოგებამ გააგრძელა

ხურცილავას მისვლის მერე კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა სამმატჩიანი წაუგებელი სერია გუშინ ლატვიასთან მოგებით გააგრძელა

იხილეთ მეორე გვერდი



ვადიმს სინიცინსს ცარიელი კარიდან გიორგი იმედაძის დარტყმული ბურთი გამოაქვს

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IX ტური

## საქართველო — ლატვია

8 სექტემბერი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

# აბა ყვავებს ვინ დაიჭერს, გარი...

*ეროვნულ სტადიონზე ლატვიელთა ვარჯიშამდე კარგა ხნით ადრე მისულს, მინდორი რომ გეხილათ, ერთი იმერული სიმღერა გაგახსენდებოდათ — ოცდახუთი ჭუკი მყავდაო — ამ სიტყვებით რომ იწყება. ჭუკების რა მოგახსენოთ და „პაიჭაძის" ხავერდივით მინდორი ყვავებს კი აევსოთ. კარგა ოცამდე იქნებოდნენ, აქედან უმეტესობა ზუსტად იმგვარად იდგა მინდორზე, მატჩისას ქართველ ფეხბურთელებს რომ სჩვევიათ და ორი კი ისე ურტყამდა წრეებს ჩვენს საამაყო სტადიონს, ფრანსუა დე იონგის განწრთნილი გეგონებოდათ.*

*სიმღერით დავიწყეთ და სიმღერითაც გავაგრძელებთ — ხომ გახსოვთ, ბესიკ კალანდაძე და მისი „გაზაფხულივით მოგეპარე"? მართლა გაზაფხულივით მოიპარა ლატვიის ნაკრები და თვალის დახამხამებაში მრავლისმნახველ ქართულ მინდორს გადაერია. ბურთებით, „ფიშკებით", პატარ-პატარა ალმებით და სხვა საჭირო ალჭურვილობით. ფეხბურთელებს თან ორიოდ დელეგაციის ხელმძღვანელი ახლდა, რომლებიც ზუსტად იგივე ფუნქციას ასრულებენ ლატვიის ნაკრებში, რასაც გია გეგუჩაძე საქართველოსაში — თარგმნის ინგლისელი გარი ჯოუნს-ჯონსონის ნათქვამს.*

იხილეთ მეოთხე გვერდი

# გაფრენას ნუ იჩქარებთ

თბილისი
7 სექტემბერი
17 საათი
შევარდენი
2 000 (ტევადობა 3 000)

## საქართველო 4:2 ლატვია

ახალგაზრდული ნაკრები

1:0 ხიზანიშვილი (23), 2:0 შენგელია (30), 2:1 დობრეცოვსი (39 პ), 3:1, 4:1 ალექსიძე (55, 69), 4:2 სოლონიცინსი (86)
**საქართველო:** ლომაია, რუხაძე (ბურდული 46), ხიზანეიშვილი, საჯაია, ქემოკლიძე, სახვაძე, ხიზანიშვილი, ალექსიძე, შაშიაშვილი (გველესიანი 46), იმედაძე, შენგელია (გაგუა 66)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; შავგულიძე, ბაქრაძე, ჩაჩუა
**ლატვია:** პავლოვსი, კვაჩინსი, გარნიერსი (ბორუნსი 41), ზირნისი, ლიდაკსი, სინიცინსი, რინკუსი, სოლონიცინსი, კოლესნიჩენკო (მოროზსი 46), დობრეცოვსი, ბეზზუბოვსი
**სათადარიგონი:** ვანინსი; პაჩინსი, ნალივაიკო, ოლოვაისკისი, ადამოვიჩსი
**გაფრთხილება:** შაშიაშვილი (32), ქემოკლიძე (34), ლომაია (38)
**მსაჯები:** ა. ბუტენკო; მ. ხოდირევი, ა. ლუკაშინი; ს. ფრანცუზოვი (ყველა რუსეთი)
**უეფას დელეგატი:** მ. ნაგი (უნგრეთი)


დუბლის გამტანი რატი ალექსიძე ლატვიელ მცველებს ხშირ-ხშირად უსხლტებოდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

**მამუკა ძვანტალიანი**

მოვუგეთ ლატვიას და საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, განახლების მერე, დაუმარცხებელი სერია ოთხამდე აიყვანა.

ისე, ლატვიელ ახალგაზრდათა დამარცხება საქართველოს ახალგაზრდულ გუნდს აქტივში ვერაფრით ჩაეთვლება. ძალიან სუსტი გამოდგა მეტოქე და იმანაც ორი გოლი გაგვიტანა. არა, სამუშაო და სასწავლი ჯერაც აურაცხელია. ასეთი დარდიმანდობით „ვერ გავფრინდებით", აღმასვლას ვერ შევძლებთ.

მეტოქეს, რა სუსტიც არ უნდა შეგხვდეს, დაფასება უნდა. ცხვირაწეული არ უნდა შეხვდე. ჯერ საქმე უნდა გააკეთო და ჯამბაზობისთვის მერე უნდა მოიცალო.

არაერთი ნაკლი შევნიშნეთ გუშინ ჩვენი ახალგაზრდების თამაშში. მურთაზ ხურცილავას ხელმძღვანელობით ჩატარებული სხვა მატჩები უფრო შთამბეჭდავი იყო.

დავიწყოთ მეკარით. გიორგი ლომაიაზე უარყოფითად უმოქმედია სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლებას. კლუბში უთამაშებლობა, აი, ჩავარდნის მიზეზი.

დაცვა ვერ იყო მთლად დალაგებული. განსაკუთრებით დაცვის ფლანგებზე გვიჭირდა. თორნიკე რუხაძე და არჩილ სახვაძე ჯერ იმ დონეზე ვერ იმყოფებიან, მათ ფლანგების კონტროლი რომ მოსთხოვო. ვერც შაშიაშვილი და ქემოკლიძე გამოიყურებოდნენ ჩვეულად. შეცდომაც არაერთი დაუშვეს.

ხულიგნობის რამდენიმე ელემენტიც ერია ჩვენების თამაშში და ბუტენკოს უნდა ვუმადლოდეთ, ერთი-ორი ქართველი ვადაზე ადრე რომ არ მიაბრძანა მოედნიდან.

სუსტი ნახევარდაცვა ისევ გამთამაშებლის გარეშე ვიხილეთ. არც შენგელია და არც ხიზანიშვილი გამთამაშებლები არ არიან. მათი გამოყენება სხვა ამპლუაში უფრო უპრიანი იქნებოდა.

თავდასხმაში გიორგი იმედაძეს რატი ალექსიძე ეშველებოდა. იმედაძემ ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა, მაგრამ მეტი გამძლეობა და სისხარტეც არ აწყენდა ამ მართლაც ნიჭიერ ახალგაზრდას.

რატი ალექსიძეს კარგად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ადგილი თავდასხმაშია და ფლანგზე სირბილი მის თამაშს სიმწვავეს აკლებს.

შეცვლაზე შემოსულები — ბურდული, გველესიანი და გაგუა თამაშში სათანადოდ ვერ ჩაერთვნენ, თუმცა ძალიანაც არაფერი გაუფუჭებიათ.

ლატვიას მაინც მოვუგეთ. აქედან გამომდინარე, გამარჯვებულებს არ უნდა ვასამართლებდეთ, მაგრამ ლატვიით არ მთავრდება ყველაფერი. წინ ალბანეთი, მერე კი ახალი შესარჩევი ციკლია. ხურცილავა ხომ სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ამზადებს გუნდს.

ახლა ორიოდ სიტყვა უშუალოდ თამაშზეც ვთქვათ. საწყისი 15 წუთის განმავლობაში სულ ორჯერ გადმოაგდეს ქართველებმა ბურთი მეტოქის ნახევარზე. ისიც ერთხელ მეკარის დარტყმული გახლდათ. აქედანვე შეეტყოთ ჩვენებს, მეტოქეს გაბლენძილები რომ დაუხვდნენ.

პირველი ხიფათი მე-16 წუთზე შევქმენით. იმედაძის ზუსტად, მაგრამ სუსტად დარტყმული მცველმა გამოიტანა კარიდან.

ორ წუთში ხიზანიშვილის თავური აილო პავლოვსმა და ამის მერე ბურთი არ მოუგერიებია. ძალიან სუსტად ჩაატარა მატჩი სტუმართა მეკარემ. მორიგი კუთხური სტუმართა კართან. ბურთი საჯარიმოში შენგელიამ ჩააწოდა, მეკარე გამოსვლაზე შეცდა, ბურთს ასცდა. ხიზანიშვილმა კი თავური დაარტყა. ბურთი ჰაერში აიჭრა და კარისკენ წავიდა. იქ მის მოსაპოვებლად მცველი და ხიზანეიშვილი შეიბნენ. ბურთი ორივეს ასცდა, მიწაზე დაეცა და კარში შევარდა.

სულ მალე შენგელიამ ანგარიშში სხვაობა გაზარდა. გიორგიმ მისი მისამართით გადმოგდებული ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა. ჭიდილში ორ მცველს აჯობა და მეკარესთან ერთი ერთზე დარჩენილმა პავლოვსს ბურთი ფეხებში გაუძვრინა.

თითქოს ჩვენებმა თამაში ააწყვეს, ალექსიძემ ძელს სიმყარე შეუმოწმა, იმედაძემ სახიფათოდ დაარტყა და ლატვიაც განადგურდებაო, ბევრმა იფიქრა, მაგრამ სრულიად მარტივ სიტუაციაში ლომაიამ და შაშიაშვილმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. ერთმანეთის იმედად დარჩენილებს შუაში დობრეცოვსი ჩაუხტა, თავით ბურთი გაიგდო და ლომაიამაც აკრძალული ხერხით შეაჩერა.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ბუტენკო, როცა ჩვენს მეკარეს ყვითელი ბარათი აკმარა, მაგრამ რომ გაეძევებინა, ვერავინ ეტყოდა საყვედურს. წესით ასეც უნდა მოქცეულიყო, მაგრამ შეგვინდო.

დობრეცოვსმა კი სხვაობა შეამცირა. მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა ერთხელაც დახუჭა თვალები ჩვენს სასარგებლოდ, როცა საჯარიმოში მცველებმა იგივე დობრეცოვესი მოცელეს. მაშ, რა გამოდის, ჩვენიანი ყოფილა ბუტენკო.

მერე ალექსიძემ იფეთქა. ორი თავური და ორი გოლი განწირული პავლოვსის კარში. რატიმ ჯერ შენგელიას ჩაწოდებული კუთხურისას ივარგა. მცველზე მაღლა ამხტარმა თავი შეაგება ბურთს და მეკარეც ტყუილად გადახტა დარტყმულის მოსაგერიებლად. მეორედ მოედნის სიღრმიდან ჩაწოდებულს შეურჩია ზუსტად ადგილი. თავით თავზე გადაატარა ბურთი წინ გამოსულ მეკარეს.

ამის მერე ლატვიელები ვითომ გვიტევდნენ, მაგრამ მათი საშემსრულებლო დონე არაფრად ვარგოდა. გოლი კი ისევ დაცვის, უფრო სწორად, იმ ცოცხალი კედლის სინდისზე იყოს, ლომაიამ 86-ე წუთზე რომ დააყენა. სოლონიცინსის დარტყმულმა ბურთმა კედელს გაუარა, ლომაიამ კი რეაქცია ვერ მოასწრო.

ბოლოს ერთზეც ვთქვათ, საქართველოში, უკვე მერამდენედ, ჩამოსულმა ანდრეი ბუტენკომაც თავისებური ნავსი გატეხა. აქამდე ქართველებს მისი ნამსაჯი არც ერთი მატჩი არ მოეგოთ, გუშინ კი მანაც მოინდომა და უსიამოვნო ტრადიციასაც ბოლო მოელო.

კიდევ „შევარდენის" სტადიონზე, სადაც ძალიან მასშტაბური რემონტი მიმდინარეობს და იქაურ ხელმძღვანელებს ბევრის გაკეთებაც მოუსწრიათ, ტაბლო მუშაობდა. შელანძღული კია ის საცოდავი, მაგრამ მაინც იმუშავა. ალბათ, ზუსტად ვერავინ გაიხსენებს ბოლოს როდის აინთო ის ტაბლო. რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ. ესეც, ალბათ, კარგის ნიშანია.


გიორგი შენგელიამ (№11) სლოვენიელებსაც გაუტანა და ლატვიელებსაც

ბადრი კეთილაძის ფოტო

### II ჯგუფი

**ნორვეგია 3:0 სლოვენია**

1:0 პელსტადი (15), 2:0 პოსეტი (66), 3:0 რიისე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 7 | 1 | 1 | 20:6 | 22 |
| საბერძნეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 22:8 | 17 |
| საქართველო | 9 | 2 | 4 | 3 | 11:13 | 10 |
| სლოვენია | 9 | 1 | 5 | 3 | 10:14 | 8 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:16 | 6 |
| ლატვია | 9 | 1 | 3 | 5 | 6:18 | 6 |

## მატჩის შემდეგ

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ოთარ გაბელია და ლატვიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი იური ანდრეევი გამოცხადნენ. მურთაზ ხურცილავა შეუძლოდ გახდა და მე გამომგზავნა პრესკონფერენციაზეო, გვითხრა გაბელიამ მოსვლისთანავე. ეტყობა, ხურცილავამ მართლა ცუდად იგრძნო თავი, რადგან, ბოსკამპისგან განსხვავებით, იგი მასმედიას თავს არასოდეს არიდებს, მით უმეტეს, მოგებული მატჩის შემდეგ.

თავიდან სიტყვა, როგორც წესი, სტუმარს გადაეცა. **იური ანდრეევმაც** ეს თქვა:

— დღევანდელ შედეგზე უდიდესი გავლენა იქონია მეკარის სუსტმა თამაშმა, თავადაც ნახეთ, როგორი უხეში შეცდომები დაუშვა. თითქმის ყველა გოლი მის სინდისზე გახლდათ. სხვა მეკარე არ გვყავდა, თორემ პავლოვსს აუცილებლად შევცვლიდი. ძირითადი მეკარე რომ ყოფილიყო, ალბათ, უკეთესს შედეგს მივაღწევდით, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ალბანეთში დაშავდა. ისე, პავლოვსმა პირველად არ გვიღალატა, მან ნაკრების წინა თამაშიც აშკარად ჩააგდო, მაგრამ რა ვქნათ, სხვა არჩევანი არა გვაქვს.

ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ყველა ნორმალურად გამოიყურებოდა. მეტის საშუალება მეტოქემ არც მოგვცა, ქართველებმა დღეს ძალიან კარგად ითამაშეთ.

თბილისში პირველად ვიმყოფებოდი და აღფრთოვანებული ვარ ქართული სტუმართმასპინძლობით. მინდა, ყველას უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენი ასეთი მიღებისთვის. გისურვებთ უდიდეს წარმატებებს. მით უმეტეს, ამისი საფუძველი ნამდვილად გაქვთ. შევნიშნე, ძალიან ბევრი ტალანტი გყავთ და მათ გამოყენება სჭირდება. ეჰ, ჩვენ რომ მოგვცა ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა..."

ამის შემდეგ სიტყვა **ოთარ გაბელიას** გადაეცა.

— მეტოქემ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ლატვიელები ფიზიკურად ჩინებულად იყვნენ მომზადებულნი, თუმცა ჩვენებმაც არაფერი დაუთმეს და ბოლომდე გაუძლეს.

იცით, რომ აქედანვე მომავალზე ვფიქრობთ, გვინდა, ყველა რეზერვი გამოვიყენოთ. ამიტომაცაა, რომ ბოლო დროს ძირითადად 1980-81 წლებში დაბადებულ ბიჭებს ვეყრდნობით. დღეს ულეგიონერებოდ გვსურდა ფონს გასვლა. როგორც ნახეთ, ამან გაამართლა. შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილნი ვართ.

შეხვედრას რამდენიმე სელექციონერიც ესწრებოდა. ერთ ჰოლანდიელს დავით დიღმელაშვილის საქმეში ნახვა სურდა, ძალიან უნდოდა, დღეს გვეთამაშებინა, მაგრამ არ დავაყენეთ. ყველა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები „პრახადნოი დვორი" არ არის.

პრესკონფერენცია კი მხიარულ ნოტაზე დასრულდა. ერთ-ერთი ლატვიელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რიგის „სკონტოში" მოთამაშე ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე, რატომ არ მოიწვიეთო, გაბელიამ უპასუხა, ეგ ხურცილავას ჰკითხეთო, რაზეც ანდრეევმა იხუმრა, თუ არ გინდათ, ერთი თქვით და მე მოვიწვევო.

**ვანო ოქროპირიძე**

### Under-21

### [illegible] ჯგუფი

**მოლდოვა 1:1 თურქეთი**

1:0 ლუნგუ (43), 1:1 ბელუზოღლუ (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 10:3 | 14 |
| ფინეთი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 10 |
| გერმანია | 6 | 3 | 0 | 3 | 7:6 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| მოლდოვა | 8 | 0 | 4 | 4 | 3:10 | 4 |

### V ჯგუფი

**პოლონეთი 3:1 ინგლისი**

1:0 რობინსონი (46ს.კ.), 1:1 მილსი (47), 2:1 დავიდოვსკი (57), 3:1 სობჩაკი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 7 | 0 | 1 | 23:3 | 21 |
| პოლონეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 19:11 | 14 |
| ბულგარეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:9 | 11 |
| შვედეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:13 | 3 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:25 | 0 |

### VII ჯგუფი

**რუმინეთი 2:3 პორტუგალია**

1:0 პანჩუ (83), 1:1 საბროსა (32), 1:2 დელფიმი (43), 2:2 რადუ (58), 2:3 დელფიმი (64)

**უნგრეთი 4:1 აზერბაიჯანი**

1:0 შუაბიჩი (7), 2:0 სტარკი (22), 3:0 ფერენცი (43), 3:1 ს. ალიევი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:6 | 14 |
| რუმინეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 11:14 | 6 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:17 | 4 |

### VIII ჯგუფი

**მაკედონია 0:8 იუგოსლავია**

0:1 ლაჟეტიჩი (7), 0:2, 0:3 კეჟმანი (32, 34), 0:4 ტანასიევიჩი (55), 0:5 ლაჟეტიჩი (58), 0:6 კეჟმანი (63), 0:7, 0:8 ილიჩი (70, 88)

**მალტა 1:3 ირლანდია**

0:1 გრიმა (36ს.კ.), 0:2 მაჰონი (70), 0:3 ფენი (88), 1:3 მამო (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 6 | 1 | 0 | 23:5 | 19 |
| იუგოსლავია | 7 | 5 | 1 | 1 | 27:8 | 16 |
| ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 12:12 | 11 |
| მალტა | 8 | 1 | 0 | 7 | 8:23 | 3 |
| მაკედონია | 7 | 1 | 0 | 5 | 2:24 | 3 |

### IX ჯგუფი

**ჩეხეთი 1:0 ბოსნია**

1:0 პაინცი (83)

**ესტონეთი 0:4 შოტლანდია**

0:1 რაე (20), 0:2 ბარჩილი (21), 0:3 თომფსონი (38), 0:4 დალგლიში (893)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 9 | 7 | 1 | 0 | 16:2 | 25 |
| ბელგია | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 |
| ლიტვა | 8 | 4 | 1 | 3 | 12:6 | 13 |
| შოტლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 15:10 | 11 |
| ბოსნია | 7 | 1 | 1 | 5 | 6:18 | 4 |
| ესტონეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 4:33 | 0 |

*ნაიკითხავს მკითხველი ამ სათაურს და მიხვდება, საუბარი ლატვიელთა ტანმოკლე მწვრთნელს, გარი ჯონსონს ეხება. აქამდე ამ კაცს ჯოუნსად ვიცნობდით, მაგრამ მისი გვარი უფრო სწორად თურმე ასე გამოითქმის — „ჯონსონი“ და ამიერიდან ასეც დავუძახებთ.*

*დიდების გუნდთან ჯერარნამუშევარი, მაგრამ წლეულს პრემიერლიგაში აღზევებული „უოტფორდის“ მწვრთნელის თანაშემწე ამჯერად ლატვიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია და მასთან ინტერვიუს გარეშე დაცილება აბა, რა „სარბიელის“ საკადრისი იქნებოდა. ჩვენც დრო ვიხელთეთ თუ არა, მაშინვე წარვუდექით და ინგლისელმაც პროფესიონალურად, კონკრეტულად და კეთილსინდისიერად გვესაუბრა. ზოგიერთისგან განსხვავებით (მიხვდით ალბათ ვის ბოსტანში ვისროლეთ კენჭი), არც უქეიფობა მოუმიზეზებია, არც.საპრესკონფერენციოდ დაგვიბარა და არც ინგლისურის დახვეწილი ცოდნა მოუთხოვია ჟურნალისტებისთვის, როგორც ეს, სახელს და გვარს არ დავასახელებთ და, ზოგიერთს სჩვევია.*

# პატარა და მუშა

**— როგორია თქვენი აზრი ხვალინდელ თამაშზე?**

— ვიცით, რომ ურთულესი თამაში გველის და მზად ვართ ამისთვის. ჯგუფიდან გასვლის არცთუ დიდი შანსი დაგვრჩა, შეიძლება მიზერულიც, მაგრამ ლატვიის ნაკრები ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რათა, ხსენებული შანსი შევინარჩუნოთ, საჭიროა ქართველებს მოვუგოთ — ახლა ქულების დაკარგვის დრო ყველაზე ნაკლებადაა, ერთი სიტყვით, ჩვენსას ვეცდებით.

**— საქართველოს ნაკრებს კი სწორედ ლატვიაში მარცხის შემდეგ აეწეწა საქმეები. ქართველ ფეხბურთელებს შურისძიება სწყურებიათ და არც მალავენ ამას...**

— მესმის მათი. მე ფეხბურთში დღეს არ მოვსულვარ და ვიცი, რას ნიშნავს იმედგაცრუება. თან ისიც ხომ აღსანიშნავია, რომ აქამდე თქვენები ლატვიელებზე გაცილებით ძლიერებად ითვლებოდნენ. შენზე სუსტ მეტოქესთან რომ აგებ, იმიჯი გელახება და კარგად ვიცი, როგორი განწყობით ითამაშებენ ქართველები ჩვენს წინააღმდეგ.

**— სხვას რას იტყვით მეტოქეზე?**

— მოგეხსენებათ, მე აქამდე ინგლისის მეორეხარისხოვან გუნდებში მიწევდა მუშაობა, ამდენად საერთაშორისო საფეხბურთო ამბებში არც თუ გათვითცნობიერებული ვარ. ქართველ ფეხბურთელებზე ერთობ ცოტა მსმენია.

**— სხვათა შორის, თქვენი წინამორბედიც ქართველი იყო...**

— სხვათა შორის, ამაზეც ლატვიაში გავიგე. თქვენს თანამემამულეს დიდი სახელი დაუტოვებია.

**— ბევრი რამე უნდა შეცვალოთ?**

— ჯერ ვერც მოვასწრებ რაიმეს შესხვაფერებას. მე ხომ ახლახან დავიწყე. ეგ არის, ლატვიის ნაკრები უფრო შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**— გისმენთ და ერთი კითხვა მებადება, ჩანს, რომ არცთუ დიდ ხანს იფიქრეთ, სანამ ამ ახალ თანამდებობაზე დათანხმდებოდით. აკი თავადაც თქვით, ჯერ ბოლომდე არ გავრკვეულვარო, მაინც, როგორ მოხვდით ამ „გაუგებრობაში“?**

— მე კავშირი მქონდა ლატვიური ფეხბურთის მაღალჩინოსან წარმომადგენლებთან. ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა სწორედ მათ შემომთავაზეს.

**— დაბოლოს, პროგნოზს ხომ არ გააკეთებდით?**

— რთული მატჩი გველის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მოგება რომ არ გვსურდეს, აქ ჩამოსვლას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ ახლა ქართველებს ჰკითხეთ? ისინიც ხომ აუცილებლად მოგებაზე ითამაშებენ. ერთი სიტყვით, ყველა კითხვას პასუხი მატჩმა უნდა გასცეს.

ბრიტანულად დიპლომატიური პასუხები გაგვცა სერ გარი ჯონსონმა, თავად არაფერი უთქვამს, მაგრამ ლატვიურ კულუარებში მოარულ ერთ ამბავსაც გამცნობთ — მარიან პახარსის „საუთჰემპტონში“ ტრანსფერი სწორედ ჯონსონის დამსახურებააო.

ანუ ეს პატარა კაცი, მარჯვეც ჩანს და მოხერხებულიც.

ერთი სიტყვით, პატარა და მუშაო — ჩვეჩში რომ იტყვიან, ისეთია.

დანარჩენს კი, მისი თქმისა არ იყოს, ხვალინდელი მატჩი გვიჩვენებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ბაჩო კორძაიას ფოტო

ლატვიელთა ინგლისელი მწვრთნელი გარი ჯონსონი

# ერიდეთ პახარსს... შტოლცერსთან ერთად

*სხვა ლატვიელებისგან ტანმორჩილი აღნაგობით გამოირჩევა... შტოლცერსთან ერთად. სხვებზე გაცილებით ტექნიკურია და სწრაფი... შტოლცერსთან ერთად. თანაგუნდელებისგან ყოველთვის მარჯვნივ განაპირას დგება... შტოლცერსთან ერთად. თავდასხმაში თამაშობს... შტოლცერსთან ერთად. უბრალო კაცია. ილიმება, დადის, „შერატონ პალასის“ მდიდრულ ნომერში ცხოვრობს... შტოლცერსთან ერთად. ეს მარიან პახარსია, პირველი ლატვიელი პრემიერლიგაში. უბრალოდ, მარეკი.*



ბაჩო კორძაიას ფოტო

ლატვიელი პრემიერლიგიდან: მარიან პახარსი

**— მარეკ, თქვენს ბავშვობაში ფეხბურთი ლატვიაში არცთუ პოპულარული იყო, რამ გადაგაწყვეტინათ ფეხბურთელობა და როდის დაიწყეთ ვარჯიში?**

— ფეხბურთის თამაში მეორე კლასში სწავლისას, რვა წლისამ დავიწყე. მაშინ იმდენად პატარა ვიყავი, მართლაც არ შემეძლო ლატვიური ფეხბურთის დონეზე ფიქრი. ვერც იმას გეტყოდით, პოპულარული იყო თუ არა ჩვენში ეს თამაში, მაგრამ ყველაფერი ჩემმა ფეხბურთისადმი მიდრეკილებამ, მისმა სიყვარულმა და მამაჩემის მაქსიმალურმა ხელშეწყობამ გადაწყვიტა.

**— და დღეს „საუთჰემპტონის“ ფეხბურთელი ხართ. როგორ მიგიღეს ინგლისში?**

— განსაკუთრებული წარდგენა-პრეზენტაციები არ მოუწყვიათ. ეს კი იყო, როდესაც მინდორზე სადებიუტო გასვლა მომიწია, სტადიონის ინფორმატორმა გულშემატკივარს განუცხადა, რომ უნდა ითამაშოს ახალმა ფეხბურთელმა. ერთი ამბავი ატეხეს ტრიბუნებმა — ტაში, შეძახილები — სასიამოვნო წუთები იყო.

**— მაგრამ თქვენს პრემიერლიგაში გამოსვლას ბევრი პრობლემა უშლიდა ხელს...**

— მართალია, იმიზეზებდნენ ლატვიური ფეხბურთის დაბალ დონეს და სამუშაო ვიზას არ მაძლევდნენ, მადლობა ღმერთს, ყველაფერს მოევლო, ყოველივე ისე დამთავრდა, როგორც ჩემთვის სჯობდა.

**— მსგავსი რამ არაერთ ფეხბურთელს გამოუცდია, მათ შორის ქართველ ფეხბურთელებსაც დაუკავეს სამუშაო ვიზა. თქვენ ვინ მოგეხმარათ და საერთოდ, ვინ განახორციელა ეს ტრანსფერი?**

— დღემდე არ ვიცი. მე მითხრეს, რომ ჩემით „საუთჰემპტონია“ დაინტერესებული. მერე კი ის სავიზო პრობლემა გამოეჩხირა — იყო ფაქსები, მიწერ-მოწერები და ბოლოს ნება დამრთეს.

**— რა, პირადი მენეჯერი, აგენტი არა გყავთ?**

— არა. ყველაფერი ლატვიის ფეხბურთის უმაღლესი ეშელონების დონეზე მოხდა.

**— მიუხედავად იმისა, რომ თქვენს „საუთჰემპტონში“ გადასვლას ბევრი პესიმიზმით უყურებდა, ყველაფერი ერთობ კარგად წარიმართა. როგორ თვლით, რა არის ამის მიზეზი?**

— ინგლისში ყველაფერი თითქოს იმისთვისაა შექმნილი, რომ ფეხბურთელმა მხოლოდ ფეხბურთზე იფიქროს. ივარჯიშე, ითამაშე, აკეთე შენი საქმე — ხელს არავინ შეგიშლის, ხელისშემწყობი კი უამრავია. ამგვარ სიტუაციაში მუშაობა ერთი სიამოვნებაა...

**— მაშ, ინგლისზე და პრემიერლიგაზე რომც გკითხოთ, უკვე ზედმეტია...**

— ამაზე შეიძლება არაფერი თქვა, თანაც ილაპარაკო საუკუნე — გაგიჟება შეიძლება. სიტყვებით ვერც აღწერ, როგორ უდგებიან პრემიერლიგაში და ინგლისში ფეხბურთს. ეს მსოფლიოს ულამაზესი და უძლიერესი ლიგაა.

**— თქვენ შეხვდით „ნიუკასლს“ და მატჩში თემურ ქეცბაიამაც ითამაშა თქვენი გუნდის წინააღმდეგ. თქვენ კი გოლიც გაიტანეთ...**

— პირდაპირ საკვირველია, ასეთი ძლიერი გუნდი რატომ ვერ იგებს თამაშებს. ჯორდებმა ჩვენთანაც ისე ითამაშეს, გეგონებოდათ, მასპინძლები ისინი იყვნენ და არა ჩვენ. გვიტევდნენ, გვიტევდნენ, გვიტევდნენ — ძლივს ავუდიოდით მათ შეტევებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ყველა მხრიდან, ყველა ფეხბურთელი ჩვენს კარზე მოდიოდა. მიკვირს როგორ მოვიგეთ... გოლის შესახებ მკითხეთ, ერთი სიამოვნება იყო მისი გატანა.

**— და თემური?**

— თემური უდავოდ საუკეთესო იყო თავის გუნდში. სრულიად გულწრფელად გეუბნებით.

**— მარეკ, ჩვენში გულიტის „სექსუალური ფეხბურთი“ აიღეს ყბად...**

— ინგლისში არაფერი მსმენია ამაზე. პირველად თქვენგან გავიგე. მინდორზე კი არაფერი ეტყობოდათ და... არ ვიცი, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

**— პრემიერლიგას რომ შეეწყვეთ, ამაზე სამ მატჩში გატანილი ორი ბურთიც მეტყველებს. რა მიგაჩნიათ თქვენი, როგორც თავდამსხმელის პლუსად და მინუსად?**

— ძნელია საკუთარ თავზე საუბარი. გამოსასწორებელი ჯერ ბევრი მაქვს, სამუშაოც ასევე. ასე რომ, პლუსების ძებნით თავს არ ვირთობ. ისე, ჩემი სისწრაფის ხარჯზე თუ მივაღწევ რამეს, თორემ პრემიერლიგაში მეორე სართულზე თამაშისას მეტად მცირე შანსი გრჩება.

**— მოდით, ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩებს დავუბრუნდეთ. შარშან ლატვიის ნაკრებმა ქართველები დაამარცხა. როგორ თვლით, ლოგიკურად მოიგეთ, თუ ფორტუნამ გაგიღიმათ?**

— უფრო მეორე — ფორტუნამ გაგვიღიმა. ობიექტურად ის თამაში თქვენებს უნდა მოეგოთ.

**— ძოძუაშვილის ადგილი ინგლისელმა გარი ჯონსონმა დაიკავა, რას იტყვით მასზე?**

— ბევრს ვერაფერს. ჩვენს ნაკრებში და ფეხბურთში საერთაოდ, ძოძუაშვილის გავლენა ჯერაც დიდია. ამდენად, ახლაც კი მისეულ ფეხბურთს ვთამაშობთ, ინერციით მოვდივართ. ინგლისელმა რომ რამე შეცვალოს, დრო სჭირდება. თუმც მე შეგუება სრულებით არ გამჭირვებია, ასე თუ ისე, ინგლისურ ფეხბურთს უკვე გემო გავუგე.

**— ჩვენს ნაკრებს არ შეგადარებთ, მაგრამ თქვენც ბევრი ქულა გაანიავეთ...**

— ეს კანონზომიერიც იყო. ყველაფერი უცებ არც შეიძლება მოხდეს. ერთი წლის წინ ვინმე იფიქრებდა, რომ ლატვია საბერძნეთს ან საქართველოს გადაუსწრებდა? ჩვენი ფეხბურთი ამიერიდან უფრო მოძლიერდება და მიზნებსაც უფრო სოლიდურს დავისახავთ.

**— ხვალინდელ მატჩზე პროგნოზს ხომ არ გააკეთებდით?**

— თუკი ლატვიაში არ ელოდნენ და მოვუგეთ საქართველოს ნაკრებს, აქ რატომ არ უნდა ვიფიქროთ იგივეზე? ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, მით უმეტეს, რაღაც შანსი ჯერაც დარჩა. წინასწარ კი ვერას გეტყვით კონკრეტულს — ძნელია.

**— მინდორზე და მის გარეთაც გამუდმებით შტოლცერსთან ხართ, ეტყობა, მეგობრობთ. „საუთჰემპტონში“ თუ შეეწყვეთ ვინმეს?**

— ჯეიმს ბიტს. ისაა ჩემი საუკეთესო პარტნიორი.

**— დაბოლოს ოჯახზე გკითხავთ.**

— მყავს მეუღლე და ერთი თვის შვილი. ზუსტად დღეს შესრულდა თვისა.

ეს თქვა მარიან პახარსმა, საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთი ფოტოც გადაიღო და გასახდელში გაუჩინარდა... რა თქმა უნდა, შტოლცერსთან ერთად.

ისინი დღეს ერთად ეცდებიან ქართული დაცვის დარბევას.

ქართველებო, ერიდეთ პახარსს... შტოლცერსთან ერთად.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# საბედისწერო გოლის გამტანი

*6 სექტემბერი. საღამოს 10 საათი. „შერატონ მეტეხის" მეოთხე სართულზე ლატვიელი კოლეგა აშკოლც ულდრიკისი 415-ე ნომრიან კარებთან გაჩერდა. აი, აქ ცხოვრობენ ანდრეი შტოლცერსი და მარიან პახარსი, თქვა და ოთახში შევიდა. იქედან კი სატელეფონო საუბრის ხმა გამოდიოდა:*

*— ოი, მანჩინი, ნუ მკითხავ, ახლაც შოკში ვარ. ერთი გოლი მეც გავიტანე. 3:1-ს ვიგებდით გესმის და... კიდევ გვაქვს შანსი. ჩვენ ზეგ საქართველო უნდა დავამარცხოთ. შემდეგ ნორვეგია, სლოვენიამ კი ქულა არ უნდა აიღოს...*

*— ჰო კარგი, კარგი, შემდეგ გადმოგირეკავ, მელოდებიან.*

*ერთი-ორი სიტყვა ლატვიურ ენაზეც თქვა და მერე შემომძახა — შემოდით, კარებში რატომ დგახართ?!*

*ანდრეი შტოლცერსი დიდად თავაზიანი იყო. ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით მხოლოდ ორადორ დეტალს შევახსენებთ. სწორედ შტოლცერსმა გაგვიტანა რიგაში ის ერთადერთი გოლი, თანაც კუთხურიდან. მეორე — იგი მიხეილ ფოცხვერიასთან ერთად უკრაინულ „შახტარში" თამაშობს. ასე რომ, სალაპარაკო ბლომად გვქონდა.*

**— ალბანეთში ნათამაშევი 3:3-ით დავიწყოთ.**

— საინტერესო შეხვედრა იყო. ყველაფერი კარგად გამოგვივიდა და 3:1-ს დამსახურებულად ვიგებდით. სამწუხაროდ, უსამართლოდ გაგვიძევეს კაცი. ისე, მსაჯები აშკარად არ გვწყალობდნენ. სამის გარდა კიდევ ორი გოლი გავუტანეთ ალბანელებს, მაგრამ არ ჩაგვითვალეს. არადა, ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანდა, რომ ამ დროს წესები არ დაგვირღვევია.

**— სადაური მსაჯები იყვნენ?**

— არც კი ვიცი. მარეკ, შენ ხომ არ გახსოვს? — *შეეკითხა ოთახში იმ წუთას შემოსულ მარიან პახარს.*

— ლუქსემბურგელები.

*შტოლცერსმა განაგრძო:*

— ცუდად იმსაჯეს. ლუკაშევიჩი მეორე ყვითელს ნამდვილად არ იმსახურებდა. ამან გარკვეულწილად განაპირობა ანგარიშის გათანაბრება. ისე, თამაში ძალიან მომეწონა.

**— და მშვიდობით ბელგია-ჰოლანდია, არა?**

— არა რატომ? შანსი ისევ გვაქვს, მართალია, თეორიული, მაგრამ მაინც გვაქვს. ქართველებთან მხოლოდ მოგებას ვგეგმავთ და არანაირ ფრეზე არ ვფიქრობთ. შემდეგ ნორვეგიას შინ ვმასპინძლობთ... ეგებ სლოვენიამ ვერ ივარგოს და მეორე ადგილზე გავალთ. მართალია, მიზერულ შანსზე ვლაპარაკობ, მაგრამ... მთელმა საფეხბურთო სამყარომ უკვე ჩამოგვწერა და არავის სჯერა, რომ ჯგუფიდან გავალთ. ასეთი სიტუაციები ძალიან მხიბლავს. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დანებებას არ ვარ ჩვეული.

**— ახალ მწვრთნელზე, გარი ჯონსონზე რას გვეტყვით. რა შეცვალა ძოძუაშვილის ნაკრებში?**

— ის შეცვალა, რომ საუკეთესო თავდაცვა — თავდასხმაა. თუ ადრე დაცვას ზედმეტ ყურადღებას ვუთმობდით, ახლა გუნდური შეტევის ელემენტებს უფრო ვამუშავებთ. მთავარი კი ისაა, რომ თითქმის ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს, თუმც ბოლომდე ვერ ახერხებს ამას.

**— ლატვია — საქართველოს მატჩი გავიხსენოთ. თქვენი აზრით, რატომ დამარცხდნენ ქართველები?**

— ალბათ, შემთხვევითობის გამო. თქვენები ჩვენზე უკეთ თამაშობდნენ. ბურთს კარგად აკონტროლებდნენ. მომენტებიც საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ ბედი არ სწყალობდათ. აშკარად გაგვიმართლა.

**— დიდი იყო ძოძუაშვილის წვლილი ლატვიის გამარჯვებაში?**

— რა თქმა უნდა. მთავარი „დამნაშავე" ძოძუაშვილი გახლდათ. მან მიიყვანა ჩვენი გუნდი ამ გამარჯვებამდე.

**— და თქვენ კუთხურიდან გაგვიტანეთ.**

— ვფიქრობ, ბურთი შეეხო ან მეკარეს, ან მცველს. გაზეთები წერდნენ, რომ ასე არ იყო. მაინც ჩემ აზრზე ვრჩები.

**— ალალად მითხარით, აწვდიდით, თუ კარში ახვევდით?**

— არა, არა, უბრალოდ, ვაწვდიდი. ძლიერად კი დავარტყი, მეკარეს რომ გასჭირვებოდა მოგერიება და გოლი გამომივიდა.

**— გთხოვთ, დაახასიათოთ ძოძუაშვილი, როგორც მწვრთნელი და როგორც პიროვნება.**

— არის ისეთი მომენტები, რომელთა გამომზეურება არაა აუცილებელი. ჩემთვის საფეხბურთო ურთიერთობებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და არა, ვთქვათ, პიროვნულ-ცხოვრებისეულს. მე ვუყურებდი რომ ძოძუაშვილის თავკაცობით მოვუგეთ ნორვეგიას, საბერძნეთს. მართალია, მისი ხელმძღვანელობით ვმარცხდებოდით კიდეც, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ, ყოველთვის მაღალ დონეზე ითამაშონ.

**— უკეთესი არ იქნებოდა, ძოძუაშვილი შესარჩევი ციკლის ბოლომდე დარჩენილიყო?**

— არ ვიცი, როგორ გითხრათ. ამაზე სპეციალისტები ყოველთვის ერთს ამბობენ — როცა კაცი საქმეს იწყებს, ბოლომდე მანვე უნდა მიიყვანოს. თუმცა ჩვენი პროფესია დანის პირზე სიარულს წააგავს. ფეხბურთელიც და მწვრთნელიც სხვაზეა დამოკიდებული. არავინ იცის, ვის როდის გაუშვებენ და მოხსნიან. ძოძუაშვილის შემთხვევაში კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ. გარკვეული დრო უნდა გავიდეს და მერე გაადვილდება დასკვნის გაკეთება.

**— ლატვიურმა ფეხბურთმა საგრძნობლად მოუმატა. რა მიგაჩნიათ ამის მთავარ მიზეზად?**

— მთავარი მიზეზი დროა. ნაკრების საბაზო კლუბი „სკონტო" და ლატვიის ეროვნული ჩემპიონატი ლეგიონერების სიმრავლით გამოირჩევიან. ამან კი ადგილობრივი გათამაშების დონე აამაღლა. ნაკრების ძირითადი ბირთვი თითქმის უცვლელი რჩება. კლუბებმა ევროტურნირებზე გამოცდილებაც შეიძინეს. საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება უფრო სჭარბობდა და ამან შედეგი გამოიღო.

**— ქართველ ფეხბურთელებზე რას გვეტყვით.**

— ყველამ იცის ქართველების ტექნიკის შესახებ. თქვენებს უფრო ფიზიკური კონდიციები არ ყოფნიდათ ბოლომდე. ახლა ამ მხრივ შედარება არაა. ქართველები ყველანაირად მომზადებულები არიან. მე პროგრესს ვხედავ და მინდა, წარმატება ვუსურვო ყველას.

**— თქვენს კლუბზე — „შახტარზეც" ვილაპარაკოთ. იქ ჩვენებური ფოცხვერიაც თამაშობს. ყოფილი მწვრთნელი იარემჩენკო მას არ სწყალობდა. როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით?**

— მიშა დონეცკში ყველას უყვარს. ძალიან კარგი ფეხბურთელია. სამწუხაროდ, ხშირმა ტრავმებმა დატანჯა. უჭირდა ფორმის ბოლომდე აღდგენა და სწორედ ამის გამო ვერ ხვდებოდა შემადგენლობაში. როგორც წესი, ასეთი ფეხბურთელები ტოვებენ კლუბს და იმ გუნდში მიდიან, სადაც ძალიან სჭირდებათ. „დნეპრო" გამოდგა ამგვარი კლუბი და მიშამაც იქ მიაშურა. სხვათა შორის, წარმატებულად ითამაშა კიდეც.

იარემჩენკოს დროს მისი უთამაშებლობის მიზეზი ტრავმები იყო. აი, ბიშოვეცთან კი... იცით, ბიშოვეცს უყვარს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ამ ეტაპზე სრულ ფორმაში იმყოფებიან და მათ გვარებს ყურადღებას არ აქცევს. როცა ფოცხვერია საბოლოოდ გამოჯანმრთელდება, პრობლემაც მოიხსნება. ძალიან კარგია, რომ მიშამ საქართველოს ნაკრებში ითამაშა. ეს იმის დასტური იქნება, რომ იგი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. საინტერესო და ტექნიკური ფეხბურთელია და დიდი მომავალი აქვს.

**— ისე, „შახტარში" თავდამსხმელთა სიმრავლეა.**



ანდრეი შტოლცერსი (მარცხნივ)

ბადრი კეთილაძის ფოტო

— მართლაც ასეა. კონკურენციაც დიდია. წინა ხაზის მოთამაშეები შვიდნი ვართ.

**— უეფას თასზე მაკედონიურ „სელექს" სძლიეთ. წილისყრამ კი ჰოლანდიური „როდა" გარგუნათ. როგორ ფიქრობთ, მოუგებთ?**

— სხვა გამოსავალი არა გვაქვს. „შახტარი" უკრაინის მეორე კლუბია სიძლიერით. იქ საჩემპიონო ამბიციები გვაწუხებს და როგორ შეიძლება, „როდას" ბარიერი არ დავძლიოთ. თუმცა ვიცი, რომ ძალიან გაგვიჭირდება.

**— საქართველო-ლატვიის შეხვედრას დავუბრუნდეთ. თქვენი პროგნოზი როგორია?**

— ვფიქრობ, აუცილებლად მოვიგებთ. შანსები ორივე გუნდს საკმაოდ აქვს. ყველაფერს ხასიათის სიმტკიცე და საბრძოლო სული გადაწყვეტს. დიდი მნიშვნელობა ექნება მატჩის დასასრულს, ისევე როგორც დებიუტს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავიმარჯვოთ.

**— ქართველი ფეხბურთელები რევანშისთვის კბილებს ილესავენ.**

— ასეც უნდა იყოს. ეს ბუნებრივია. თქვენები ნამდვილი პროფესიონალები არიან. როგორ შეიძლება, მოედანზე გახვიდე და გამარჯვება არ გინდოდეს, რა თქმა უნდა, რევანშის წყურვილი ამოძრავებთ, მაგრამ გიმეორებთ, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

**— იდეალი თუ გყავთ ფეხბურთში?**

— არა. მე უბრალოდ თვალს ვადევნებ იმ ვარსკვლავებს, რომლებმაც ბევრი შრომით მიაღწიეს [illegible] დონეს.

**— ვინ [illegible] საუკეთესო ფეხბურთელად?**

— [illegible]

*ეს თქვა და ხმამაღლა [illegible]. რახან არ მეშვებით, მეგონა, ეს პასუხი დაგაკმაყოფილებდათო — მითხრა და ბოლოს დააყოლა, ვხუმრობო.*

— ვფიქრობ, ფეხბურთის მეფე პელე, რომელიც მეფედვე დარჩა. ასევე მარადონა. სამწუხაროა, რომ კარიერა ადრიანად დაამთავრა.

**— ახლანდელი მოთამაშეებიდან?**

— დილამდე ვერ ჩამოვთვლი.

**— თქვენც პირველი სამეული დაასახელეთ.**

— რონალდო. ძალიან მომწონს რივალდო. ისე, ინგლისში არის ერთი დიდი ფეხბურთელი მარიანი ჰქვია სახელად. უსამართლოა, იგი „საუთჰემპტონში" რომ თამაშობს. პრემიერლიგაში მისი ადგილი მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედშია".

*კვლავ სიცილით ამბობდა ამ სიტყვებს და პახარსს თვალს არ აცილებდა. ისიც გვარიანად ხარხარებდა...*

**— რომელ კლუბში ისურვებდით თამაშს?**

— ხომ გითხარით, მარიანთან ერთად მხოლოდ „მანჩესტერში" ან „არსენალში".

*ისევ მხიარული განწყობილება...*

**— უფრო სერიოზულად თუ ჩაფიქრდებით?**

— დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი იტალიურ „მილანში", ესპანურ „ბარსელონაში". თუმცა ჯობს, მიწაზე დავეშვა...

**— ლატვიის გარდა რომელი ქვეყნის ნაკრებს გულშემატკივრობთ?**

— საქართველოს...

**— რაკი თქვენსას არ იშლით, მაშინ ასე გკითხავთ — საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის ქომაგობდით?**

— ბავშვობიდან ჰოლანდიელები მომწონს. ოღონდ მხოლოდ მათ ნაკრებს ვგულშემატკივრობ. არ შეიძლება არ ქომაგობდე გუნდს, რომლის ღირსებასაც თავის დროზე ვან ბასტენი და გულიტი იცავდნენ.

**— დაოჯახებული ხართ?**

— მყავს მეუღლე და 5 თვის გოგონა.

**— ვაჟიშვილზე არ ფიქრობთ?**

— როგორ არა. ამის შესახებ მეუღლეს მოველაპარაკები. რა თქმა უნდა, ვაჟიც აუცილებელია, მაგრამ... ცოლი ვისაც მაჩუქებს, ყველაზე თანახმა ვარ.

**— დაბოლოს, თქვენი ოცნება რა არის?**

— ძალიან მინდა, ჩემ ოჯახთან ერთად ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობდე.

**— რა, ლატვია არ გაკმაყოფილებთ?**

— კი, მაგრამ... საფეხბურთო ქვეყანაში ცხოვრება მსურს. კარგი და ძლიერი ფეხბურთის თამაში მწყურია. მინდა, ვიგრძნო, თუ რას ნიშნავს უძლიერეს ჩემპიონატში გამოსვლა. თუ ამას მივაღწევ, ბედნიერი ვიქნები. სხვა არაფერი მწადია...

ხვიჩა სანიკიძე

# აბა ყვავებს ვინ დაიჭერს, გარი...

დასაწყისი პირველ გვერდზე

ახლა რაც შეეხება ამ გარი ჯოუნს-ჯონსონს. როგორც მკითხველისთვის ცნობილია, „სარბიელმა" ძოძუაშვილის მემკვიდრე ჯოუნსად წარუდგინა მკითხველს, სინამდვილეში კი ეს მინიატურული ინგლისელი ჯონსონი ყოფილა. არა, შეცდომა ან უპასუხისმგებლობა აქ არავითარ შუაშია, უბრალოდ, ინგლისური გრამატიკის კანონების თანახმად, ამ პატარა კაცის გვარი ჯოუნსადაც შეიძლება წაიკითხოს კაცმა და ჯონსონადაც. რახან თავად სერ გარი ჯონსონი ვარო, ამბობს, ვცეთ პატივი და ამიერიდან ჯონსონად მოვიხსენიოთ. ერთი სიტყვით, ისეა, გუშინ არქიფო იყო და დღეს აბელიაო — ასინეთა რომ იძახდა „დათა თუთაშხიაში".

სანამ ღრმად პატივცემული გარი ჯონსონი „როიტერის" ტელევიზიის ქართულ განყოფილებას სატელევიზიო ინტერვიუს აძლევდა, მისმა თანაშემწეებმა გუნდი მინდორზე გაიყვანეს, ჭრელაჭრულა მოსასხამებით შემოსეს და გასახურებელ-მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარებინეს.

როდესაც სერ გარიმ ჟურნალისტებიდან მოიცალა, სრულიად ლატვიის ნაკრები მზად იყო მისი ვარჯიშებისთვის. მწვრთნელს ბომბი არ უსვრია, ადგა და ჩვეულებრივი ორკარა გააჩალებინა შეგირდებს. ერთ მხარეს შტოლცერს-პახარსის შეხმატკბილებული დუეტი გაამწესეს და აბა, რა საკითხავია, ვინ გაიტანდა მეტს.

შტოლცერსზე და პახარსზე ცალკე უნდა ითქვას. ჯერჯერობით მხოლოდ საათნახევრიანი ვარჯიშის განმავლობაში ვუცქირე ამ მართლაც კარგ ბიჭებს და თუ მოედანზეც ასე „შეხმატკბილეს ერთმანეთს", ვაავა, საქართველოს ნაკრებს და მის ერთ ხაზზე განლაგებულ დაცვას. ისე ლატვიელებსაც ერთ ხაზზე ათამაშებს ჯონსონი, ეს კარგად გამოჩნდა ორკარას მომდევნო ვარჯიშისას, როცა თავდამსხმელები და ნახევარმცველები გამუდმებით უტევდნენ, მცველები კი ერთთავად ბურთის მოგერიებას ცდილობდნენ. ამგვარი მოგერიება-თავდასხმა ოც წუთს მაინც გაგრძელდა. მერე კი ცალ კარში მეკარეთა დაბომბვას მიჰყვეს ხელი ბალტიისპირელებმა და გვარიანადაც აზანზარეს ეროვნული სტადიონის ძელ-ხარიხები.

ორკარის განმავლობაში და კარში დარტყმებისას ჰო და სხვა დროს მეკარები ახლოსაც არ გაჰკარებიან მინდვრის ფეხბურთელებს. მათთან მთელი ვარჯიშის განმავლობაში სამი კაცი იდგა და ნაირნაირ ნიუანსებს ახვეწინებდა — ეს ჩაწოლებებიაო, ის გამოსვლებიო. აქ ფეხით ბურთის ამოტანაო, იქ მუშტით მოგერიებაო — მეკარეებმა არანაკლები ოფლი ღვარეს სხვებზე.

ლატვიელთა ვარჯიში ნამეტნავად მაჟორულ ნოტაზე დასრულდა — ვარჯიში დამთავრდა თუ არა, მინდორზე შეაბიჯეს საქართველოში მცხოვრები ლატვიური დიასპორის წარმომადგენლებმა. იყო მოკითხვა და ჩახუტება, სიცილი და ჯგუფური სურათი... მერე ფეხბურთელებმა ბურთზე ავტოგრაფები წააწერეს და „ქართველ ლატვიელებს" საჩუქრად გადასცეს.

კიდევ იცით, ვინ იყო ლატვიურ დელეგაციაში? ქართველთათვის კეთილმოსაგონარი და ვაჟკაცი მსაჯი მიკელის რუბენისი. ხომ გახსოვთ 1964 წელი და პირველი ქართული ოქროს გუნდი. დიახ, დიახ, 1964 წლის 18 ნოემბრის „ტორპედო" — „დინამოს" მატჩის მეთორმეტე გმირი რუბენისი თბილისშია და ტკბილ მოგონებებს მისცემია.

და ერთიც რომ არ ვთქვათ, არ იქნება — ქართველები რის ქართველები იქნებოდნენ, თავიანთი კვალიც რომ არ დაემჩნიათ „ამ ყველაფრისთვის". სანამ ლატვიელები ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვაში იყვნენ, მოედანზე შეიპარნენ ყვავებივით შავ-შავი ბიჭები და როცა ისინი გაქრნენ, აღმოჩნდა, რომ მათთან ერთად ლატვიელთა სავარჯიშო ხუთი ბურთიც გამქრალიყო...

რალა ეშველებოდა წამხდარ საქმეს. იმ ყვავებივით შავ-შავ ბიჭებს ისევე ვერ დაიჭერდი, როგორც იმ ყვავებს, რეპორტაჟის დასაწყისში. რომ ვახსენეთ.

მაინც ღიმილით და მადლობით დაგვშორდნენ ბალტიისპირელები, ეგ იყო, მათი ინგლისელი მწვრთნელი ჩანდა ცოტა შემცბარ-გაოცებული, მაგრამ...

აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, გარი...

კონსტანტინე გოგიშვილი

# მიხეილ ქორქია: ტორპედოში ფორს-მაჟორული სიტუაციაა

*ფორს-მაჟორ ფრანგული გამოთქმაა. გადმოვაქართულოთ: ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, იგივე გადაულახავი დაბრკოლება.*

*კაცი რომ სულს, გულს, თუ გნებავთ, ფულსაც, არ იშურებ, ოღონდ საქმე გაკეთდესო და ამ დროს ეშმაკი შემოგიჩნდება, გაგქურდავს, დაგაყაჩაღებს, აშენებულს დაგინგრევს — დაგინვავს, რა ხასიათზე დადგები?! მაგარი გულის პატრონი ყოფილა „ტორპედოს" პრეზიდენტი.*

*ბოლო ორ კვირაში ქუთაისური კლუბის თავს დატრიალებული ამბები, სხვას მის ადგილზე, ალბათ, ხელს ჩააქნევინებდა, არ გინდათ და ნუ გინდათ, წყალსაც წაუღია თქვენი „ტორპედო" და თქვენი ფეხბურთიო...*

*მაგრამ მიხეილ ქორქია, აბა, რისი მიხეილ ქორქიაა. ფორს-მაჟორ, ფორს-მაჟორ — რამდენიმეჯერ კი წამოცდა ჩვენი გუშინდელი საუბრისას, მაგრამ, შეატყობდით, კაცი მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. არაუშავს, ყველაფერს მოევლება, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო.*



მიხეილ ქორქია „გივი კილაძის" სტადიონის სწრაფად აღდგენას გვპირდება

**— ბატონო მიხეილ, გვინდა თუ არა, გივი კილაძის სახელობის სტადიონზე კვირას მომხდარი ხანძრიდან უნდა დავიწყოთ. როგორ ფიქრობთ, სტადიონის ადმინისტრაციული შენობის დაწვა და 26 აგვისტოს „ტორპედოს" საწვრთნელი ბაზის დაყაჩაღება ერთმანეთს ხომ არ უკავშირდება?**

— ბაზის გაქურდვისა რა მოგახსენოთ და, ხანძარი შემთხვევითობაა. ძალიან დიდი ზარალი ვნახეთ, მაგრამ არაუშავს, ყველაფერს აღვადგენთ, 16 სექტემბრისთვის სტადიონი მაინც მზად იქნება.

**— ხანძრისგან მიყენებული ზარალი თანხობრივად როგორ ფასდება?**

— ოო, ძალიან დიდი თანხაა. მინიმუმ 100 ათასი.

**— ლარი?**

— არა, დოლარი. თითქმის მთლიანად დაიწვა ადმინისტრაციული შენობა. ორი თვე ველოლიავებით აქაურობას. ნახეთ ახლა რას ჰგავს. მაგრამ აღვადგენთ, ყველაფერს აღვადგენთ და მეტსაც გავაკეთებთ. ამისა გჯეროდეთ.

**— ამას, რა თქმა უნდა კლუბის ძალებით...**

— კლუბის ძალებით. ისე, ქალაქიც გვეხმარება. მადლობა ქალაქს, მადლობა მერს, მადლობა გუბერნატორს და კიდევ რა ვიცი.

**— მადლობას რისთვის უხდით?**

— მადლობა მათ იმისთვის, რომ ჯარისკაცებს მობილიზაცია გაუკეთეს, შენობის გაწმენდაში დაგვეხმარეს.

**— მარტო ჯარისკაცებით დახმარება?**

— რა ვქნა, მე სხვანაირად ვერ ვიტყვი.

**— სტადიონი დაზღვეული თუ იყო. ხანძრისგან მიყენებულ ზარალს ნაწილობრივ მაინც თუ გაუკეთდება კომპენსაცია.**

— არა, ვერ მოვასწარით სტადიონის დაზღვევა. ეს ჩვენი დიდი მინუსია. ამდენ საქმეს ერთად რომ შეეჭიდები, რაღაც გამოგრჩება.

**— ქუთაისში და, არა მარტო აქ, ყველას 16 სექტემბრის თამაში აღელვებს. თქვენ ამბობთ, რომ „ტორპედო" — აეკ-ს „გივი კილაძეზე" ეთამაშება. მავანს კი არ სჯერა, ვერ მოასწრებენ სტადიონის წესრიგში მოყვანასო...**

— სიტყვაზე არ მენდობით? ბერძნებს აქ, ქუთაისში შევხვდებით. თამაშის გადატანაზე საუბარიც არ არის. დამწვარი შენობა უკვე გაწმენდილია ნარჩენებისაგან. მოსაპირკეთებელი მასალა საჭირო რაოდენობით უკვე შემოვიტანეთ, აგერ ელექტროგაყვანილობას მოვრჩებით და მერე დღე და ღამე უნდა გავასწოროთ, სხვანაირად არ გამოვა.

**— ბატონო მიხეილ, შაბათს ქუთაისში აეკ-ის გენერალურ მენეჯერს ნიკოლას სტრატოსს მასპინძლობდით...**

— ძალიან მეშინოდა ამ კაცის. იცით რატომ. ქუთაისში სასტუმროების დიდი პრობლემაა, მაგრამ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა. ბერძენი კმაყოფილი გავისტუმრეთ. ოფიციალური დელეგაცია 70-კაციანი იქნება. ფეხბურთელები და აეკ-ის დირექტორატის წევრები ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდებიან, დანარჩენთ, რომელთა შორის 30 ჟურნალისტიც იქნება, წყალტუბოში თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში მოვათავსებთ. კლუბის წევრთა სტუმრობის ხარჯებს მთლიანად ჩვენ გავიღებთ. ათენში, პირიქით, მოხდება. ასე შევთანხმდით.

**— ბერძნებმა თუ იციან რაიმე „ტორპედოს" შესახებ?**

— „ტორპედო" მათთვის დაბურული ტყეა, დავით ყიფიანი კი მშვენივრად იცნობს აეკს. ავტორიტეტულ კლუბს უნდა ვეთამაშოთ. აეკ-ს 27-ჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა ევროტურნირებში, მაგრამ ბიჭები ამან არ უნდა შეაშინოს. ჩვენ ჩვენი ამბიციები გვაქვს, უნდა დავამტკიცოთ, რომ კარგი გუნდი ვართ. „ტორპედოში" საბრძოლო სულისკვეთებაა. ყიფიანი ბერძნებთან სათამაშოდ ბიჭებს სერიოზულად ამზადებს. ვნახოთ, ბურთი მრგვალია.

**— იყო ასეთი თქმულება, რომ თუკი „ტორპედო" ესტონური „ლანტანას" ბარიერს დაძლევდა, უეფას მეორე ეტაპისთვის გუნდი უცხოელი ფეხბურთელებით გაძლიერდებოდა...**

— რა დასამალია, ვფიქრობდით ამაზე. საუეფო განაცხადში 22 მოთამაშე გვყავს შეყვანილი და ორის დამატება შეგვეძლო. ჰოლანდიაში შეკრებაზე ყოფნისას ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრების ორი მცველი შემოგვთავაზეს. ისინი, რა თქმა უნდა, გამოგვადგებოდნენ, მაგრამ ჯერ ერთი ამ ფეხბურთელებს იჯარით გვაძლევდნენ და, მეორეც, ძალიან დიდი თანხა მოგვთხოვეს, იმხელა, რამდენიც ნამდვილად არ ღირდნენ. კანის ფერისთვის კი ფულს ვერ გადავიხდიდით.

**— მთავარი აქცენტი ახლა შენობის აღდგენაზეა გადატანილი. ეს ამბავი ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას ხომ არ შეაფერხებს, 7 200 ქუთაისისთვის ცოტაა...**

— რატომ უნდა შეაფერხოს. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მიზეზით ეს არ მოხდება. იცით, სკამების ჩამოსასხმელად მიღებული მასალის მეორე პარტია უხარისხო გამოდგა და საჯარიმო სანქციებით უკან გავაბრუნეთ. დღე-დღეზე ველოდებით ახალ პარტიას, მაგრამ აქ პრობლემებს გვიქმნიან. მეორედ გვთხოვენ საბაჟო გადასახადს. არ ვიცი, რამდენად კანონიერია. ერთი და იგივე საქონელში მეორედ რატომ უნდა გადავიხადოთ. არ ვარგა და ვაბრუნებ, რატომ მახდევინებ. ეგრე ხომ არ შეიძლება. მასალა ჩამოვა და სკამების მონტაჟსაც გავაგრძელებთ.

**— გავიგეთ, სტადიონზე ელექტროგანათების მოწყობის საკითხიც გადაგიწყვეტიათ...**

— ძალიან ძვირი გვიჯდება, მაგრამ რა გაეწყობა. შეკვეთა მიცემული გვაქვს, ტექნიკურ აღჭურვილობას უახლოეს დღეებში მივიღებთ. 1 200 — 1 300 ლუქსი განათება გვექნება. გინდა, ღამის 12 საათზე ითამაშე.

ხომ გეუბნებით, ჩვენ გვინდა სტადიონი ევროსტანდარტების დონეზე ავიყვანოთ. ავიყვანთ კიდევაც. გუნდიც ნორმალური გვეყოლება და კარგი სტადიონიც გვექნება.

**— ამასწინათ სასამართლომ საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" 600-ათასამდე ლარის გადახდა დააკისრა აწ გაკოტრებული „სიგმაბანკის" სასარგებლოდ. როგორაა საქმე?**

— ჰო, „სიგმაბანკი" იყო ამ კლუბის პატრონი. ბანკის პრეზიდენტის იყო ბანკიც და კლუბიც. ფულის გადარიცხვა, ფულის „გაქეშება", ეს ყველაფერი ხდებოდა ერთ ორგანიზაციაში. გამიგეთ? მე არ ვიცნობ იმ ქალბატონ მოსამართლეს, ისე დაგვაწერა 600 ათასის გადახდა, თითქოს კლუბში მოსულიყოს ეს ფული. კლუბში არ მოსულა. რა ხდება, ვერაფერი გამიგია. ისე გადაგიწყვეტენ 600 ათასი უნდა გადაიხადოო, ვითომ ხიდან ვკრეფდეთ ამ ფულს. არ გადაიხდის „ტორპედო" ამ თანხას. არის უმაღლესი ინსტანცია — უზენაესი სასამართლო. იქ გავარჩევთ საქმეს.

**— უზენაესში სარჩელი ხომ არ შეგიტანიათ?**

— როგორ არა, შევიტანეთ. ჩვენ გვყავს კლუბში იურისტები, არც ეგრეა საქმე.

**— „გივი კილაძეზე" ახალი დირექტორი დაგინიშნავთ...**

— კი, ბატონო, გუშინ გადავწყვიტეთ ეს საკითხი. სტადიონს ახალი დირექტორი ეყოლება, ოთარ ასათიანი, ქუთაისელი, გამოცდილი კაცი. მე მჯერა, რომ ის საქმეს გამოასწორებს.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

## ყიფიანმა კარნევალეს მეორედ აჯობა

თურმე, დამწვარ სტადიონზეც შეიძლება თამაში. გუშინ საღამოს დავით ყიფიანის „ტორპედო" ჯანი კარნევალეს „ბათუმს" მეორედ გაეჯიბრა ამხანაგურად. ამ გუნდების „გივი კილაძეზე" პირველმა ასეთმა პაექრობამ, ორი თვის წინ რომ შედგა, ტორპედოელებს მოუტანა გამარჯვება, თანაც ძალზედ დამაჯერებელი — 4:0.

ქუთაისელებმა გუშინაც დაჯაბნეს მეტოქე. სანაკრებო ხალხის (ჭანტურია, ახვლედიანი, იმედაძე) გარეშეც მასპინძლები იოლად გაუმკლავდნენ ზღვისპირელებს. გოგიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულის შემდეგ იონანიძემ თაურით გახსნა ანგარიში. ცოტა ხანში თავად გოგიაშვილმა ჯარიმიდან გააორა. მეორე ტაიმში მეგრელაძემ და მაჭუტაძემ 11-მეტრიანები გამოიყენეს და 3:1. გუშინვე, ოღონდ დილით, „ტორპედო" მეორე შემადგენლობით „სამგურალს" ეთამაშა და აქაც ქუთაისელებმა იმარჯვეს 2:1.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

## პეტრო სამგურალს დაუბრუნდა

დავით პეტრიაშვილმა წინა ჩემპიონატი, უფრო სწორად მისი არასრული მეორე წრე წყალტუბოს „სამგურალში" გაატარა. „ტორპედოსთან" თასის ფინალში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. სეზონის დასრულების შემდეგ პეტრიაშვილმა იმერული კლუბი დატოვა და ახალი გუნდის ძებნას შეუდგა. პეტრო ერთხანს თურქულ „ერზურუმსპორში" ისინჯებოდა. საქმესაც კარგი პირი უჩანდა, ერზრუმელთა თავკაცი ქართველით კმაყოფილი იყო, კონტრაქტის გაფორმებასაც აღარაფერი აკლდა, ოღონდ მოულოდნელად მთავარ მწვრთნელს გუნდის დატოვება მოუხდა, მის შემცვლელს კი ჩვენებური, რატომღაც, თვალში არ მოუვიდა. მანაც ისევ „სამგურალში" დროებით დაბრუნება არჩია. დათო ერთი კვირაა წყალტუბოში გუნდთან ვარჯიშობს.

— პეტრიაშვილი 11 სექტემბერს „სიონის" წინააღმდეგ ითამაშებს. წინასწარი მოლაპარაკებით, ფეხბურთელი ჩვენთან პირველი ეტაპის დამთავრებამდე დარჩება. იგი ახლა სწორედ იქ უნდა გამოგვადგეს, სადაც ყველაზე მეტად გვიჭირს — თავდასხმაში — გვითხრა „სამგურალის" პრეზიდენტმა გრიგოლ ქათამაძემ.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

## რუსეთში ქართული თავდასხმა აღიარეს

### დემეტრაძე და ჯანაშია აპრილ-აგვისტოში საუკეთესო თავდამსხმელები გახდნენ

ვლადიკავკაზის „ალანიასა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველმა ფორვარდებმა ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს „სპორტ ექსპრესის" გამოკითხვაში „საუკეთესოები — აპრილ-აგვისტოში".

რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გიორგი დემეტრაძე სამ ნომინაციაში მოხვდა. დემემ დიდი უპირატესობით მოიგო „საუკეთესო უცხოელის" კონკურსი. აქ ქართველმა 6,63 ბალი დააგროვა და 0,18 ბალით გაუსწრო მოსკოვის „სპარტაკის" უკრაინელ ლეგიონერ დიმიტრი პარფიონოვს.

დემეტრაძემ ასევე გაიმარჯვა „საუკეთესო მეორე თავდამსხმელის" ნომინაციაში. მეორე ადგილზე გასული რამენსკოეს „სატურნის" ფეხბურთელი მაქსიმ ბუზნიკინი ქართველს 0,29 ბალით ჩამორჩა. „ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის" ნომინაციაში კი „ალანიას" ფორვარდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. დემეტრაძეს აქ ლოკომოტიველმა სმერტინმა, სპარტაკელმა — ტიხონოვმა და ტიტოვმა გაუსწრეს.

სამ ნომინაციაში მოხვდა „ლოკომოტივის" ფორვარდი ზაზა ჯანაშია. ქართველმა მოიგო „საუკეთესო პირველი თავდამსხმელის" ნომინაცია. აქ ჯანაშიამ და „სპარტაკის" ყოფილმა ფორვარდმა სერგეი იურანმა ერთნაირი ქულები — 6,25 დააგროვეს, მაგრამ ჯანაშიას ორი მატჩით ნაკლები ჰქონდა ჩატარებული და პირველ ადგილზეც იგი აღმოჩნდა.

ჯანაშია მეოთხეზე იყო „საუკეთესო უცხოელის" ნომინაციაში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დემეტრაძემ მოიგო. დემეს გარდა, ზაზას „სპარტაკის" უკრაინელმა პარფიონოვმა და ცსკა-ს თურქმენმა ხომუხამ გაუსწრეს.

„ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის" ნომინაციაში კი ჯანაშიამ 6,25 ბალით მე-10 ადგილი დაიკავა.

ორ ნომინაციაში მოხვდა კიდევ ერთი ქართველი, ვლადიკავკაზის „ალანიას" მცველი მამუკა წერეთელი. „საუკეთესო ლიბეროს" ნომინაციაში იგი ლოკომოტიველ ჩუგაინოვსა და ტორპედოელ დაევს ჩამორჩა.

წერეთელი მეოთხე იყო „საუკეთესო ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშის" ნომინაციაში. აქ სატურნელმა მაქსიმ ბუზნიკინმა გაიმარჯვა. მეორეზე სპარტაკელი არტიომ ბეზროდნი გავიდა. მესამე კი წერეთლის თანაგუნდელი, აფხაზი გერმან კუტარბა იყო.

**სიმონ მენაბდე**

# დიდი ევროსანაკრებო დღეები გრძელდება

დღეს, შესაძლოა, ევრო 2000-ის კიდევ ხუთი ფინალისტი გამოვლინდეს ამჟამად ევროპის ჩემპიონატის სამი ფინალისტია ცნობილი. ესენი არიან მასპინძლები ბელგია და ჰოლანდია, აგრეთვე მეცხრე ჯგუფის გამარჯვებული ჩეხეთის ეროვნული გუნდი. თუ დღეს იტალიამ, ნორვეგიამ, შვედეთმა, ესპანეთმა და რუმინეთმა თავისი მატჩები მოიგეს, ისინიც ფინალისტთა რიცხვს გადამდე მიემატებიან.

საინტერესო ამბები ხდება. სიტუაცია ისეთია, რომ საფრანგეთი, ინგლისი, დანია, ხორვატია და იუგოსლავია, შესაძლოა ფინალს მიღმა დარჩნენ, მაშინ, როცა კვიპროსს, ისრაელს, უელსსა და სლოვენიას ბელგია-ჰოლანდიაში „გაძრომის" შანსი აქვთ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ თუ ჯგუფში ორ ან მეტ გუნდს თანაბარი ქულები მოუგროვდა მაშინ, ადგილები შემდეგნაირად გაირკვევა:

1. ამ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში მოგროვილი უმეტესი ქულებით;
2. ამ გუნდებს შორის გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო მაჩვენებლით;
3. ამ გუნდებს შორის მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების უმეტესი რაოდენობით;
4. ყველა შესარჩევი მატჩის შედეგების გათვალისწინებით
   ა) გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდების მიხედვით;
   ბ) უმეტესი გატანილი ბურთების რაოდენობით;
   გ) მეტოქის მინდორზე გატანილი უმეტესი ბურთების რაოდენობის მიხედვით;
5. FAIR PLAY-ის რეიტინგით
6. კენჭისყრით

I ჯგუფი

**იტალია — დანია**

პირველი შესარჩევი ქვეჯგუფის ლიდერი იტალია თავის უახლოეს მდევარ დანიას დღეს ნეაპოლში უმასპინძლებს.

ბოლო მატჩი „სკუადრა აძურამ" ამ ქალაქში ორი წლის წინ ჩაატარა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში რუსეთი დაამარცხა.

დინო ძოფის ნაკრებს ტრავმის გამო პაოლო მალდინი არ ეყოლება. გუნდს კაპიტნის სამკლაურით მინდორზე დემეტრიო ალბერტინი გაიყვანს.

ათთვიანი შესვენების შემდეგ იტალიელებს დაუბრუნდათ ალესანდრო დელ პიერო, ხოლო ნაკრები თამაშს ვიერი-ინძაგის შემტევი სუპერდუეტით დაიწყებს.

მიუხედავად იმისა, რომ მარტში დანიელებმა შინ 1:2 წააგეს, ნეაპოლში სამი ქულის ასაღებად ჩავიდნენ.

„მხოლოდ მოგება გვსურს" — აცხადებს მათი მთავარი მწვრთნელი ბო იოჰანსონი. ის იმედებს ფორვარდ ებე სანდზე ამყარებს, რომელმაც წინა შაბათს შვეიცარიელებთან მატჩში გაიბრწყინა.

დანიელებს ტრავმების პრობლემა არ აქვთ და ამიტომ საბრძოლო შემადგენლობა ეყოლებათ.

**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, კანავარო, ნესტა, პანკარო, ფუზერი, ალბერტინი, ამბროზინი, დი ფრანჩესკო, ვიერი, ინძაგი.

**დანია:** შმაიხელი, კოლდინგი, ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი, ტოფტინგი, ტომასონი, იორგენსენი, სანდი.

**შვეიცარია — ბელარუსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 14 |
| დანია | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:14 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ბელარუსი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:8 | 2 |

*9.10 ბელარუსი — იტალია, უელსი — შვეიცარია*

III ჯგუფი

**გერმანია — ჩრდ. ირლანდია**

ქვეჯგუფის ლიდერი გერმანია, რომელიც უახლოეს მდევარ თურქეთს მხოლოდ გატანილი და გაშვებული ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს, დღეს ერთ-ერთ აუტსაიდერ ჩრდილოეთ ირლანდიას უმასპინძლებს.

გუნდის კაპიტან ოლივერ ბირჰოფს, უკანასკნელ ხანს გერმანიის ნაკრების მექსიკაში, კონფედერაციის თასის გათამაშებაში უხეირო გამოსვლისთვის კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, მაგრამ ახლა იგი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ მთვარი მატჩი მათ მაინც 9 ოქტომბერს, თურქების წინააღმდეგ ელით.

იმავე აზრზეა მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკიც, რომელსაც უკვე წყალი აქვს შეყენებული.

ხოლო ჩრდილოირლანდიელთა თავკაცი ლავრი მაკენემი, რომელმაც გუნდს ექვსი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოაგებინა, აცხადებს, რომ მისი შეგირდები გერმანელებთან აღარ გაიმეორებენ იმ შეცდომებს, რაც შაბათს თურქებთან დაუშვეს. ღირშესანიშნავია ეს დღე ჩრდილოირლანდიელთა მეკარე მარკ ტეილორისათვის, რომელმაც ცხოვრების პირველი 12 წელი სწორედ გერმანიაში გაატარა. ხოლო გასულ შაბათს საკუთარი დაბადების დღე 3 გაშვებული გოლით აღნიშნა.

გერმანიის ნაკრებში ვერ ითამაშებს ლევერკუზენის „ბაიერის" ფორვარდი ულფ კირსტენი, რომელსაც ფინეთის წინააღმდეგ მატჩში ფეხის კუნთი დაეჭიმა.

სავარაუდოდ, მას ბრემენის ვერდერელი მარკო ბოდე შეცვლის, რომელმაც იმავე ჩრდილოირლანდიელებს ბელფასტში ორი გოლი გაუტანა.

**გერმანია:** ლემანი, ნოვოტნი, მათეუსი, ლინკე, ბაბელი, შოლი, იერემისი, ციგე, ნოივილი, ბირჰოფი, ბოდე

**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, ა. ჰიუზი, ჰორლოკი, ლომასი, უილიამსი, ჰანტერი, მაკარტი, ლენონი, დოუი, მ. ჰიუზი, კენედი



REUTERS ვარშავიდან

ინგლისელები ვარშავის სტადიონზე: (მარცხნიდან) ჯონათან ვუდგეიტი, რეი პარლოუ, მაიკლ ოუენი და გარი ნევილი

**მოლდოვა — თურქეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 15 |
| თურქეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| ფინეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:11 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:16 | 3 |

*9.10 ფინეთი — ჩრდ. ირლანდია, გერმანია — თურქეთი*

IV ჯგუფი

**სომხეთი — საფრანგეთი**

მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგები ერევანში სომხებს დაუპირისპირდებიან. ამ ჯგუფში მეტად გაურკვეველი სიტუაციაა შექმნილი. ფრანგებმა აუცილებლად უნდა მოუგონ სომხებს და შემდეგ ისლანდიას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი შეიძლება პირველ ადგილზე ვერ გავიდნენ.

„შაბათის მატჩმა ჩემს მოთამაშეებს ბევრი ენერგია წაართვა, მაგრამ ახლა ოდნავი შეცდომის უფლებაც აღარ გვაქვს" — ამბობს მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი როჟე ლემერი — კიევური შეხვედრისგან განსხვავებით კი თავდასხმაში ერთით მეტ ფეხბურთელს გამოვიყვანთ."

ლემერის თქმით, ნაკრების ლიდერ ზინედინ ზიდანის ჯანმრთელობა სანერვიულო აღარაა. ახლა მას 90 წუთის თამაში თავისუფლად შეუძლია. ფრანგული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ერევნის სტადიონზე ალბათ იური ჯორკაეფი და ალენ ბოგოსიანიც გავლენ. მათთვის ეს განსაკუთრებული შემთხვევა იქნება, ორივეს ხომ ძირები სწორედ სომხეთში აქვთ. თუმც სასტარტო შემადგენლობაში ორივეს გამოჩენა სათუოა.

სომხებს თავისი პრობლემები დაგროვებიათ. ფრანგებთან ისინი ძირითადის ხუთ ფეხბურთელს ვერ ათამაშებენ. ორი მენაკრებე დაშავებულა, ხოლო სამნი ორ-ორი ყვითლის გამო დისკვალიფიკაციას იხდიან.

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, მკრტჩიანი, ვ. ხაჩატრიანი, ჰოვსეპიანი, სარქისიანი, რ. ხაჩატრიანი, არუთუნიანი, პეტროსიანცი, პეტროსიანი, შახგელდიანი, მიქაელიანი

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, დეშამპი, კარამბე, პირესი, ზიდანი, ლასლანდი, ვილტორდი

**ანდორა — რუსეთი**

საინტერესო ხალხია ანდორელები. აგერ, გუშინ მათი და რუსეთის შეხვედრის წინ სააგენტო „როიტერს" იმხელა წერილი გამოუგზავნეს, გეგონებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე იყოს საუბარი. იქაური მიმომხილველი კევინ ფილანი წერს, რომ 1200-ადგილიან „ესტადი კომუნალზე" ოთხშაბათს უდიდეს გუნდს დაუპირისპირდებიან: „უკრაინა კარგი გუნდია, მაგრამ რუსეთი საუკეთესოა" — ასეთია ანდორელთა განწყობა. იქნებ მათზე რუსების ბოლოდროინდელმა წარმატებულმა სვლამაც მოახდინა შთაბეჭდილება.

მასპინძელთა მწვრთნელი როდრიგო კი ამბობს, რომ ანდორა შეეცდება, მოწინააღმდეგეს ტოლი არაფერში დაუდოს. მათ ფრანგებთანაც დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონებს ანდორასთან ერთობ გაუჭირდათ და ბოლოსკენღა შეძლეს ერთადერთი გოლის გატანა. რუსები, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ. საკვალიფიკაციოს დასაწყისში ზედიზედ სამი წაგების შემდეგ მათ ყველა თამაში მოიგეს და ახლა ფინალში მოხვედრის ჩინებულ შანსს ინარჩუნებენ.

**ანდორა:** ალვარესი, ლიმა, ესტურა, რამირესი, ოსკარი, გარსია, გონსალესი, ხიმენესი, ხული სანჩესი, გოდოი, რუისი

**რუსეთი:** ფილიმონოვი, ხლესტოვი, ონოპკო, სმერტინი, ხოხლოვი, კარპინი, ალეინიჩევი, ტიტოვი, ტიხონოვი, ბესჩასტნიხი, პანოვი

**ისლანდია — უკრაინა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 8 | 4 | 4 | 0 | 12:3 | 16 |
| რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 19:10 | 15 |
| ისლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 10:3 | 15 |
| საფრანგეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 15 |
| სომხეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:12 | 5 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:23 | 0 |

*09.10 ანდორა — სომხეთი, საფრანგეთი — ისლანდია, რუსეთი — უკრაინა;*

V ჯგუფი

**პოლონეთი — ინგლისი**

დღეს ვარშავაში უაღრესად პრინციპული მატჩი გაიმართება — პოლონეთისა და ინგლისის ნაკრებები პლეი ოფში გასასვლელად იბრძოლებენ. გუნდები მხოლოდ შედეგისთვის გაირჯებიან, ამიტომ დიდ სანახაობას არ უნდა ველოდეთ.

ინგლისელებს, რომლებისთვისაც ეს ბოლო თამაშია და შესაბამისად ბოლო შანსი ქვეჯგუფიდან გასვლისა, უეჭველად მოგება სჭირდებათ. ეს კი გაუძნელდებათ, რადგან ბევრი ფეხბურთელი დაუშავდათ.

ნაკრების თავკაცმა კევინ კიგანმა პოლ სქოულზი მიიწვია, რომელმაც წინა მატჩი ლუქსემბურგის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. დაცვის ბურჯად ვეტერანი ტონი ადამსი მოგვევლინება, ხოლო სტიუარტ პირსი და დევიდ ბექემი ფორვარდებს — ალან შირერსა და რობი ფაულერს ფლანგებიდან საგოლე პასებით მოამარაგებენ. სავარაუდოდ, მატჩს სასტარტო შემადგენლობაში ვერ დაიწყებს ინგლისელთა იმედი მაიკლ ოუენი.

პოლონელთა მწვრთნელი ვოჟჩიკიც შემტევ ტაქტიკას მიმართავს. „ჩვენ დიდხანს ვემზადებოდით და ახლა სავსებით ვართ დარწმუნებული საკუთარ თავში. ისეთ მრისხანე მეტოქესაც არ ვუფრთხით, როგორიც ინგლისის ნაკრებია".

მატჩი თბილისის დროით შვიდის ნახევარზე დაიწყება.

**ინგლისი:** მარტინი, დაიერი, გ. ნევილი, ადამსი, პირსი, სქოულზი, ბექემი, მაკმანამანი, ბეტი, ფაულერი, შირერი

**პოლონეთი:** მატიშეკი, დუდეკი, ბაკი, კლოსი, ჰაიტო, ბელინსკი, კალუჟნი, ლაპინსკი, ივანი, რჟაჟა, იუსკოვიაკი

**ლუქსემბურგი — შვედეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 7:1 | 16 |
| ინგლისი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:4 | 12 |
| პოლონეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| ბულგარეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:8 | 5 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:19 | 0 |

*9.10 შვედეთი — პოლონეთი; 10.10 ბულგარეთი — ლუქსემბურგი;*

VI ჯგუფი

**ისრაელი — სან მარინო**

ამ ჯგუფში მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გაირკვა. ესპანელებს პირველ ადგილს, ცხადია, ვერავინ შეეცილება. კვიპროსს 12 ქულა აქვს, ისრაელს და ავსტრიას — 10-10, თუმცა ებრაელებს ავსტრიელებზე თამაშით ნაკლები აქვთ. კვიპროსს ორი მატჩი სტუმრად აქვს ჩასატარებელი — ესპანელებთან და 10 ოქტომბერს ავსტრიასთან, ამიტომ სავარაუდოა, რომ მეორე ადგილს ისრაელი დაიკავებს. ამ აზრისაა ებრაელთა მწვრთნელი შლომო შარფიც: „ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა და თუ პლეი ოფშიც ვერ მოვხვდით, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ". გარკვეული ოპტიმიზმის მიუხედავად, შარფი მეტად კრიტიკულია თავისი გუნდის მიმართ, რომელმაც კვირას კვიპროსთან 2:3 წააგო: „ჩვენ შევარცხვინეთ საკუთარი ხალხი, დროშა და ისრაელის ფეხბურთიც. ბოდიშს ვუხდი იმ ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებიც კვიპროსში საქომაგოდ ჩამოგვყვნენ" — თქვა შარფმა. მართლაც, კვიპროსში ებრაელებს 6 ათასი ქომაგი წაჰყვა. ეს ციფრი, ისრაელის ფეხბურთის ისტორიაში თურმე სარეკორდო ყოფილა.

სან მარინოსთან ებრაელებს არ ეყოლებათ ორი წამყვანი ფეხბურთელი. ეიალ ბერკოვიჩი და კაპიტანი ტალ ბანინი. პირველს ტრავმა აწუხებს, მეორემ კი კვირას კვიპროსთან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

**ისრაელი:** დავიდოვიჩი, ტალკარი, ჰარაზი, ბენადო, ამსალემი, ბადირი, ჰაზანი, თიკვა, რევივო, ბენაიუნი, მიზრახი.

**ესპანეთი — კვიპროსი**

დღეს ესპანელების გამარჯვებას მთელი ქვეყანა ელის. ჯერ ერთი, მოგების შემთხვევაში ისინი ფინალისტები ხდებიან. მეორეც, ესპანელებს არ დავიწყებიათ ის დამცირება, რომელიც მათმა ეროვნულმა გუნდმა შარშან ლარნაკაში იწვნია. მაშინ თამაში სენსაციურად დამთავრდა, კვიპროსელებმა 3:2 მოიგეს. „კვიპროსი ცუდი გუნდი არ არის, მაგრამ ჩვენ

გაცილებით ძლიერები ვართ. თანაც შარშანდელი წყენაც გვახსოვს" — ამბობს ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" ნახევარმცველი პეპე გვარდიოლა.

ნაკრების სათავეში ხოსე ანტონიო კამაჩოს მოსვლის შემდეგ, ესპანელებმა მართლაც ჩინებულად დაიწყეს თამაში და მოიგეს ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. შაბათს ავსტრიელებთან 3:1 გამარჯვებით კამაჩოს ბიჭებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჯგუფში პირველობის ღირსები ნამდვილად არიან.

ოთხი დღის წინანდელთან შედარებით, კამაჩო შემადგენლობაში ორ ცვლილებას გეგმავს: ხუან ვალერონის მაგიერ სასტარტოში ადგილს ხულენ გერერო დაიკავებს, ხოლო შეტევაში ფერნანდო მორიენტესის ნაცვლად ისმაელ ურსაისი ითამაშებს.

კვიპროსელებს კი პრობლემები მოსძალებიათ. დღეს მათ არ ეყოლებათ კვირას ისრაელთან ორი გოლის გამტანი მილენკო სპოლიარჩიჩი, აგრეთვე მცველ მარიოს ხარალამბუსს მოისაკლისებენ. ტრავმა ჰქონია ძირითადის კიდევ ერთ ფეხბურთელს, კოსტას კაიაფასს. „ჩემმა გუნდმა ამ ციკლში ყველა რეკორდი დაამსხვრია, მაგრამ არა მგონია, ესპანელების დამარცხება მეორედაც შევძლოთ" — ამბობს კვიპროსელთა მწვრთნელი სტავროს პაპადოპულოსი.

**ესპანეთი:** კანისარესი, მიჩელ სალგადო, იერო, პაკო ხემესი, სერხი, ხ. ეჩებერია, გვარდიოლა, გერერო, ლუის ენრიკე, რაული, ურსაისი

**კვიპროსი:** პანაიოტუ, კოსტაკისი, პიტასი, ხრისტოდოლუ, არისტოკლეუსი, მელანარკიტისი, ენგო მიტისი, კონსტანტინუ, გოგიჩი, პაპავასილიუ, ოკასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 31:5 | 15 |
| კვიპროსი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:10 | 12 |
| ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:6 | 10 |
| ავსტრია | 7 | 3 | 1 | 3 | 16:19 | 10 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:36 | 0 |

*10.10 ავსტრია — კვიპროსი, ესპანეთი — ისრაელი;*

### VII ჯგუფი

**რუმინეთი — პორტუგალია**

„მთავარი მატჩი" — ასე უწოდეს რუმინელმა ფეხბურთელებმა პორტუგალიასთან დღევანდელ მატჩს და მართლებიც არიან. თუ მასპინძლებმა გაიმარჯვეს, ისინი ევრო 2000-ის ფინალისტები ხდებიან.



REUTERS

იტალია დღეს ფინალისტობას შეეცდება. დინო ძოფის მითითებას კრისტიან ვიერი, მასიმო ამბროზინი და ფილიპო ინძაგი ასრულებენ

„ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. ეს ჯგუფის ნამდვილი ფინალია" — ამბობს რუმინელთა კაპიტანი გეორგე ჰაჯი. მცველი გეორგე პოპესკუ კი უფრო შორს მიდის. მისი აზრით, პორტუგალიელებთან თამაში მნიშვნელოვანია არა მარტო საკვალიფიკაციო თვალსაზრისით, არამედ საერთოდ, რუმინული ფეხბურთის რეალური სიძლიერის განსაზღვრისათვის: „მართალია, პორტუგალიასთან მატჩი ჯგუფის გამარჯვებულის გამოსავლენად სასიცოცხლოა, მაგრამ იმასაც კარგად დაგვანახებს, თუ რას წარმოადგენს დღეს რუმინეთის ნაკრები" — თქვა პოპესკუმ.

პორტუგალიელები, რომლებმაც შაბათს ბაქოში სენსაციური ფრე (1:1) ითამაშეს, დათმობას არ აპირებენ. „ჩვენ გამარჯვება გვჭირდება და ამისათვის ყველაფერს გავილებთ" — განაცხადა პორტუგალიელთა მცველმა ფერნანდო კოუტუმ.

სხვა მხრივ, ორი საუკეთესო გუნდის ვინაობა ამ ჯგუფში უკვე ცნობილია, რუმინეთსა და პორტუგალიას ველარავინ დაეწევა. ახლა მთავარია, ვინ დაიკავებს პირველ ადგილს.

**რუმინეთი:** სტელეა, პეტრესკუ, პოპესკუ, ფილიპესკუ, ნანუ, საბაუ, გალკა, ჰაჯი, მუნტეანუ, მოლდოვანი, ილიე

**პორტუგალია:** ბაია, ბენტუ, ფერნანდო კოუტუ, მადეირა, დიმაში, სერჟიო კონსეისაო, პაულო სოუზა, რუი კოშტა, ფიგუ, სა პინტუ, ჟოაო პინტუ

**უნგრეთი — აზერბაიჯანი**

**სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:2 | 20 |
| პორტუგალია | 8 | 6 | 1 | 1 | 28:3 | 19 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:7 | 9 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:22 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:34 | 4 |

*9.10 აზერბაიჯანი — სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი — რუმინეთი; 10.10 პორტუგალია — უნგრეთი*

### VIII ჯგუფი

**მაკედონია — იუგოსლავია**

ესეც ერთ-ერთი ჩახლართული ჯგუფია. ხორვატია, იუგოსლავია და ირლანდია — თითოეულ მათგანს პირველობის შანსი აქვს. ირლანდია დღეს, ალბათ, მალტას მოუგებს. იუგოსლაველები კი იმედოვნებენ, რომ ბოლო სამ დღეში მეორედაც დაამარცხებენ მაკედონიას. კვირას მათ ყოფილ თანამემამულეებს ბელგრადში 3:1 მოუგეს.

„კვირას მაკედონიელებმა გამაკვირვეს — თქვა იუგოსლაველთა მთავარმა მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა — გვეგონა, ერთი შემტევით გვეთამაშებოდნენ, მათ კი ფაქტობრივად ოთხი თავდამსხმელი გამოიყვანეს. კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ეს თამაში ჩვენთვის გაცილებით მეტს ნიშნავს და ვფიქრობ, გამარჯვებას ხელიდან არ გავუშვებთ."

სკოპიეში იუგოსლაველებს დისკვალიფიცირებული მცველი ნიშა საველიჩი და ტრავმირებული ალბერტ ნადი არ ეყოლებათ. თამაშს, ალბათ, დაშავებული სინიშა მიხაილოვიჩიც გააცდენს, თუმცა მას სასტარტოში ასახელებენ. არ იქნება დეიან სტანკოვიჩიც.

„ძნელი მატჩი გველის, მაგრამ შევეცდებით მოვიგოთ" — ასე მაკედონიელთა თავკაცი დრაგი კონატლაროვსკი ამბობს.

**მაკედონია:** მილოშევსკი, სტავრევსკი, იოვანოვსკი, ლაზარევსკი, ბაბუნსკი, სავევსკი, ვესელინოვსკი, მიჩევსკი, ხრისტოვი, ჩირიჩი, საკიკი

**იუგოსლავია:** კრალი, ბოლიჩი, მირკოვიჩი, მიხაილოვიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, გოვედარიცა, სტანკოვიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი, სტოიკოვიჩი

**მალტა — ირლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| იუგოსლავია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| ირლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:3 | 12 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 4:24 | 0 |

*10.10 ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია;*

### IX ჯგუფი

**ესტონეთი — შოტლანდია**

ამ ჯგუფში ლიდერი დიდი ხანია, გაირკვა.

ჩეხებმა ყველა მატჩი მოიგეს და ახლა მხოლოდ პრესტიჟისთვის თამაშობენ. მთავარი ბრძოლა მეორე ადგილისთვისაა გაჩაღებული. აქ ფავორიტები შოტლანდია (ყველაზე სავარაუდო მეორეადგილოსანი), ესტონეთი და ბოსნია არიან. დღეს შოტლანდიელები ტალინში თამაშობენ. მათ კარგად ახსოვთ პირველი მატჩი, როცა გლაზგოში ესტონელებს ძლივს მოუგეს (3:2). თანაც თავიდან აგებდნენ და ბოლოსღა გაიტანა დოდსმა გამარჯვების გოლი. თუ დღეს სქოთებმა იძალეს, პლეი ოფში მოხვედრა პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ.

**ჩეხეთი — ბოსნია**

**ფარერები — ლიტვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21:5 | 24 |
| შოტლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 11:10 | 11 |
| ესტონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:13 | 10 |
| ბოსნია | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| ლიტვა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| ფარერები | 8 | 0 | 3 | 5 | 4:14 | 3 |

*5.10 შოტლანდია — ბოსნია; 9.10 ჩეხეთი — ფარერები, ესტონეთი — ბოსნია, შოტლანდია — ლიტვა*

# გაძევებული კატანეცი იმედს არ კარგავს

**EURO 2000**
**ჩვენი ჯგუფი**

## ნორვეგია — სლოვენია

„ჯგუფის ფინალი" — ასე მონათლა ნორვეგიის მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბმა მომავალი მატჩი სლოვენიელთა წინააღმდეგ. მის ნაკრებს აგერ უკვე ერთი წელია, თამაში არ წაუგია. 19 ქულით ჯგუფის ლიდერები არიან და მოგების შემთხვევაში ერთი ტურით ადრე დაიბევებენ ჩემპიონატის საგზურს.

ინგლისის პრემიერლიგაში მოთამაშე სამი წამყვანი ფეხბურთელი — ტორე ანდრე ფლო „ჩელსიდან", სტეფან ივერსენი „ტოტენჰემიდან" და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გმირი ოლე გუნარ სოლსკიაერი „მანჩესტერიდან" — აი, ის ძირითადი ბირთვი, რომელზედაც სემბი იმედს ამყარებს.

„ეს უდიდესი პოტენციალია, რომლის ამოქმედებასაც ვაპირებ" — აცხადებს იგი.

სლოვენიელთა მთავარ მწვრთნელ სრეჩკო კატანეცს კი ორი ძირითადი პრობლემა აქვს — გუნდის დაცვის ხაზი და საკუთარი დისკვალიფიკაცია. საქართველოსთან მატჩში იგი მოედნიდან გააძევეს მსაჯთან შელაპარაკების გამო.

„არაფერი გვაქვს დასაკარგი. ნორვეგიელებისგან განსხვავებით, რომლებიც ჯგუფში პირველობის აშკარა ფავორიტები არიან, ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენს მხარეზეა, ამიტომ მთელ ყურადღებას თამაშზე გადავიტანთ, ვეცდებით, შანსები უკეთ გამოვიყენოთ, ვიდრე ეს ქართველებთან შევძელით" — ამბობს იგი.

კატანეცმა ნაკრებში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი — ჟელკო მიტრაკოვიჩი და ანტე სიმუნმა მიიწვია, რომლებიც შესაბამისად დარკო მილანიჩსა და ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულ მარინკო გალიჩს შეცვლიან.

**ნორვეგია:** ოლსენი, ბერგი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ჰეგემი, ფლო, ივერსენი, ლეონარდსენი, მიუკლანდი, სკამელსრუდი, სოლსკიაერი

**სლოვენია:** სიმეუნოვიჩი, კნავსი, მილინოვიჩი, ბულაიჩი, ნოვაკი, რუდონია, პავლინი, ზაჰოვიჩი, ჩეჰი, ოსტერცი, უდოვიჩი

**საბერძნეთი — ალბანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 1 | 1 | 15:8 | 19 |
| სლოვენია | 8 | 5 | 2 | 1 | 12:7 | 17 |
| ლატვია | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| საბერძნეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 |
| ალბანეთი | 8 | 0 | 4 | 4 | 6:11 | 4 |
| საქართველო | 8 | 1 | 1 | 6 | 5:14 | 4 |

*9.10 ალბანეთი — საქართველო, ლატვია — ნორვეგია, სლოვენია — საბერძნეთი*



REUTERS

ნორვეგია — საბერძნეთი 1:0. ოჯვინდ ლეონარდსენის გოლი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# მოქმედება მეორე: ანელკა მადრიდში

ნიკოლა ანელკას, ალბათ, სერიალები უყვარს. წინაალმდეგ შემთხვევაში იმის ახსნა, რატომაა იგი გაწელილი, სკანდალური ისტორიების მარადი გმირი, ძალიან ძნელია. ვის არ ახსოვს ანელკას ლონდონურ თავგადასავალთა ჯაჭვი, მისი ინტერვიუები და დაუსრულებელი ჯიბრი. მოგეხსენებათ, რითიც დასრულდა ყველაფერი: „არსენალმა“ ფრანგი თავდამსხმელი მადრიდის „რეალს“ მიჰყიდა. და აი, ახალი სერიალი: პრესის ცნობით, ანელკამ მადრიდელ თანაგუნდელებს, რაულსა და ფერნანდო მორიენტესს საშუალო ნიჭის ფეხბურთელები უწოდა.

აქ გონებაში უნებურად ილვიძებს ანელკას და მისი ყოფილი, არსენალელი თანაგუნდელების, დენის ბერხკამპის და მარკ ოვერმარსის ურთიერთობის სურათები. მათზედაც იმავეს ამბობდა ფრანგი, საშუალონი არიან და პასებს მხოლოდ ერთმანეთს აწვდიან, რადგან ჰოლანდიელები ბრძანდებიან, მე კი როგორც ფრანგს ბურთს მიძვირებენო.

კიდევ უფრო სენსაციურად გაიჟღერა ანელკას სხვა გამონათქვამმა: „თუ ფეხბურთმა სიამოვნება აღარ მომანიჭა, ყველაზე კარგი გამოსავალი მისთვის თავის დანებება იქნება“.

ყოველივე ამას, ბუნებრივია, სწრაფი რეაგირება სჭირდებოდა და „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა, თავისი 35,7 მილიონ დოლარიანი ინვესტიციის დაცვა არ დააყოვნა.

„ველაპარაკე ანელკას და მან უარყო, რომ ეს მისი სიტყვებია. ანელკამ ალგვითქვა, ჩემი ერთადერთი მიზანი „რეალში“ თამაში და „რეალისთვის“ ტიტულების მოპოვებააო. კლუბში კი სრული სიმშვიდეა. ყველამ იცის, რომ ის, რაც გაზეთებში დაიბეჭდა, სრული სიცრუეა, რადგან ეს ცნობები ინგლისიდან მოდის. ნუ დაგვავიწყდება, ნიკოლა მხოლოდ 20 წლისაა, ამიტომაც იმის ფიქრი, რომ ფეხბურთის თამაშს



ნიკოლა ანელკა

თავს დაანებებს, აბსურდია“. — თქვა პრეზიდენტმა.

ანელკას ძმამ, დიდიემ, ესპანურ გაზეთ „მარკას“ მისცა ინტერვიუ. იგი ამბობს:

„თუ ეს სიტყვები მართლა ჩემს ძმას ეკუთვნის, მაშინ ცხადია, რომ გულგარე ნათქვამია. იგი ცდილობს ახალ ქალაქს შეეგუოს, შეერწყას ახალ გუნდს და ადამიანებს. ამიტომაც სიმშვიდე და მოთმინება სჭირდება“.

მოგეხსენებათ, ანელკა „რეალს“ აგვისტოში შეუერთდა და ჯერჯერობით ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება უჭირს. არადა მადრიდელთა სხვა „ახლები“ გარემოს უცბათ შეეგუენ.

ესპანური პრესა-ტელევიზია ფრანგი ჭაბუკის მიმართ, ზოგადად, სანიმუშო მოთმინებას იჩენს. აქაურმა ჟურნალისტებმა კარგად იციან, რომ ახალი ცხოვრების დაწყებას დრო სჭირდება, მაგრამ ახლა, მის გამო უეჭველად დაიწერება სტატიები.

ამბობენ, თითქოს გასულ კვირას ანელკას უთქვამს, თუ ჩემი ფოტოების ბეჭდვას გააგრძელებენ, ინტერვიუს ერთ გაზეთსაც აღარ მივცემო.

ვნახოთ, დღეს საფრანგეთის ნაკრები ერევანში სომხეთს ეთამაშება, მერე კი ჭაბუკი მადრიდს უნდა დაუბრუნდეს.

# შავ-თეთრი ამბები

სანამ ევროპა სანაკრებო ციებ-ცხელებას ჰყავს მოცული, რიგებშეთხელებული კლუბები თავიანთ საწვრთნელ ცენტრებში მაქსიმალურად ცდილობენ თამაშებისგან თავისუფალი დროის გამოყენებას.

მაგალითად, „იუვენტუსი“ ტურინის „სტადიო კომუნალეზე“ ემზადება სერია A-ს მეორე ტურში „კალიარისთან“ და უეფას თასის პირველ ეტაპზე კვიპროსის, კერძოდ ნიქოზიის „ომონიასთან“ შესახვედრად. „ომონიასთან“ შავ-თეთრები 16 სექტემბერს სტუმრობენ, საპასუხო შეხვედრა კი 30 სექტემბერს ელით, ოღონდ, კლუბის გადაწყვეტილებით იგი ტურინში კი არა, სიცილიაზე, პალერმოში გაიმართება.

„იუვეს“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის, უახლოეს დღეებში ორჯერადი და ერთჯერადი ვარჯიშების მონაცვლეობა დაუწესებია, ხოლო გასული შაბათი და კვირა სულაც უქმეებად გამოუცხადებია. აღსანიშნავია, რომ შავ-თეთრებს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში მივლინებული ბევრი ფეხბურთელი ორაშაბათამდე არ ეყოლებათ თავის განკარგულებაში. კერძოდ, მივლინებულნი არიან: პაოლო მონტერო, ედვინ ვან დერ სარი, ედგარ დავიდსი, იგორ ტუდორი, ზორან მირკოვიჩი, დარკო კოვაჩევიჩი, ზინედინ ზიდანი და საკუთრივ იტალიის ნაკრებში გამოძახებულები ფილიპო ინძაგი და ანტონიო კონტე.

ამასობაში, გულშემატკივრებთან საკომპიუტერო ინტერვიუსთვის მოიცალა ტურინელთა ახალწვეულმა, ნიგერიის ნაკრების მოთამაშემ, სანდი ოლისემ.

ინტერვიუში იგი ამბობს, რომ გუნდს საუცხოოდ შეეწყო და ფეხბურთელებთან როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ უკვე გამონახა საერთო ენა.

„არც კი ველოდი ახალ გარემოს ასე სწრაფად თუ შევეგუებოდი“ — ამბობს ოლისე და დასძენს, რომ „იუვენტუსი“ საკმაოდ ძლიერ გუნდად მიაჩნია საიმისოდ, რომ უმაღლესი მწვერვალები დაიპყროს.

შემდეგ ნიგერიელს მისი ახლანდელი გუნდის ძველთან, „აიაქსთან“ შედარებას სთხოვენ.

„ორივე ჩინებული გუნდია, მაგრამ „იუვენტუსში“ თამაში უფრო ძნელია, ვინაიდან იტალიის ჩემპიონატში ნებისმიერს შეუძლია შენი დამარცხება“ — პასუხობს იგი და ბოლოს აცხადებს, რომ ნიგერიის ნაკრები აუცილებლად გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

# ტოლდო ამბოხებას იწყებს

ამ ბოლო დროს სერია A-ს ფეხბურთელებისგან ხშირად ისმის, არსად გადასვლას არ ვაპირებო. ბოლოს ასეთი სიტყვების თქმა „ფიორენტინას“ მეკარეს, ფრანჩესკო ტოლდოს მოუხდა. იგი შესაძლო ტრანსფერს ებრძვის.

საქმე ის გახლავთ, რომ მას მერე, რაც ევროპულ ფეხბურთში ბოსმანური წეს-კანონი დამკვიდრდა, კლუბები, რომელთა ესა თუ ის ფეხბურთელი კონტრაქტის ვადის ამოწურვას უახლოვდება, მის გაყიდვას ეშურებიან. ასეთი გზით ისინი ფულს შოულობენ იმ მოთამაშის სანაცვლოდ, რომელიც ცოტა ხანში თავისუფალ აგენტად იქცევა და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გადავა სადაც მოესურვება.

მაგრამ ტოლდო, იტალიის ეროვნული გუნდის მეორე გოლკიპერი, ისევ ფლორენციაში აპირებს დარჩენას და იმედს გამოთქვამს, რომ კლუბთან კონტრაქტის განახლებაზე წარმატებით მოილაპარაკებს.

„არადა, ვეჭვობ, რომ „ფიორენტინა“ და „ლაციო“ ჩემს თაობაზე გარიგებულნი არიან და სეზონის ბოლოს დედაქალაქში მიპირებენ გადაბარგებას“ — უთხრა მეკარემ „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდეტს — „მე კი მაისურას გამოცვლა არ მინდა. ფლორენცია საუცხოო ქალაქია, „ფიორენტინა“ კი გუნდი, რომელსაც სკუდეტოს მოპოვება შეუძლია. მაშ რატომ უნდა წავიდე სადმე? პირიქით, 2004 წლამდე მსურს აქ დარჩენა“.

შედმეგ ტოლდომ „ფიორენტინას“ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორისგან „ლაციოსთან“ გარიგების სახალხოდ უარყოფა მოითხოვა.

„მსურს, პრეზიდენტმა ჩეკი გორიმ აშკარად თქვას, რომ ტოლდო ფლორენციაში დიდხანს დარჩება. დროა ყველაფერს ნათელი მოეფინოს“ — განაცხადა გოლკიპერმა.

ეს ისტორია გაგრძელება გახლავთ იმისა, რაც ბოლო დროს ხდება. გაიხსენეთ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკისა და ნიკოლა ანელკას ამბავი. ამ ფეხბურთელებმა თავიანთ გუნდებს, „ლიდს იუნაიტედსა“ და „არსენალს“ მათი გაყიდვა მოსთხოვეს და წინაალმდეგობის მიუხედავად გაიმარჯვეს.

შეიძლება საპირისპირო მაგალითების მოყვანაც: „ინტერის“ ნახევარმცველმა, ტარიბო ვესტმა და მისმა მილანელმა კოლეგამ, იბრაჰიმ ბამ, თავიანთ კლუბებს თავი არ გააყიდინეს. პირველმა „გალათასარაიში“ გადასვლა იუარა, მეორემ კი „მიდლსბროში“.

„მე გასაყიდი ნივთი კი არ ვარ. ვერავინ იტყვის ტარიბო ვესტის ამბავი დამთავრებულია, თურქეთში ან საბერძნეთში ვყიდითო. მე თუ გადავალ, მხოლოდ „ინტერის“ დონის გუნდში“ — განაცხადა ვესტმა.

თუმცა არსებობს ძველებური პრეცედენტიც: ლუიჯი დი ბიაჯო „რომამ“ „ინტერში“ გაყიდა, რადგან რომაელთა მწვრთნელს, ფაბიო კაპელოსა და კლუბის პრეზიდენტ ფრანკო სენსის იგი არ ჭირდებოდათ, თორემ მოთამაშე რომში დარჩენის წინაალმდეგი სულაც არ იყო.

### ფეხბურთის რუკასთან



შოტლანდიური მედიის ჯგუფი შეუერთდა იმ ბრიტანულ ტელეკომპანიებს, რომელთაც საფეხბურთო კლუბები აქვთ შესყიდული. ამ კორპორაციამ 12,8 მილიონ დოლარად ქვეყნის პრემიერლიგის კლუბი „ჰართსი“ შეიძინა. SMG-მ (შოტლანდიური მედიის ჯგუფი) ამ ჯერზე „ჰართსის“ 19,9 პროცენტი შეისყიდა, თუმცა ხელშეკრულებაში ისიც ჩაწერა, რომ მომავალში უკვე გადახდილი თანხის ნახევარსაც გაიღებს და შედეგად კლუბის 37,4 პროცენტის მფლობელი შეიქნება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთში ტელეკომპანიებისა და საფეხბურთო კლუბების დამოყვრების საქმემ ერთობ გაშალა ფრთები. კერძოდ, ორიოდ კვირის წინ „გრენადამ“ „ლივერპულის“ 9,9 პროცენტი შეისყიდა, ხოლო ყბადაღებულმა BSKYB-მ „ლიდს იუნაიტედის“ 9 პროცენტი აქცია თავისად. ზემოხსენებული SMG ცენტრალურ და ჩრდილო შოტლანდიაში კომერციულ ტელეარხებსაც ფლობს და გვარიანი რაოდენობის გაზეთებსაც გამოსცემს, რომელთა შორის ისეთი მრავალტირაჟიანი გამოცემაც კი გახლავთ, გლაზგოური „ჰერალდი“ რომ არის.

არგენტინის პირველობაზე „რივერ პლეიტმა“ „ბელგრანოს“ 4:3 მოუგო და ცხრილის სათავეში აინაცვლა, ხოლო ყოფილმა ლიდერმა „სან ლორენსომ“ „რასინგთან“ 1:1 ითამაშა. სეზონის წინ ფავორიტად მიჩნეულმა „ბოკა ხუნიორსმაც“ ფრედ, 1:1 ითამაშა. მისი მოწინააღმდეგე „არგენტინოს ხუნიორსი“ გახლდათ. „ჩაკარიტა ხუნიორსმა“, რომელიც 13 წლიანი მონდომების ბოლოს, როგორც იქნა უმაღლეს დივიზიონში დაბრუნდა, „ფერო კარილ ოესტეს“ 4:1 მოუგო.

მექსიკაში „გვადალახარამ“ ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან „ტიგერსს“ სძლია 4:0. „ლეონმა“ ცხრილის სათავეში მოქცევის შანსი გაუშვა ხელიდან, რადგან „ამერიკასთან“ 2:2 ითამაშა, ხოლო ლიდერმა, „ნეკაქსამ“ „ატლასს“ ვერ აჯობა — 1:1. გასული ჩემპიონატის გამარჯვებულის „ტოლუკასა“ და „პუმას“ შეხვედრა ჩემპიონის გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. ორივე გოლი ხოსე სატურნინიო კარდოსომ შეაგდო. ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ როგორც იქნა მოიგო „ტოროს ნესამ“. მიუხედავად იმისა, რომ მის შემადგენლობაში ბრაზილიელი ვარსკვლავი ბებეტო არ ჩანდა, გუნდმა „სელაიას“ 3:1 აჯობა.

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველ მარიო ბასლერს მინიმუმ ექვსი კვირით მოუწევს დასვენება — განაცხადა კლუბის ექიმმა, ჰანს ვილჰელმმა. სუპერმარიომ „ბაიერნსა“ და გერმანიის მეორე დივიზიონის გუნდ „ნიურნბერგს“ შორის გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო.

ბრაზილიაში ცნობილი ფეხბურთელი რომარიო თავის კლუბს „ფლამენგოს“, ალბათ, ჯარიმას გამოსტყუებს. საქმე ის გახლავთ, რომ „ფლამენგოსა“ და „ბოტაფოგო რიბერიაო პეტროს“ შეხვედრაში, რომელშიც რომარიომ ორი გოლი გაიტანა, ვარსკვლავს მაისურაზე ქვეყნის პრეზიდენტის, ფერნანდო ენრიკე კარდოსოს მხარდასაჭერი ლოზუნგი ეწერა. ვინაიდან კლუბის წესებით მის მოთამაშეებს პოლიტიკურ პროპაგანდაში მონაწილეობა ეკრძალებათ, რომარიოს ბოდიშის მოხდა და პირობის დადება, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება, უკვე მოუხდა. „მე მხოლოდ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მინდოდა“ — განაცხადა ვეტერანმა თავდამსხმელმა. „ფლამენგომ“ „ბოტაფოგო რიბერიაო პეტროს“ 4:1 მოუგო, ხოლო „ვასკუ და გამას“ „ატლეტიკო მინეიროს“ დამარცხება ერთობ გაუჭირდა. საბოლოოდ „ვასკუმ“ დონიზეტის მიერ 78-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მაინც მოახერხა მოგება. ამასობაში „პალმეირასმა“ და „კრუზეირომ“ ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მსაჯმა ათჯერ აღმართა ყვითელი ბარათი. რაც შეეხება „ბოტაფოგოს“, ის ძველებურად აგებს. ამჯერად იგი „ინტერნასიონალის“ მსხვერპლი შეიქნა — 2:3. „ბოტაფოგო“ ცხრილში ბოლო ადგილზეა.

ინგლისური პრემიერლიგის „მიდლსბრო“ კიდევ ერთი ფეხბურთელით გამდიდრდა: ბრაიან რობსონის გუნდმა არგენტინის 18 წლამდელთა ნაკრების წევრ, კარლოს არტურო მარინელიში 1,5 მილიონი გირვანქა ანუ 2,4 მილიონი დოლარი გაიღო. მარინელი ის მოთამაშე გახლავთ, რომელსაც სამშობლოში ზოგიერთებმა ახალი მარადონაც კი შეარქვეს. ამიერიდან ახალი მარადონა, რომლის გულისთვისაც რობსონი თავისი ფეხით ჩავიდა ბუენოს აირესში „ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად, „მიდლსბროში“ ხუთ წელიწადს გაატარებს. მარინელი — მარადონა ინგლისში ამ კვირის ბოლოს ჩავა და მიდლსბროელი ვარსკვლავების, პოლ გესქოინის, პოლ ინსის და სხვათა მარაქაში გაერევა. იქვე იქნება მისი თანაკონტინენტელი, კოლუმბიელი ამილტონ რიკარდიც, ხოლო ბრაზილიელი ჟუნინიო, როგორც კი ბრიტანეთში შრომის უფლებას მიიღებს, მყისვე გაეცნობა ახალ მარადონას. რობსონმა თქვა: „ამ ბიჭს უდიდესი პოტენციალი აქვს. ყველა, ვისაც კი მისი თამაში უნახავს, იზიარებს აზრს, რომ იგი თანატოლთა შორის მსოფლიოში საუკეთესოა. მოლაპარაკებებმა კარგად ჩაიარა. კარლოსს ერთი სული აქვს, როდის შეუდგება საქმეს“.

სომხეთის ნაკრების მეკარის რომან ბერეზოვსკის ბოლოდროინდელმა კარგმა თამაშმა ევროპული კლუბების ინტერესიც გააღვიძა. ფრანგული „ეკო“ წერს, რომ პეტერბურგის „ზენიტის“ მეკარით საფრანგეთის პირველი დივიზიონის „მონპელიე“ დაინტერესდა, თუმცა ბერეზოვსკი მისთვის ერთობ „ძვირფასია“. აღმოჩნდა, რომ სომეხი მეკარით ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ და იტალიური „ლაციოც“ დაინტერესდნენ. „ჩემთვის ევროპაში თამაში დიდი ბედნიერება იქნებოდა — ამბობს ბერეზოვსკი — მაგრამ ჯერ საფრანგეთის ნაკრებთან უნდა გამოვიჩინო თავი.“ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ სომხეთის ნაკრების ბოლოდროინდელ აღზევებაში დიდი წვლილი სწორედ ბერეზოვსკის მიუძღვის.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



# მომსახურე

*წესია, რომ ინტერვიუს შესავალი უნდა ჰქონდეს. შესავალში რესპონდენტს წარადგენენ ხოლმე, მერე კი მსუბუქად ეხებიან საუბრის ძირითად თემას ან ყველაზე საინტერესო ნაწილს. ჩვენ, ამ წესს ვარღვევთო, ვერ ვიტყვით, რადგან რასაც ახლა კითხულობთ, უკვე შესავალია, მაგრამ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თქვენს წინაშეა მსოფლიოს ჩემპიონი, 1998 წლის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი, საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი...*

**— მუხლის ტკივილმა კარგა ხანი გაგაცდენინათ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— საქმეს სულ ახლახან დავუბრუნდი. თავს კარგად ვგრძნობ. გასულ სეზონში ბევრი ვითამაშე, შემდეგ კი მუხლი დამიშავდა და ამან დასვენების საშუალება მომცა. დღეს ნელნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვიბრუნებ ფორმას. ბუნებრივია, ასპროცენტიან მზადყოფნამდე ბევრი მაკლია, რადგან სერია A-ში ჯერჯერობით ერთადერთი შეხვედრა ჩავატარე თავიდან ბოლომდე, მაგრამ ამბიციებით ძველებურად სავსე ვარ.

**— გასულ სეზონშიც არ იყავით საუკეთესო ფორმაში. ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თანამედროვე ფეხბურთში კალენდარი გადატვირთულია და მოთამაშეებს გადაწვის საფრთხე ემუქრებათ?**

— სრული სიმართლეა: ყოველი მომდევნო სეზონი უფრო და უფრო გადატვირთული ხდება. ბოლო დროს ძალიან ბევრი, აშკარად ზედმეტი შეჯიბრება დაგვიგროვდა. გასაგებია, რომ ახალ-ახალი სანახაობის სურვილი დიდია, მაგრამ მათ ძებნაში ბევრ უინტერესო შეხვედრათა რაოდენობა მატულობს. როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ადამიანი აურაცხელ მატჩებს ადევნებს თვალს, თუნდაც ყველაზე თავგადაკლული ქომაგი იყოს, ხვდება, რომ გადაიღალა და მოყირჭების გრძნობა ეუფლება. საკუთარი მაგალითით ვიმსჯელებ: როდესაც თავად არ ვთამაშობ, ფეხბურთს არ ვუცქერ, ტელევიზორს არ ვრთავ. ამდენი ფეხბურთი არ შეიძლება.

**— შიგადაშიგ ხომ არ გეუფლებათ გრძნობა, რომ ყველაფერი ეს თქვენთვის მომაბეზრებელი გახდა? ბოლოს და ბოლოს ფინანსურად გარანტირებული კაცი ბრძანდებით.**

— იცით, არის დღეები, როდესაც ვილვიძებ და ვფიქრობ: „დღეს ვარჯიშის ხასიათზე აშკარად არ ვარ, სიამოვნებით დავრჩებოდი შინ". ასეთი რამ ბევრ ადამიანს მოსდის, როდესაც სამსახურში გადაიღლება, რადგან კაცის ბუნება გახლავთ ამგვარი. მაგრამ, ზოგადად, ჩემი პროფესია მიყვარს და როდესაც მოედანზე ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ, მითუფრო, თუ კარგა ხანია აღარ მითამაშია.

**— დღეს საფრანგეთის ნაკრები დიდი ზეწოლის ქვეშაა...**

— დაუშვებელია იმ შეცდომების გამეორება, ბოლო შეხვედრებში რომ მოგვივიდა, მით უფრო, რუსეთის ნაკრებთან. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ხელახლა წინ გასვლით უდიდესი საქმე გავაკეთეთ და სულელურად გავუშვით გამარჯვება ხელიდან. ეს ძალიან გამაღიზიანებელი გახლდათ. აუცილებლად უნდა აღვადგინოთ დაცვის სიმტკიცე, რაც ჩვენი წარმატების საფუძველი გახლდათ. გუნდი, რომელიც გოლს არ გაუშვებს, სულ მცირე, არ წააგებს. ჩვენს ნაკრებში თავდასხმისგან განსხვავებით დაცვა არ იცვლება. ხომ გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშიდან მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით, ხორვატიასთან. იმისთვის, რომ ისეთივე დონეზე ავიდეთ, ყველამ ერთად, კოლექტიურად უნდა ვითამაშოთ.

**— ბოლო შეხვედრებში თავდასხმა შეუთამაშებელი ჩანდა, რაც, ალბათ, განგაშის საბაბს იძლევა.**

— სწორედ ამიტომ არსებობს თამაშისწინა შეკრება. ჩვენი თავშეყრის მიზანი ერთმანეთის უკეთ გაცნობა გახლავთ. უსწორმასწორებები შეკრებაზე უნდა გაშალაშინდეს.

**— კარიერაში ძალიან ლამაზი გოლებიც გაგიტანიათ, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორ აღიქვამთ თავს, ვინ ხართ უპირველეს ყოვლისა, გოლების შემქმნელი თუ გამტანი?**

— ხშირად მითქვამს, ჩემი საქმე საკუთარი თავის ისე მომართვაა, თანაგუნდელებს ყველაზე მეტად რომ გამოვადგე. რამდენადაც მესმის, სწორედ ეს როლი მაკისრია. ყოველ წუთს უნდა შემეძლოს ისე მოქმედება, რომ სხვებმა უნარი მაქსიმალურად გამოავლინონ. მნიშვნელობა არ აქვს, ის სხვები ვინ არიან.

**— ნიკოლა ანელკას რამდენად კარგ ფეხბურთელად თვლით?**

— ნიკოლა ის ფეხბურთელი გახლავთ, რომლის მოძებნაც თამაშის დროს იოლი საქმეა. იგი ხომ ძალიან სწრაფია და მეურვეთაგან დასხლტომის დიდებული უნარი აქვს. ის საშუალებას მაძლევს, გრძელი პასები მივაწოდო. ნამდვილად კარგად გვესმის ერთმანეთის. ისიც, ჩემი არ იყოს, დიდი ხნის უთამაშებელია და მჯერა, შეძლებს ფორმის აღდგენას.

**— ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლი მთავრდება. ხომ არ გაიხსენებდით ევრო 96-ის შესარჩევი ციკლის შეხვედრას რუმინეთის ნაკრებთან, რომელიც 1995-ის ოქტომბერში გაიმართა. იმ შეხვედრაში საფრანგეთმა 3:1 მოიგო და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.**

— იმ თამაშმა ნამდვილად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი გონებიდან არასდროს ამომეშლება, რადგან ჩვენგან გამარჯვებას არავინ ელოდა. იმ საღამოს რაღაც განსაკუთრებულს მივაღწიეთ. მე შემიძლია რუმინეთთან შეხვედრის ყოველი წამი გავიხსენო, ხოლო ჯამში, აკი მოგახსენეთ, დიდებული შეხვედრა გამოვიდა.

**— მას მერე თქვენი ცხოვრება, ალბათ, ძალიან შეიცვალა, არა?**

— ჩემთვის არა. ხალხისთვის, ალბათ. მართალია, მას მერე ჩემს კარიერაში, ისევე როგორც საფრანგეთის ნაკრების ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი ამბები მოხდა, კლასი ავიმაღლეთ, საყოველთაო აღიარებას მივაღწიეთ, ფეხბურთელებიც ნაწილობრივ სხვანი არიან, მაგრამ მოვლენებს როგორც მაშინ, ახლაც ისევე ვუყურებ. ჩემი როლი არ შეცვლილა. დღესაც საფრანგეთის ნაკრების მეათე ნომერი გახლავართ და ფუნქციად კვლავ თავდამსხმელების მომსახურება მრჩება. დღესაც იმავეზე ვარ პასუხისმგებელი, რუმინეთთან, თქვენს მიერ მოგონებულ შეხვედრაში რომ ვიყავი.

**— თქვენს გარეშე საფრანგეთის ნაკრები სულაც არ ჰგავდა გუნდს, რომელსაც მთელი მსოფლიოს დამარცხება შეუძლია. გრძნობთ, რომ გულშემატკივარი და პრესა თქვენს მხრებზე უზარმაზარ ტვირთს გკიდებთ?**

— ვგრძნობ, მაგრამ შეჩვეულიც გახლავართ. ისე, ასეთი მოთხოვნა ცოტა არ მესმის. გუნდში ჩემს წილ საქმეს ვაკეთებ, ეს არის და ეს. შეუცვლელი არავინაა. საფრანგეთის ნაკრები მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. მასში ყველა საკუთარი თავის როლს ასრულებს.

**— წარმოგიდგენიათ მომავალ ზაფხულზე ევროპის პირველობა საფრანგეთის ნაკრების გარეშე?**

— ერთი წუთითაც ვერ წარმოვიდგენ.

**365-დან თარგმნა**
**ბაბუნა ქედიამ**



ალესანდრო ნესტა

## სანამ 28 წლისა გახდება

ალესანდრო ნესტამ „ლაციოსთან" კონტრაქტი 2004 წლამდე განავრცო — ეს ცნობა თავად რომაულმა კლუბმა გაავრცელა.

იტალიის ნაკრების მცველს ვიცე-ჩემპიონთან ხელშეკრულების ვადა მხოლოდ 2001 წელში ეწურებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელი და კლუბი ისე შეეწყვნენ ერთმანეთს, რომ ხელახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებას ახლავე შეუდგნენ და რამდენიმე კვირაში შეათანხმეს კიდევაც ყველაფერი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ახალგაზრდობისა — ნესტა მხოლოდ 23 წლისაა — იგი „ლაციოში" უკვე მეშვიდე სეზონს ატარებს და გუნდის კაპიტანიც გახლავთ.

ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე
კვალიფიციურად მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს
დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე



ალი მაკკოისტი



რობერტ დიუვალი

## არარსებული, ნამდვილი ფინალი

ხალხო არტისტი ნაშრომს დამაჯერებლობას შესძენს და მათი ღრიალი დიდი ეკრანიდან ერთობ პროფესიულად გაისმება.

12,02 მილიონ დოლარად შეფასებული ფილმის პროდიუსერი, რობ კარლინერი ამბობს: „ჩვენ „ჰემპდენის" ცნობილი ატმოსფეროს მადლიანად ასახვა გვინდოდა".

მაკკოისტი, რომელსაც შოტლანდიის ნაკრებში ჩატარებულ 60 შეხვედრაში 19 გოლი აქვს გატანილი და 1992 წელს ევროპის „ოქროს ბურთს" ანუ საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს ფლობდა, დღეს 37 წლისაა და „რეინჯერსში" გატარებული 15 წლისა და შეგდებული 350 გოლის შემდეგ კვლავ ქვეყნის პრემიერლიგაში, ოღონდ ახლა უკვე „კილმარნოკში" თამაშობს.

თუმცა კინოკარიერის დაწყებისკენ მისთვის გოლებს არ უბიძგებია, მაკკოისტი კამერასთან BBC-ს ტელევიზიამ დააახლოვა, სადაც სპორტული შოუ მიჰყავს. სწორედ იქ, BBC-ს სტუდიაში გაჩნდა ეჭვი, რომ იგი კამერის წინაც ისეთივე ძლიერია, როგორც კარის წინ იყო.

კარლინერი დასძენს: „ჩვენ „თასის ფინალისთვის" ნამდვილი ფეხბურთი გავაჩაღეთ. მასში პროფესიონალებმა მიიღეს მონაწილეობა და აღმოჩნდა, რომ ისინი როლებს უკეთ ასრულებენ, ვიდრე მსახიობები ფეხბურთს თამაშობენ".

გლაზგოში, შოტლანდიელთა ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე, კვირა დღეს, 23 ათასი ადამიანი ექვსი საათის განმავლობაში იჯდა და წარმოსახვით მატჩს ადევნებდა თვალს.

არა, ისინი არ გაგიჟებულან, როლს ასრულებდნენ, საკუთარ როლს. იმ დღეს „ჰემპდენ პარკზე" ფილმს იღებდნენ და როდესაც ყველაფერი დამონტაჟდება, ის 23 ათასი კინოთეატრში ბილეთს აიღებს, რათა ერთი წამით საკუთარი თავი ეკრანზე იხილოს. ფილმში ოსკარის მფლობელი მსახიობი რობერტ დიუვალი და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ალი მაკკოისტი თამაშობენ.

ფილმს „თასის ფინალი" ერქმევა. ესაა ზღაპარი — ისტორია ერთი პატარა სოფლის გუნდისა, რომელიც ძონძებიდან „ჰემპდენის" პროჟექტორთა შუქამდე ამაღლდება. „თასის ფინალის" პროდიუსერებს სწამთ, რომ ეპიზოდში გადაღებული 23 ათასი სა-

სასაცილოა: მაკკოისტი, როგორც მოგახსენეთ, „რეინჯერსის" მოთამაშე გახლდათ, ფილმში კი ამ გუნდის დაუძინებელი მტრის, „სელტიკის" ყოფილი მოთამაშის როლს ასრულებს. მისი გმირი, გამოგონილ კლუბს, „კილნოკის" შეუერთდება და შოტლანდიის თასის ფინალში გაიყვანს, სადაც... „რეინჯერსს" შეხვდება.

სცენარის მიხედვით „კილნოკი" მეთევზეთა პატარა სოფლის გუნდია, რომელსაც დიუვალის გმირი უდგას სათავეში. შეგახსენებთ, რომ რობერტ დიუვალი ის მსახიობი გახლავთ, ფრენსის ფორდ კოპოლას ცნობილ ფილმ „ნათლიაში" დონ ვიტო კორლეონეს კონსილიერის, თომ ჰეიგენის როლი რომ აქვს შესრულებული.

„თასის ფინალის" გადაღებისთვის შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ თვით 125 წლიანი ჯილდო, ქვეყნის თასი გამოასვენა „ჰემპდენ პარკზე".

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### ევროპის ჩემპიონატისშესარჩევი მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8.09 | 501 | შვეიცარია — ბელარუსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 502 | იტალია — დანია | 1,5 | 2,8 | 7,5 |
| | 503 | საბერძნეთი — ალბანეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 504 | ნორვეგია — სლოვენია | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,5 |
| | 505 | საქართველო — ლატვია | ანგარიში — 5,0 | | |
| | 506 | გერმანია — ჩრდ. ირლანდია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | 507 | მოლდოვა — თურქეთი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | 508 | ანდორა — რუსეთი | 17,0 | 10,0 | 1,02 |
| | 509 | ისლანდია — უკრაინა | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| | 510 | სომხეთი — საფრანგეთი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| | 511 | ლუქსემბურგი — შვედეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| | 512 | პოლონეთი — ინგლისი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 513 | ისრაელი — სან მარინო | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | | 0:3 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 514 | ესპანეთი — კვიპროსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| | 515 | რუმინეთი — პორტუგალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 516 | სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | | 0:3 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| | 517 | უნგრეთი — აზერბაიჯანი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| | 518 | მაკედონია — იუგოსლავია | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 519 | მალტა — ირლანდია | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| | 520 | ჩეხეთი — ბოსნია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:2 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| | 521 | ფარერები — ლიტვა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 522 | ესტონეთი — შოტლანდია | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიპოვებს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | ატლეტიკო | 10,0 | ლანსი | 15,0 |
| პარმა | 4,0 | დეპორტივო | 10,0 | მონპელიე | 25,0 |
| რომა | 5,0 | მალიორკა | 10,0 | ბენფიკა | 25,0 |
| ლიდსი | 5,0 | მონაკო | 10,0 | ლოკომოტივი | 50,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 | კაიზერსლაუტერნი | 10,0 | ვიტესი | 50,0 |
| აიაქსი | 5,0 | ვერდერი | 10,0 | სელტიკი | 50,0 |
| უდინეზე | 7,0 | ვოლფსბურგი | 15,0 | სპორტინგი | 50,0 |
| ბოლონია | 7,0 | ანდერლეხტი | 15,0 | გიოტებორგი | 100,0 |
| ნიუკასლი | 7,0 | ბრიუგე | 15,0 | ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 | ლიონი | 15,0 | როდა | 100,0 |
| სელტა | 10,0 | ნანტი | 15,0 | | |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი — I ადგილზე, გასვლა — გასვლაზე, IV ადგილი — IV ადგილზე, თასის აღება — თასის აღებაზე)*

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია** (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

ეროვნული

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ქართველებმა ბალტიური ყამირი გატეხეს

## ლევან ქარაბაკმა ჰეინო ლილს ვერ უღალატა

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ლევან ქარაბაკმა ჯერ კიდევ ფინეთის „ვოიკოტში“ თამაშის დროს მიიპყრო ესტონელი სპეციალისტის ჰეინო ლილის ყურადღება, რომელიც ამჟამად ესტონეთის ჩემპიონ ტალინის „ბკ ტალინს“ უდგას სათავეში.

ფინეთიდან დაბრუნებულმა ქარაბაკმა გასული საკალათბურთო სეზონი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე თსუ-ში დაასრულა და სტუდენტთა პლეი ოფში გასვლაში ლომის წილი დაიდო.

შემდეგ ქარაბაკმა რამდენიმე კვირა ივარჯიშა რუსეთის სუპერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდის სარატოვის „ავტოდორის“ ბაზაზე, მაგრამ კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ ის და გუნდის ხელმძღვანელობა. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულ ქართველ კალათბურთელს კი მოსვენება დაუკარგა ჰეინო ლილმა და დაჟინებით სთხოვდა ესტონეთში ჩასვლას.

ბალტიისპირეთში ჩასული ქართველი თავდამსხმელით თავიდან საპორტას თასზე მოასპარეზე ტარტუს საკალათბურთო გუნდი დაინტერესდა, რომელმაც გასული სეზონი „პოლარისის“ სახელწოდებით დაასრულა, მომავალი სეზონისთვის კი მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, რაც შემდეგში მდგომარეობს — საპორტას თასზე მოასპარეზე ესტონელებს „ესტონიან ტელეკომი“ ერქმევა. ხოლო ქვეყნის ჩემპიონატში კი „ტარტუ დელტა“.

ლევანის მამის, წარსულში ცნობილი კალათბურთელის ზურაბ ქარაბაკის თქმით, ჩვენებურს ტარტუში საუკეთესო პირობები შესთავაზეს, ოღონდ ქარაბაკს საპორტას თასის შემდეგაც მათ რიგებში უნდა გაეგრძელებინა საკალათბურთო მოღვაწეობა. ეს კი ჰეინო ლილის მიმართ, რომელიც ტალინის „ბკ ტალინს“ უდგას სათავეში, უპატივცემლობა იქნებოდა, რადგან მასაც დიდი სურვილი ჰქონდა, თავისი გუნდის რიგებში ეხილა ქართველი კალათბურთელი, ამბობს ბატონი ზურაბი.

ლევანის სურვილი ყოფილა, ესტონელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა, მაგრამ შემდეგ „ერთი პლუს ერთი“ კონტრაქტზე დაყაბულებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის შემდეგ კონტრაქტის პირობები გადაისინჯება და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელებს იგი თამაშს „ბკ ტალინის“ რიგებში — დასძინა საუბრის ბოლოს ზურაბ ქარაბაკმა, რომელმაც თავის მხრივ დაამატა: მართალია, ტარტუში ბევრად უკეთესი პირობები იყო ტალინთან შედარებით, მაგრამ არ შეიძლებოდა ლილის ღალატი, რომელმაც მიიწვია ლევანი ესტონეთში.



გურამ ცოცხიაშვილის ფოტო

ლევან ქარაბაკი

ჩვენის მხრივ კი ვიტყვით, რომ ლევან ქარაბაკი პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელიც არა მარტო ესტონეთის საკალათბურთო ლიგაში, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნების პირველობაზე და თანაც ჩემპიონის რიგებში ითამაშებს.

ესტონეთის ეროვნული ჩემპიონატი 27 სექტემბერს დაიწყება და შვიდი იმდენად თანაბარი ძალის გუნდი ყოფილა, რომელთაგან ყველას ძალუძს ოქროს მედლებისთვის ბრძოლა.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# იუგოსლავიელებს შინ არ აყენებენ

მომავალი კვირიდან ევროთასების 1999-2000 წლების გათამაშება იწყება. მის პირველ ეტაპზე იუგოსლავიური კლუბები საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მოედნებზე გამართავენ. იუგოსლავიის აეროპორტებში ჯერჯერობით გაუქმებულია საერთაშორისო რეისები, ამიტომაც მიიღო ფიბა-მ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება.

ევროთასების მონაწილე იუგოსლავიურმა გუნდებმა ფიბა-ს უკვე აცნობეს იმ ქალაქების ვინაობა, სადაც საშინაო მატჩებს გამართავენ. ევროლიგის მონაწილე პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი“ სარაევოში (ბოსნია) ითამაშებს, ხოლო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ — ვენაში (ავსტრია). საპორტას თასის მატჩებს „პარტიზანი“ ბუდაპეშტში (უნგრეთი) გამართავს, ხოლო „რადნიჩკი“ — პეჩში (უნგრეთი). კორაჩის თასზე იუგოსლავიას ერთადერთი გუნდიღა შერჩა: „ჟელეზნიკი“ მეტოქეებს სალონიკში (საბერძნეთი) მიიღებს.

იუგოსლავიის ორმა კლუბმა, „ბე[illegible]ტროლმა“ და „სპარტაკმა“ უარი თქვეს კორაჩის თასის წლევანდელ გ[illegible]ამაშებაში მონაწილეობაზე.

„სპარტაკი“ იმ ჯგუფში იყო, რომელში მოხვედრის შანსი სლოვენიის „სლოვანს“ აქვს, თუკი საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრეთის „ატომერომუს“ დაამარცხებს. თუკი ასე მოხდა, ვლადიმერ ბოისასა და ნიკა ცქიტიშვილის „სლოვანი“ (კორაჩის თასზე ეს ორი ქართველი ითამაშებს) სამგუნდიან ჯგუფში მოხვდება, რაც მნიშვნელოვნად უზრდის მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსს.

საპორტას თასს შერჩენილმა ბელგრადის „პარტიზანმა“ კი მწვრთნელი დაკარგა. ვლადისლავ ლუჩიჩმა ორშაბათს საღამოს გუნდი ავარჯიშა და მერე ხელმძღვანელობას დაეთხოვა. ლუჩიჩის გათავისუფლება მოსალოდნელი იყო, რადგან ბელგრადის და ნიქოზიის წინასასეზონო ტურნირებზე „პარტიზანმა“ შვიდიდან ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო. მწვრთნელმა თავად დაასწრო უფროსებს და წასვლა გუნდში შექმნილ აუტანელ ატმოსფეროს დააბრალა.

## აზიის ჩემპიონატი. 28.08-5.09. იაპონია

**ნახევარფინალები**

4 სექტემბერი

**კორეა 85:59 საუდეთი**

**ჩინეთი 105:51 ტაიპეი**

5 სექტემბერი

**მესამე ადგილისთვის**

**საუდეთი 93:63 ტაიპეი**

**ფინალი**

**ჩინეთი 63:45 კორეა**

*საბოლოო კლასიფიკაცია: 1 ჩინეთი, 2 კორეა, 3 საუდეთი, 4 ტაიპეი, 5 იაპონია, 6 ქუვეითი, 7 ლიბანი, 8 სირია, 9 უზბეკეთი, 10 საამიროები, 11 ფილიპინები, 12 ბაჰრეინი, 13 ჰონკონგი, 14 ტაილანდი, 15 მალაიზია*

## აზიის ყველა ჩემპიონატი

| თარიღი | ადგილი | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| 1960 | მანილა | ფილიპინები | ტაიპეი | იაპონია |
| 1963 | ტაიპეი | ფილიპინები | ტაიპეი | კორეა |
| 1965 | კუალა ლუმპური | იაპონია | ფილიპინები | კორეა |
| 1967 | სეული | ფილიპინები | კორეა | იაპონია |
| 1969 | ბანგკოკი | კორეა | იაპონია | ფილიპინები |
| 1971 | ტოკიო | იაპონია | ფილიპინები | კორეა |
| 1973 | მანილა | ფილიპინები | კორეა | ტაიპეი |
| 1975 | ბანგკოკი | ჩინეთი | იაპონია | კორეა |
| 1977 | კუალა ლუმპური | ჩინეთი | კორეა | იაპონია |
| 1979 | ნაგოია | ჩინეთი | იაპონია | კორეა |
| 1981 | კალკუტა | ჩინეთი | კორეა | იაპონია |
| 1983 | ჰონკონგი | ჩინეთი | იაპონია | კორეა |
| 1985 | კუალა ლუმპური | ფილიპინები | კორეა | ჩინეთი |
| 1987 | ბანგკოკი | ჩინეთი | კორეა | იაპონია |
| 1989 | პეკინი | ჩინეთი | კორეა | ტაიპეი |
| 1991 | კობე | ჩინეთი | კორეა | იაპონია |
| 1993 | ჯაკარტა | ჩინეთი | ჩრდ. კორეა | კორეა |
| 1995 | სეული | ჩინეთი | კორეა | იაპონია |
| 1997 | რიადი | კორეა | იაპონია | ჩინეთი |
| 1999 | ფუკუოკა | ჩინეთი | კორეა | საუდეთი |

## სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებენ

1.........იუგოსლავია..............(მსოფლიოს ჩემპიონი)
2.........ავსტრალია.............(ოლიმპიადის მასპინძელი)
3.........იტალია...................(ევროპის ჩემპიონი)
4.........ესპანეთი................(ევროპის ვიცე-ჩემპიონი)
5.........საფრანგეთი...........(მესამე გუნდი ევროპიდან)
6.........ლიტვა...................(მეოთხე გუნდი ევროპიდან)
7.........რუსეთი..................(მეხუთე გუნდი ევროპიდან)
8.........აშშ.......................(ამერიკის ზონის ჩემპიონი)
9.........კანადა.............(ამერიკის ზონის ვიცე-ჩემპიონი)
10........ანგოლა...................(აფრიკის ჩემპიონი)
11........ჩინეთი.......................(აზიის ჩემპიონი)

### უნდა გამოვლინდეს

12*......წყნარი ოკეანისა და ოკეანეთის ზონის ჩემპიონი ან ვიცე-ჩემპიონი

**იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი ავსტრალია გახდება, ოლიმპიადაზე აღნიშნული ზონის ვიცე-ჩემპიონი გაემგზავრება*


**ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს**

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა

ფიზიკური კალათბურთისა და სპორტის აკადემიის შენობაში

☎ 23 20 05


# ის ბებერია, მე — ჯეელი

## დავით ბერძენიშვილს სლოვაკურ ლევიცეში კონკურენციის არ ეშინია

თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში საკალათბურთო სეზონი შაბათიდან გახურდება. ასევე 11 სექტემბერს დაიწყება სლოვაკეთის ჩემპიონატიც. ჩვენთვის ეს ქვეყანა და სლოვაკური პირველობა იმიტომაა საინტერესო, რომ იქ, აგერ უკვე მეოთხე წელია, საქართველოს ნაკრების ცენტრი დავით ბერძენიშვილი თამაშობს, რომელიც „სლოვაკოფარმას“ რიგებში სამგზის გაჩემპიონების შემდეგ ახლა „ლევიცეში“ გადაბარგდა და ამ კლუბს ერთწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

„სარბიელთან“ ბოლო საუბრისას ბერძენიშვილი წინა დღის ჩარიცხული გახლდათ „ლევიცეში“, ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ მან ჩვენი ცნობისმოყვარეობა მთლიანად ვერ დააკმაყოფილა. მერე დაიწყო ადაპტაციის პერიოდი, საწვრთნელი შეკრებები, მომავალი ჩემპიონატისთვის მზადება და... ბერძენიშვილთან სასაუბროც საკმაოდ დაგვიგროვდა.

გუშინ ეროვნული ნაკრებისა და „ლევიცეს“ 210 სანტიმეტრიან ცენტრს სლოვაკეთში დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუზეც ტრადიციული თავაზიანობით დაგვთანხმდა:

**— როგორ შეეგუე ახალ გარემოს, ქალაქისა და კლუბის გამოცვლით კმაყოფილი ხარ?**

— ჯერჯერობით თავს მშვენივრად ვგრძნობ. საცხოვრებელი პირობები თუ გაინტერესებს, ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს, ქალაქის ცენტრში ჩინებული ბინა გამომიყვეს. არც გუნდთან შეგუება გამჭირვებია, „ლევიცეს“ ოთხი მოთამაშე ჯერ კიდევ „სლოვაკოფარმაში“ გამოვდიოდით მხარდამხარ. დანარჩენებსაც კარგად შევეწყვე, შინაურულად მიმიღეს და მეც ასევე განვეწყვე მათ მიმართ.

**— თუ არ ვცდები, „ლევიცეს“ მწვრთნელიც ადრე „სლოვაკოფარმაში“ ასპარეზობდა...**

— ასეა. მართალია, მხოლოდ ერთ წელს მოგვიწია ერთად თამაში, მაგრამ გაცნობის დღიდანვე კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. მერე მან ფეხის ტრავმა მიიღო და სპორტსმენის კარიერა დაასრულა, მწვრთნელობა დაიწყო და „ლევიცეშიც“ სწორედ მისი თხოვნით აღმოვჩნდი.



გურამ ცოცხიაშვილის ფოტო

დავით ბერძენიშვილი

**— თხოვნა ერთია და კლუბმა, ალბათ, შენი ფინანსური მოთხოვნებიც დააკმაყოფილა.**

— რა თქმა უნდა. იმ ასაკში არ ვარ, ენთუზიაზმზე ვითამაშო.

**— ახლა ის ვთქვათ, ჩემპიონატისთვის სად და როგორ მოემზადა გუნდი.**

— ქვეყნის გარეთ გასვლა რატომღაც არ მოგვიხერხდა. აქვე, ლევიცეში მოვემზადეთ, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერად. მეც არ მოველოდი, თუ ასეთ პირობებს შეგვიქმნიდნენ, მაქსიმალურად ხელს გვიწყობდნენ, სანაცვლოდ კი მხოლოდ ვარჯიშს ითხოვდნენ.

**— მოსამზადებელ ტურნირებში თუ მონაწილეობდით?**

— ორ ტურნირში ვიასპარეზეთ და ორჯერვე მეორე ადგილზე გავედით. პირველი შეჯიბრება აქვე, ლევიცეში გაიმართა და ფინალში ჩეხეთის გუნდთან დავმარცხდით. სულ ექვსი გუნდი გამოდიოდა. მეორე ტურნირი მეზობელ ქალაქ ლუჩენეცში გაიმართა, იქაც მეორეობას დავჯერდით.

**— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მართალია, საუკეთესო ფორმა ჯერ არ დამიბრუნებია, მაგრამ ეს გასაგებიცაა, ჩემპიონატი არ დაწყებულა და აქედან გამომდინარე, სათამაშო პრაქტიკაც მაკლია. გახურდება პირველობა და სულ მალე ძველებურად ავთამაშდები. ერთი კი ნამდვილად ვიცი, „სლოვაკოფარმასგან“ განსხვავებით, „ლევიცეში“ თითქმის განაღდებული მაქვს ძირითადში თამაში. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— შენს პოზიციაზე კონკურენტი არ გყავს?**

— ცენტრები სულ ორნი ვართ. მე და ერთი სლოვაკი, რომელიც უკვე კარგა ხანია, ოცდაათს გადასცილდა და ისე ველარ ირჯება. მე კი ჯერ ოცდასამისა ვარ და ლონე მერჩის.

**— კლუბის თავკაცობა რას გეგმავს ახალ ჩემპიონატში?**

— ჩემპიონობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, აი, ოთხეულისთვის კი უნდა ვიბრძოლოთო, ამბობენ. ხუთი წელია, გუნდი მერვე-მეცხრე ადგილებზე გადის და ახლა სერიოზულად ფიქრობენ უკეთეს შედეგზე. მგონი, შეგვწევს კიდეც საამისო ძალა.

**— ამას დრო გვიჩვენებს... ახლა, ალბათ, მთლიანად პირველ მატჩზე ხართ გადართულები. სად და ვისთან გიწევთ თამაში?**

— შაბათს „ჟილინას“ ვმასპინძლობთ. საკმაოდ ძლიერი გუნდია და მასთან გამარჯვებას მწვრთნელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. პირველივე მატჩში გამოჩნდება, რაც შეგვიძლიაო, ასე ამბობენ.

**გიორგი გიქაშვილი**

US OPEN

# წარსულის მახე

1992 წლის „ოუფენისა“ და 1993 წლის ავსტრალიის ღია პირველობების მსგავსად ვერშემდგარმა ვუნდერკინდმა, ჯენიფერ კაპრიატიმ დიდი სლემის ეს ტურნირიც თვალცრემლიანმა დატოვა, თუმცა ამჯერად მიზეზი დასანან მარცხში არ ყოფილა — უბრალოდ „წარსულის კონვერტის დახურვა“ მოსალოდნელზე გაცილებით ძნელი აღმოჩნდა.

კაპრიატის თავის დროზე ჩოგბურთის დედოფლობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დიდი სპორტის მზარდ მოთხოვნებს 13 წლიდან პროფესიონალებში გარეულმა ამერიკელმა ვერ გაუძლო და „მეიჯორების“ ჩემპიონობის ნაცვლად მაღაზიებში ქურდობასა და მარიხუანის წევაში დახელოვნდა.

მწვერვალზე დაბრუნების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ჯენი აშკარად აღმავლობის გზაზეა და დამარცხებებით დაღლილი თავისი სრული პოტენციალის გამოვლენასაც ცდილობს, თუმცა ძნელი სათქმელია, ფსიქოლოგიურად ამისთვის ამჟამად მაინც თუ არის მზად.

მერვედფინალური შეხვედრა მსოფლიოს მეოთხე ჩოგან მონიკა სელეშთან კაპრიატიმ ღირსეულად ჩაატარა — მეტოქეს თითქმის არაფერში ჩამორჩა, შესანიშნავი მიღებებითა და ზუსტი დარტყმებით ბევრს ძველი დროებაც გაახსენა და მნიშვნელოვან მომენტებში ზედმეტი ნერვიულობა რომ არა, 4:6, 3:6-ს ნამდვილად არ წააგებდა.

თუმცა მთავარი მოვლენები მატჩის შემდეგ დატრიალდა. 23 წლის ჯენიმ პრესკონფერენცია იქ შეკრებილთათვის მეტად ემოციური წერილის წაკითხვით დაიწყო, რომელშიც მტიკვნეული წარსულის შესახებ მუდმივად შეხსენების შეწყვეტა ითხოვა.

— ვიცი, რომ ის, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, დიდი მისტერიის, უამრავი კითხვისა და, ამასთან, ტყუილის საბაბი გამხდარა. ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ მაშინ პატარა ვიყავი. რომ მცოდნოდა, ცხოვრების გაკვეთილების სწავლას თან ამხელა ტკივილი მოჰყვებოდა, ასეთი გზის არჩევის წინ, ალბათ, ვიყოყმანებდი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩემი მიზანი მაშინ სხვებისთვის ტკივილის მიყენება და ნარკოტიკების უაზროდ გამოყენება არ ყოფილა, ეს წყნარი ამბოხი იყო, ჩემი ბნელი მხარის შესაცნობი პატარა ექსპერიმენტი.



ჯენიფერ კაპრიატი



REUTERS ნიუ იორკიდან

ლინდსი დევენპორტი

მიმართვაში, რომელიც ჯენიფერმა „ოუფენის“ დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა და რომლის შესახებ მხოლოდ მამას, სტეფანოს გაანდო, ჩოგბურთელს დანაშაულის აღიარებაც არ დავიწყებია.

— ყველაფერი ჩემი ბრალია და მეტი არავის, შეცდომები მე დავუშვი. მინდა, მოვუბოდიშო ჩემს საყვარელ ადამიანებს შერცხვენისა და ტკივილის მიყენებისთვის და ყველა ჩემს ქომაგს, რომლებსაც იმედები ვერ გავუმართლე. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ახლა ახალი ეტაპი იწყება, ვგრძნობ, რომ სწორი მიმართულებით მივდივარ და გთხოვთ, ამიერიდან წარსულზე ნუღარ ვისაუბრებთ.

თუმცა სიცოცხლის რამდენიმე წლის ასე ერთი ხელის მოსმით ამოგდება იოლი სულაც არ არის, მით უმეტეს, თუ 23 წლის კაპრიატი ჯერაც არ არის მზად საზოგადოებას გული გადაუშალოს თავისი პრობლემების, დაპატიმრებების, ფსკერზე დაშვების შესახებ.

შეფარული და ღია კითხვები ტაბუდადებულ თემაზე პრესკონფერენციაზე მაინც გაისმოდა და როდესაც ჯენიფერს ჰკითხეს, მასმედიას ისევ მოწინააღმდეგედ თუ მიიჩნევთო, მან თავი ვეღარ შეიკავა.

— ახლა ავტირდები. ცუდი არაფერია, უბრალოდ ძალიან ვღელავ.

WTA ტურის წარმომადგენელმა ჯიმ ფიუზმა ჩოგბურთელს პრესკონფერენციის შეწყვეტა შესთავაზა, მაგრამ კაპრიატიმ თავიდან იუარა.

— ეს უნდა გაკეთდეს... ნეტავი, ყოველთვის ამის შესახებ არ მქონდეს სასაუბრო — მერე კი უფრო ხმამაღლა ატირდა.

ფიუზმა კაპრიატი გარეთ გაიყვანა, სადაც მას მამა გადაეხვია და ჯერ გასახდელამდე, მერე კი „ფლაშინგ მედოუზიდან“ გარეთ გააცილა.

იმედია, ეს ცრემლები მაინც აღმოჩნდება ბოლო ამერიკელის არაორდინალურ კარიერაში.

ყურადღების ცენტრში ყოფნა, კაპრიატის არ იყოს, მსოფლიოს მეორე ჩოგან ლინდსი დევენპორტსაც არ სიამოვნებს.

— სულაც არ მახარებს ის, რომ ცნობილი პიროვნება ვარ. ხალხი ხშირად მაშტერდება ქუჩაში. მე ვიბნევი, მათ კი ჰგონიათ, რომ უხეში ვარ. იმედი მაქვს, სპორტიდან წასვლის შემდეგ ყველაფერს თავისით მოევლება და მეც ვეღარავინ მიცნობს.

თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, ლინდსი თაყვანისმცემელთა ყურადღებას თავს ვერ დააღწევს — უიმბლდონის ჩემპიონი ჯერჯერობით აშშ-ის ღია პირველობაზეც ისე თამაშობს, მისი შემჩერებელი არავინ ჩანს.

„ფლაშინგ მედოუზზე“ მოგებულ ოთხ მატჩში ზორბა დევენპორტმა მეტოქეებს სეტიც არ დაანება და თითოეულს საათზე ნაკლები დაახარჯა.

მსოფლიოს მეორე ჩოგანს მერვედფინალში ერთი შეხედვით სერიოზული მეტოქე ჰყავდა — ჟიული ჰალარმა (9) მას ორიოდე კვირის წინ ლოს ანჯელესის ტურნირზე მოუგო. როდესაც გუშინდელი მატჩი ფრანგმა ლინდსისთვის მოწოდების ართმევით დაიწყო, ბევრს ეგონა, ამერიკელს ბოლოს და ბოლოს პრობლემები შეექმნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად: მძიმე არტილერიის ამუშავებას ზედიზედ მოგებული ექვსი გეიმი და მორიგი ტრიუმფი — 6:1, 6:2 მოჰყვა.

„ზოგჯერ წაგება არც ისე ცუდი რამ არის, მომდევნო მატჩს მზადყოფნაში ხვდები... ამჟამად ყველაფრით ბედნიერი ვარ, მნიშვნელობა არა აქვს, მომდევნო მატჩში დავმარცხდები, თუ შარშანდელივით ჩემპიონი გავხდები, ალბათ, ასე კარგადაც იმიტომ ვთამაშობ — აღნიშნა მოგვიანებით ამერიკელმა.

ლინდსიმ პრესკონფერენციაზე კაპრიატის თანაუგრძნო, ძალიან ბევრი გადაიტანაო და მასმედიასთან თავის დამოკიდებულებაზე უცრემლებოდაც ისაუბრა.

— ყველა ჩოგბურთელის შესახებ ჟურნალისტებს რომელიმე ერთი ამბავი აქვთ ამოჩემებული. მაგალითად, ჩემზე ყოველთვის წერენ, როგორი მსუქანი ვიყავი და როგორ ვაპირებდი ჩოგბურთისთვის თავის დანებებას. კი მაგრამ, ეს რომ 5-6 წლის წინ იყომეთქი, ვფიქრობ, მაგრამ იცით, ეს ახლაც მაწუხებს.

### მერვედფინალი

**კაცები:** **ანდრე აგასი** (2, აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:4, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (7:5), 6:1, 6:0; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (10, ჩილე) 6:2, 6:3, 7:5; **რიჩარდ კრაიჩეკი** (12, ჰოლანდია) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:2, 7:6 (7:3), 6:2

**ქალები:** **მარი პირსი** (5, საფრანგეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 7:6 (8:6); **სერენა უილიამსი** (7, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (16, ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:2.

ავთანდილ სვანიძე

# თვალცრემლიანი ჩემპიონი

*აგვისტოში შტეფი გრაფი, ახლა იანა ნოვოტნა — ქალთა ჩოგბურთში ტყავის ცვლის მტკივნეული პროცესი ისევ გრძელდება და ძველი თაობის ჩემპიონებიც ნელ-ნელა ტოვებენ დიდ სარბიელს: გუშინ ნიუ იორკში უკვე უიმბლდონის ჩემპიონმა ჩეხმა ვეტერანმა განაცხადა ამ წლის ბოლოდან პენსიაზე გასვლის შესახებ.*

*30 წლის ნოვოტნა უკანასკნელი მიმდევარი გახლდათ იმ სტილისა, რომელშიც ძალაზე მეტად სიზუსტე, უკანა ხაზიდან მონოტონურ გათამაშებებზე მეტად კი ბადესთან გასვლა და შეტევის ეფექტურად დასრულება ფასობდა — ახლა ასე უკვე აღარავინ თამაშობს.*

*იანას კოლექციაში 24 ერთეულების და 76-იც წყვილების ტიტულია, თუმცა სუსტი ნერვები რომ არა, მისი ნიჭის პატრონს გაცილებით მეტის მიღწევაც შეეძლო. სწორედ ამიტომ ისტორიაში ჩეხი დიდ ჩემპიონად კი არა, იმ ჩოგბურთელად შევა, რომელმაც 1993 წლის უიმბლდონის ფინალში გადამწყვეტ ხელში 4:1, 40:15 უპირატესობა გაუშვა ხელიდან და კენტის ჰერცოგინიას მხრებზე ცრემლების მდინარე დაღვარა.*



იანა ნოვოტნა

**— აქ რაიმეს სათქმელად მოხვედით?**

— დიახ, თანაც ამჯერად თავად დავიწყებ. ალბათ, გაიგებდით იმის შესახებ, რომ გაისად შეიძლება აღარ ვითამაშო. მინდა, ყველაფერს ნათელი მოვფინო და დავადასტურო, რომ ეს სრული სიმართლეა. გადავწყვიტე, ამ სეზონის ბოლომდე ვიასპარეზო, ჩემი მოვალეობები შევასრულო და მერე დიდი სპორტიდან წავიდე.

**— მაინცდამაინც ახლა რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

— უკვე დიდი ხანია, ვფიქრობ ამაზე. ჩვეულებრივ აშშ-ის ღია პირველობაზე ვაწყობ-ხოლმე გეგმებს მომავალი წლისთვის, ასე რომ, მგონი, ეს შესაფერისი მომენტია ამ განცხადებისთვის.

**— წყვილებშიც აღარ ითამაშებთ?**

— არა, არც წყვილებში და არც ერთეულებში.

**— მიზეზი ფიზიკურია თუ ფსიქოლოგიური?**

— ვფიქრობ, ყველაფერი ერთად. ძნელია, ერთი კონკრეტული მიზეზი დავასახელო, რომელმაც წასვლა გადამაწყვეტინა, მაგრამ მწამს, რომ ამაზე უკეთეს მომენტს ნამდვილად ვერ შევარჩევდი.

**— ფიზიკურად როგორ გრძნობთ თავს?**

— მშვენივრად, ჩემი კოჭის ტრავმა არაფერ შუაშია. შარშან უიმბლდონის მოგებამ გაცილებით გამიიოლა წასვლა, ახლა შემიძლია, უკან მოვიხედო და ვთქვა, რომ ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა მქონდა.

რა თქმა უნდა, იმას, რასაც მივაღწიე, მარტო ჩემით ვერ შევძლებდი. ამაში ძალიან დამეხმარა ოჯახი, მშობლები, დიდი ხნის მწვრთნელი ჰანა მანდლიკოვა და ჩემი მენეჯერი ფილ დეპიჩოტო. ჩოგბურთი ინდივიდუალური სპორტია, კორტზე ყველაფერი შენით უნდა აკეთო, მაგრამ ამავე დროს ირგვლივ საყვარელ ადამიანთა ჯგუფი თუ არ გყავს, ძალიან გაგიჭირდება. მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ჩემს ქომაგსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იმედია, მომავალ ცხოვრებაშიც ისეთივე წარმატებული ვიქნები, როგორც ჩოგბურთელობისას.

**— რის გაკეთებას აპირებთ მომავალში?**

— ამ წუთისთვის ამაზე არც მიფიქრია, ჯერ ადრეა. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ტურნირზე უნდა ვითამაშო ევროპაში და ყველაფერზე ამის შემდეგ დავფიქრდები. ერთადერთი რამ, რაც დანამდვილებით არ მინდა ვაკეთო, მოგზაურობაა, ბოლო ხანებში ეს ყველაზე მეტად მიჭირდა. უმეტეს დროს შინ გავატარებ. მსურს, ავინაზღაურო ის, რაც მთელი ამ წლების მანძილზე მაკლდა.

**— სად აპირებთ ცხოვრებას?**

— ალბათ, ფლორიდასა და ევროპაში.

**— ჩოგბურთთან ყველანაირ ურთიერთობას გაწყვეტთ?**

— ვფიქრობ, ასე თუ ისე, ჩოგბურთით ყოველთვის ვიქნები დაინტერესებული და, ალბათ, ამ სფეროშიც ვიმუშავებ. ჩოგბურთს 8 წლის ასაკიდან ვთამაშობ და ის ყოველთვის ჩემი ცხოვრების ნაწილი იქნება. მნიშვნელობა არა აქვს, უბრალო მაყურებელი ვიქნები თუ რაიმე სხვა საქმეს გავაკეთებ. ამ სპორტს არასოდეს ჩამოვშორდები.

**— ბედის ირონია ხომ არ არის, რომ დიდი სპორტიდან მაშინ მიდიხართ, როცა მთელი ამ წლების მანძილზე თქვენი ყველაზე უხერხული მეტოქე (იგულისხმება შტეფი გრაფი, რომელთანაც იანა გამუდმებით აგებდა) პენსიაზე გავიდა?**

— ვიცი, წესით ძალიან გახარებული უნდა ვიყო, არა? (იცინის) მართლაც ასეა. როდესაც 14 წლისამ საერთაშორისო იუნიორთა ტურნირზე ცხოვრებაში პირველად ვიასპარეზე, პირველივე წრეში შტეფი გრაფს შევხვდი. მთელი ამ ხნის მანძილზეც ასე გრძელდებოდა. მართლაც ბედის ირონიაა, რომ სპორტიდან წასვლაც თითქმის ერთად გადავწყვიტეთ.

**— თქვენ თქვით, რომ ამაზე უკვე დიდი ხანია, ფიქრობდით. შტეფის წასვლამ ხომ არ გაგიიოლათ გადაწყვეტილების მიღება?**

— სრულებითაც არა, ჩვენ ამაზე არც გვისაუბრია. მე საკუთარ თავს შტეფის არასოდეს შევადარებ, მის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იყო.

**— არ ფიქრობთ, რომ ორივე თქვენგანის წასვლის შემდეგ ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში მორიგი თავი დაიხურება?**

— ალბათ, ასეა. ქალთა ჩოგბურთი ამჟამად საუკეთესო ეპოქაშია, ახალი ჩოგბურთელები, ახალი თაობა მზად არის ესტაფეტის მისაღებად. ალბათ, გაისად კიდევ რამდენიმე ძველი თაობის ჩოგბურთელიც წავა დიდი სპორტიდან და მათ ადგილს ახლები დაიკავებენ.

**— კენტის ჰერცოგინიას უკვე შეატყობინეთ ამის შესახებ?**

— დიახ, გუშინ დავურეკე (იცინის). კარგი კითხვაა. მითხრა, ჯერ ადრეაო, მაგრამ დავამშვიდე, უიმბლდონზე მაინც დავბრუნდები, ჩემპიონის სამკერდე ნიშანი ხომ მაქვს-მეთქი.

**— შტეფი საუკეთესო იყო იმათგან, ვისთანაც გითამაშიათ?**

— აბსოლუტურად, შტეფი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი იყო. როგორც არაერთხელ მითქვამს, ის სრულყოფილი მოთამაშე იყო, რომელმაც ქალთა ჩოგბურთი სულ სხვა დონეზე აიყვანა და წლების განმავლობაში სტაბილურად ასპარეზობდა. იმედი მაქვს, ის ისევე ბედნიერი იქნება პირად ცხოვრებაში, როგორც ჩოგბურთის კორტზე იყო!

**— თქვენ შესანიშნავი კარიერა გქონდათ წყვილებშიც. ვინ იყო საუკეთესო, ვისთან ერთადაც კორტზე გიასპარეზიათ?**

— ჩემს გარდა, არა? (იცინის)

**— რა თქმა უნდა.**

— გმადლობთ. იცით, ეს ძნელი სათქმელია. მე მქონდა შესაძლებლობა, ბევრ შესანიშნავ მეწყვილესთან მეთამაშა — ჰელენა სუკოვა, მარტინა ჰინგისი, არანჩა სანჩეს ვიკარიო, ისინი ყველანი განსხვავებულად კარგები იყვნენ.

**— თქვენს ხანგრძლივ კარიერას თუ გადახედავთ, რას გაიხსენებთ ყველაზე სასიამოვნოდ?**

— არ ვიცი. ძნელია, ერთი მომენტი, ან ერთი სეზონი გამოვარჩიო. ყველას გეცოდინებათ, რომ ძალიან მსურდა უიმბლდონის მოგება და როდესაც ეს ბოლოს და ბოლოს მოვახერხე, ისე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ არ მინდა დავივიწყო, რომ ყველაფერი, რაც გამაჩნია, ჩოგბურთმა მომცა, მომცა შესაძლებლობა, მემოგზაურა, სხვა ენაზე მესაუბრა. ამას ყოველთვის ძალიან დავაფასებ. გმადლობთ.

ხსოვნა

# ჯოკია გუგავა



ᲐᲦᲐᲠ არის ჩვენს შორის ჯოკია გუგავა. ახალგაზრდა თაობამ ალბათ არც იცის რა კაცი იყო განსვენებული, რომელიც 75 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან. ამიტომაცაა, რომ ასეთ დროს ახლობლები იგონებენ გარდაცვლილის ცხოვრებას, მაგრამ წუთისოფელს გამოთხოვებული თუ ცნობილი პიროვნება იყო, მაშინ საზოგადოება მის მოღვაწეობასაც იხსენებს.

სწორედ ასეთი ცნობილი პიროვნება იყო ჯოკია გუგავა: განათლებული კაცი, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, უებრო სპორტსმენი, შესანიშნავი მოცეკვავე, კარგი მომღერალი, ჭიანურზე დიდებულად დამკვრელი, ყველა ამ სფეროში ახალგაზრდობის აღმზრდელი, სპორტული მოღვაწე...

მისი ცხოვრება ბავშვობიდან გარდაცვალებამდე მოუღლელი იყო. ისეთი მოუღლელი, რომ ჯიკია გუგავასავით „ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლებელიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან".

სპორტსმენი იყოო, ვთქვით და დავაკონკრეტოთ — ჯოკია გუგავა უწინარეს ყოვლისა სახელგანთქმული მთამსვლელი იყო. 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში იგი სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი და ორგზის ვერცხლის მედალოსანი გახდა. ამ მხრივ ჯოკია გუგავას სახელი ბრწყინვალე ქართველ მთამსვლელთა დიდი არმიის პირველ სამეულშია დამკვიდრებული, მაგრამ ბევრმა იქნება არ იცის, რომ ჯოკია გუგავას მანამდე ლენტეხის რაიონის უებრო მოჭიდავისა და სამთო მოთხილამურის სახელი ჰქონდა დაგდებული. იყო საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ხუთჭიდელი და შუბის მტყორცნელი, რაშიც რესპუბლიკურ პირველობებზე არაერთი საპრიზო ადგილი მოუპოვებია. მერე მძლეოსნობაში ისეთი სპორტსმენები აღზარდა, რომ, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მიანიჭეს, ერთ დროს (1954-დან 1961 წლამდე) კი ლენტეხის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს თავკაცობდა.

მაგრამ მისი უპირველესი მოწოდება მაინც მთამსვლელობა იყო და ამ სქმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი, რაკილა ალპინისტურ ბანაკ „აილამას" სულისჩამდგმელად მოგვევლინა. მაშინ, 1965 წელს იმდროინდელმა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა ოთარ გიგინეიშვილმა გუგავას მისწერა: „ეს საქმე თუ გამოვიდა, თქვენი დამსახურება ქართული ალპინიზმის წინაშე წარუშლელი დარჩება".

„ეს საქმე" გამოვიდა!

მერე ჯოკია გუგავა უფრო შორს წავიდა და ლენტეხის რაიონში, ზესხოს ულამაზეს ხეობაში „აილამას" ფილიალი გახსნა, რომელიც მერე დამოუკიდებელ ბანაკად გარდაქმნა.

მაშინ, მთამსვლელთა ბანაკებს რომ აშენებდა, ამბობდნენ, ამ საქმისთვის სამშენებლო მასალას შინიდან ეზიდება, საკუთარი სახლის აგება კი ვერ მოუთავებიაო.

აი, ყოველივე ამისთვის ჯოკია გუგავა დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის, ღირსების ორდენით...

შრომითი და სპორტული მედლების გარდა თვითმოქმედ ანსამბლ „ლილეს" სოლისტს რესპუბლიკური და საკავშირო კონკურსების ლაურეატის წოდება და ოქროს მედლები დაუმსახურებია და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისაც...

თავად ჯოკია გუგავას ყველაზე მეტად ემაყებოდა პირველი მედალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაიმსახურა. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო და მშობლიური კავკასიონის მთებში გერმანელთა დესანტის წინააღმდეგ მებრძოლ ბატალიონს ეხმარებოდა. თავი ისე გამოიჩინა, რომ დააჯილდოვეს მედლით „საბრძოლო მამაცობისთვის".

მერე იყო თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დიპლომი, გამუდმებული, დაუღალავი შრომა.

შრომა და სახელი!

**ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲔᲚᲔᲑᲘ**

ჭიდაობა

# ოდესმე, როცა იქნება ფული...

## ძველი წესი (ულვაში-ვალში) რომ ახლაც წესობდეს, მთელი დეპარტამენტი უულვაშოდ ივლიდა

ᲡᲐᲓᲐᲪᲐᲐ დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ჩვენი მოჭიდავეების სამზადისი. ორივე ნაკრები (ბერძნულ-რომაულიც და თავისუფალიც) ახლა დასკვნით შეკრებას გადის და გულმოდგინედ ვარჯიშობს სეზონის უმნიშვნელოვანესი სტარტის წინ. ეს ხომ უმთავრესი ეტაპია მზადების იმ ოთხწლიანი ციკლისა, ოლიმპიადებს შორის პერიოდს რომ მოიცავს და მიზნად ამ უდიდეს შეჯიბრებაზე წარმატებულ გამოსვლას ისახავს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიებს პირველ რვა ადგილზე გასული მოჭიდავეები მიიღებენ.

„ბერძენ-რომაელთა" მსოფლიოს პირველობას 23-26 სექტემბერს ათენი უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრები იქ წასვლამდე დასკვნით შეკრებას დღეს დაიწყებს თბილისში, ფალავანთა კლუბში. თავიდან ეს შეკრება ბათუმში იყო დაგეგმილი, მაგრამ დეპარტამენტმა უფულობის გამო იქ მოჭიდავეთა გაგზავნა ვერ მოახერხა. თუმც ფული ვერც ახლა უშოვიათ, შეკრებას მხოლოდ საგარანტიო წერილის საფუძველზე იწყებენ, მერე კი ღმერთია მოწყალე.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია უმთავრესად ისევ ძველ გვარდიას ეყრდნობა. მან იქნებ ზედმეტ რისკად მიიჩნია საგრძნობი ცვლილებები ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის წინ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არც სასელექციო პირობები ჰქონია. მაისში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის მერე ეს მეორე შეკრებაა, რომელიც გუნდმა გაიარა. ის ერთიც ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა თბილისში. ტურნირებზე კი ლაპარაკი ზედმეტია. ერთი ეგ იყო, აგვისტოში ტარიელ მელელაშვილმა, ხვიჩა ბიჩინაშვილმა და ბესიკ ზურაბიანმა პოლონეთში ილასპარეზეს. საბერძნეთს ესენი წავლენ: ალექსანდრე ცერცვაძე (54 კგ), კობა გულიაშვილი (58), აკაკი ჩაჩუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ტარიელ მელელაშვილი (76), მუხრან ვახტანგაძე (85), გენადი ჩხაიძე (97), დავით ენდელაძე (მძიმე).

ქუთაისელი ცერცვაძე დებიუტანტია, ისევე, როგორც მისი თანაქალაქელი ენდელაძე. ცერცვაძემ ეს ადგილი კონკურენციით წაართვა თანაქალაქელ მალხაზ ნიშნიანიძეს. ენდელაძეს კი ბედმაც გაუღიმა და მშობლიური ქალაქის სპორტკომიტეტმაც. საქმე ისაა, რომ ამ წონის ლიდერები ტრავმებმა შეაწუხა — მირიან გიორგაძეს წელი ასტკივდა, თამაზ გოგელიას — ხელი და რიონისპირელებმაც თავიანთი ფალავანი დააფინანსეს. ცვლილებაა 85-შიც, თუმც ვახტანგაძე უკვე ნაკრების ვეტერანია. ამ წონაში ემზარ მახარაძეც ტრავმამ ჩამოაშორა ნაკრებს.

თავისუფლად მოჭიდავეები 3 სექტემბერს შეუდგნენ მზადებას ბორჯომში, ისინიც საგარანტიო წერილის იმედად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეპარტამენტი ოდესმე (როცა ფულს იშოვის) მასპინძლებს კუთვნილ თანხას ჩაურიცხავს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე, „ბერძენ-რომაელი" კოლეგის დარად, ოქტომბერში ანკარაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოცდილ მოჭიდავეებს იახლებს. თურქეთში გაემგზავრებიან ოთარ თუშიშვილი (58), დავით პოღოსიანი (63), ემზარ ბედინეიშვილი (69), გოჩა ჩიხრაძე (85), ელდარ კურტანიძე (97) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე). საქმე გასარკვევი მხოლოდ ორ წონაშია — 54-ში, გიორგი გაგიშვილი და გოჩა კირკიტაძე ექიშპებიან ერთმანეთს, 76-ში კი ოდინდელი მეტოქეები — რევაზ მინდორაშვილი და ალექსანდრე კახნიაშვილი დავობენ. ყველაფერს ბორჯომული შეკრება გადაწყვეტს, მერე კი ნაკრები კიდევ ერთ, დასკვნით შეკრებას გაივლის თბილისში.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**


## დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან"*** ერთად.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული".*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი


რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### ნანა ალექსანდრია

**ჭადრაკი**

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი (1976), ქალთა მსოფლიო პირველობის (1975, 1981) ორგზის ვიცე ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სამგზის (1966, 1968, 1969) ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1970), საჭადრაკო ოლიმპიადების 6 ოქროს მედლის მფლობელი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი, FIDE-ს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე (1986) და ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვაჟთა საკავშირო პირველობის ვიცე-ჩემპიონი (1980), საქართველოს ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი (1992, 1994-96)



1. ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე სასიამოვნო 1974 წელს ლენინგრადელ დიდოსტატ ირინე ლევიტინასთან გამარჯვება იყო პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მე-17 პარტიაში. ეს იყო დამატებითი პარტია, ხოლო თავად მატჩი — ყველაზე გრძელი ქალთა ჭადრაკის ისტორიაში. ამ მოგებით მსოფლიოს ჩემპიონ ნანა გაფრინდაშვილთან შეხვედრის უფლება მოვიპოვე, რითაც ასრულდა ვახტანგ ქარსელაძის ოცნება, მის ორ მოსწავლეს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ებრძოლა. ამით დაიწყო ქართული ფინალების ისტორია და ამდენად, ის გამარჯვება ისტორიული იყო. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყველგან ზეიმით მხვდებოდნენ — მე ხომ ძნელი მატჩი მოვიგე, ლევიტინა მართლაც ძლიერი მოჭადრაკე იყო.

ყველაზე სამწუხარო კი 1981 წელს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩის მეთხუთმეტე პარტიაში მაია ჩიბურდანიძესთან წაგება იყო. მთლიანად მატჩი და ის პარტიაც ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ იმ დამარცხებამ ორთაბრძოლის ბედი ჩემი მეტოქის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც გამოვეთხოვე. ეს იმდენად განვიცადე, რომ მეორე დღეს ტაიმ-აუტი ავიღე და მთელი დღე ვიწექი. ის მატჩი ფრედ — 8:8 დამთავრდა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური მატჩების ისტორიაში, ტიტული კი მაიამ შეინარჩუნა.

2. სპორტსმენს შეიძლება ორი სტიმული ჰქონდეს. ერთი — სოციალური სტატუსი და საზოგადოებრივი ინტერესი, მეორე კი ფინანსური მხარე. ჩვენს დროს ფული არ იყო. სამაგიეროდ, დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გვამოძრავებდა და ეს დამატებით სტიმულს გვაძლევდა. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა — საზოგადოებას ისედაც უამრავი პრობლემა აქვს და სპორტისთვის აღარ სცხელა. ამას ემატება ფინანსების უქონლობა. ჩემპიონის გამოზრდას დიდი თანხა სჭირდება, რაც დღეს არ გვაქვს. მაგრამ რაც გვაქვს, იმასაც არასწორად ვანაწილებთ.

3. მიხეილ მესხი; ვიქტორ სანეევი; ლევან თედიაშვილი.
ნონა გაფრინდაშვილი; მაია ჩიბურდანიძე; მზია ჯუღელი.



ხელბურთი

# ველით დანიას

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა გუშინ დანიელებთან ევროპის ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩებისთვის მოსამზადებელი ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართა. მისი მეტოქე ისევ ის იყო, ვინც გუშინწინ — ბულგარელი ზანგი და რუსი ლეგიონერებით გაძლიერებული ტრაბზონის „ბელედიესპორი". ჩვენებმა კვლავ მოიგეს, ამჯერად 31:28.

ბოლო დღეებში ჩვენი ნაკრები ზედიზედ სამჯერ ვიხილეთ საქმეში — ერთხელ კვიპროსის „სტროვოლოუსთან" და ორჯერ ტრაბზონელებთან. მართალია, კვიპროსელებს ოფიციალურად „სტუ-შევარდენი" დაუპირისპირდა, მაგრამ ეს კლუბი ხომ ფაქტობრივი ნაკრებია — მას „მამულიდან" ირაკლი ხურციძე და ლეგიონერი გარი თურქია ემატებიან. ამიტომ ამ სამი თამაშის მიხედვით უკვე შეიძლება ნაკრების მზადყოფნაზე საუბარი.

ნაკრების დადებით მხარეებზე საუბრისას პირველ რიგში ფიზმომზადება უნდა აღინიშნოს. ამ მხრივ პროგრესი აშკარაა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩრდილოევროპელებიც უფრო ათლეტურ სპორტს მისდევენ. ამ პროგრესის დამსახურებაა, რომ გუნდის თამაშში სისწრაფემ იმატა, თუმცა თურქებთან შეხვედრებში დროდადრო ამაშიც მოვიკოჭლებდით.

ამ მატჩებმა ცხადყო, რომ გუნდის თამაში ბევრადაა დამოკიდებული ვახტანგ მეიფარიანზე. ეს გასაკვირი არცაა. ის ხომ გამთამაშებელია და ვახტანგიც თავს არ ზოგავს, უნარიანად ხელმძღვანელობს თავისი გუნდის შეტევებს, თამაშსაც კარგად „კითხულობს", ჭკვიანურად დაყენებული ბლოკებით კი თანაგუნდელებს დერეფნებსაც მოხერხებულად უქმნის მეტოქეთა კარისკენ. გუშინდელ მატჩში, პირველი ტაიმის შუაში, მწვრთნელმა იგი შეცვალა. მან სპორტული ფორმაც კი გაიძრო, მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და საწყის რვა წუთში გოლი ვერ გავიტანეთ, საკუთარში კი ხუთი მივიღეთ. მწვრთნელმა ის სასწრაფოდ დააბრუნა მოედანზე. ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს მხოლოდ მეიფარიანი „მოიყვანს გაზაფხულს", მაგრამ თუ შეტევაში თავდამსხმელები მხარს უფრო აქტიურად აუბამენ, აჯობებს. კვიპროსელებთან ოფიციალურ მატჩში აშკარად უკეთესად გამოიყურებოდნენ. იმედი ვიქონიოთ, რომ დანიასთანაც ასე იქნება. სამივე მატჩში ჩინებულად ითამაშა მეკარე როლანდ ერაძემ, რომელსაც აულებელი ბურთების აღებაც ძალუძს. გამოირჩეოდნენ ფრთის მოთამაშეები — ზაზა ფერაძე და განსაკუთრებით გიორგი ქობელაშვილი, თუმცა ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ტაქტიკურად შეცდა. მან ვარდნაში გატანილი ეფექტური გოლებით დაგვამახსოვრა თავი. დაცვის ხაზი იყო და არის ნაკრების აქილევსის ქუსლი. მას ხშირად ხაზზე განლაგება და მწყობრი გადაადგილებაც უჭირდა. ამიტომ გაუკონტროლებელი სივრცეები რჩებოდათ. მეტოქეც ხშირად გაურბით მეკარესთან პირისპირ. ნაკრების მწვრთნელი ზაზა დოლიძე დაცვაში თამაშის გაუმჯობესებას გარი თურქიას ჩამოსვლას უკავშირებს. ვინ იცის, იქნებ თურქია მართლაც ის დაფარული რეზერვი აღმოჩნდეს, დანიელების დასამარცხებლად რომ იკმარებს, მაგრამ ალალად გეტყვით — კვიპროსელებთან მატჩში ჩვენი გუნდის თამაშში ასეთი რეზერვი ვერ დავინახე.

...ზაზა დოლიძე მაინც იმედიანადაა და ამ ხარვეზების აღმოფხვრას 11 სექტემბრისთვის გვპირდება. ის მზადების ციკლითაც კმაყოფილია და დანიელებთან მოგებასაც გეგმავს. ყოველ შემთხვევაში, ომს უეჭველად გვპირდება.

ირაკლი თავაძე

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

ხვალ, 9 სექტემბერს ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი, 3) გაიმართება საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის თენგიზ გაზდელიანის პრესკონფერენცია.

დასაწყისი 11 საათზე

ოლიმპიზმი

# მოვიდა ანიტა თავის ჯგუფითა

## მეორე საქმეც გაიხსნა

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დიდი გარდაქმნები მიმდინარეობს, რასაც უპირველეს ყოვლისა უბიძგა სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებულმა სკანდალმა.

შეგახსენებთ — იმისთვის, რომ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოეპოვებინა, ორგანიზატორები სოკ-ის წევრებსა თუ მათი ოჯახის წევრებს ქრთამის სახით აძლევდნენ ფულს, უნიშნავდნენ სტიპენდიებს, უნაზღაურებდნენ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს და უძღვნიდნენ უამრავ საჩუქარს... თავად სოკ-ის წევრები იმისთვის, რომ გადამწყვეტ ეტაპზე სოლტ ლეიკ სიტისთვის ხმა მიეცათ, არაერთი პირობის შესრულებას სთხოვდნენ ამერიკელებს. ამაში ყველაზე მეტად, როგორც სარბიელის მკითხველს ვუამბეთ, თავი გამოიჩინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა დოქტორმა კიმ უნიონგმაც, რომელიც სოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და ამავე დროს საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაც და სამარანჩის მემკვიდრეთაც მიიჩნევდნენ.

დოქტორმა კიმმა თავისი ხმის სანაცვლოდ აიძულა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი, მათ კი საქმოსანი დევიდ სიმონი, რათა ამ უკანასკნელს კორპორაციაში სამუშაოდ დაექირავებინა მისი ვაჟი იუნგ ჰუუნი, რომელიც ამავე დროს ცნობილია, როგორც იონ კიმი, მაგრამ კიმის პრობლემა ის კი არ იყო, რომ თავისი ვაჟიშვილისთვის სამუშაო ვერ მოეძებნა აშშ-ში, არამედ მისი მთავარი მიზანი ამ ყმაწვილისთვის ოფიციალური დასაქმება გახლდათ, რაც აშშ-ში მუდმივი საცხოვრებლის სტატუსის მიღებაში დაეხმარებოდა. სწორედ ეს ამოძრავებდათ მამა-შვილს, რაზეც პასუხისგება დევიდ სიმონს ხვდა წილად. სიმონსმა სოკ-ის იმ ბობოლა ვაჟის დაქირავებით არაერთ მაქინაციას მიმართა. ამ მაქინაციებით კი გადასახადების კანონი დაირღვა, რაზეც აშშ-ს მართლმსაჯულების დეპარტამენტმა აგვისტოში იგი დამნაშავედ სცნო, რითაც სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებული მექრთამეობის პირველი საქმე გაიხსნა.

დაძაბული ვითარების განსამუხტად იუნგ ჰუუნი სამშობლოში გაბრუნდა



ანიტა დეფრანცი

და იქიდან დაიწყო თავის მართლება, მე მართალი კაცი ვარ, ეგ თქვენი „მწვანე ბარათი" სულაც არ მჭირდებოდა. ამიტომ სეულში აშშ-ს საელჩოში ჩავაბარეო. მაგრამ აშშ-ს მართლმსაჯულების დეპარტამენტი სხვაგვარად ფიქრობდა. გასულ კვირას იუნგ ჰუუნი იგივე იონ კიმი აშშ-ს ფედერალურმა სასამართლომ პასუხისგებაში მისცა იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურისთვის ცრუ ჩვენებების მიცემის ბრალდებით. ამგვარად, იგი მეორე პიროვნება გახდა, რომელსაც კრიმინალური ბრალდება წაუყენეს.

იმისათვის, რომ ამგვარი შემთხვევები აღარ განმეორდეს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა რეფორმატორთა ჯგუფი „სოკ-ი 2000", რომელიც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველი ქალაქების შერჩევის ახალ მეთოდებს ამუშავებს, ხოლო ამ მუშა ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნულია სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ამერიკელი ქალბატონი ანიტა დეფრანცი.

როგორც ანიტა დეფრანცი აცხადებს, სამუშაო ჯგუფი თავის რეკომენდაციებს მოსკოვში 25 სექტემბერს „სოკ-ი 2000-ის" შეხვედრაზე წამოაყენებს.

ამ რეკომენდაციების მიხედვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს შესაძლოა უფლება მიეცეთ მოინახულონ ის კანდიდატი ქალაქები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ, ოღონდ მკაცრად განსაზღვრული პირობებით.

კომისიის წევრებს აეკრძალათ ვიზიტები მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული სკანდალი გამოაშკარავდა. მეტიც, კომისიის წევრები ვალდებულნი არიან ეწვიონ ქალაქს ორგანიზებულ ჯგუფებად და არა ინდივიდუალურად. ამავე დროს მათ ეკრძალებათ მოგზაურობა მეუღლეებთან თუ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული კომისიის წევრებმა უნდა მოინახულონ ყველა კანდიდატი ქალაქი თუ მხოლოდ ერთ-ერთი, რომელსაც სოკ-ი ჩათვლის საჭიროდ.

ის კანდიდატი ქალაქები, რომლებიც სხვებთან შედარებით უპირატესობას მოიპოვებენ ანუ გავლენ შემდეგ ეტაპზე, ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ კონტრაქტს, რომელიც მათი მხრიდან გარანტიებს ითვალისწინებს, რათა კომისიის წევრებზე ზეგავლენა აიცილონ თავიდან.

მათივე რჩევით უპრიანი იქნება, თუ მასპინძელი ქალაქის შერჩევაში საბოლოო გადაწყვეტილებას კვლავინდებურად სოკ-ის ყველა წევრი მიიღებს მონაწილეობას, რადგან კენჭისყრაში მონაწილეთა შემცირების წინადადებამ სოკ-ის წევრთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

სიმაღლეზე მხტომელი უკრაინელი ვარსკვლავი სერგეი ბუბკა, რომელიც, სხვათა შორის, ამ სამუშაო ჯგუფის წევრია, იმედოვნებს, რომ ამგვარი წინადადებები ბევრად გაამარტივებს კანდიდატ ქალაქთა შერჩევის პროცესს.

— ჩვენ გვსურს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველ ქალაქებს შევუქმნათ ყველანაირი პირობა, მაგრამ ისინიც უნდა აკმაყოფილებდნენ მინიმალურ მოთხოვნებსა თუ კრიტერიუმებს — ამბობს მსოფლიოს რეკორდსმენი სერგეი ბუბკა.

ანიტა დეფრანცს სჯერა, რომ ამგვარი ცვლილებები თავიდან აგვაცილებს სოლტ ლეიკ სიტის მაგვარ სკანდალებს.

გიგა გურასპაშვილი

დოპინგი

მთავარი თემა

# ნანდროლონი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა კაცია ეს ფიდელ კასტრო! ყველა კუბელი შვილად მიაჩნია და აბა თავის ჯანოსნებს ვინმეს დააჩაგვრინებს?!

## კასტრო კანადას შეთქმულებაში ადანაშაულებს

კუბის დიქტატორი ფიდელ კასტრო „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთს" სპორტშიც გადასწვდა. ახლახან კასტრომ გაფართოებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პანამერიკულ თამაშებზე, რომელიც აგვისტოში კანადის ქალაქ ვინიპეგში გაიმართა, კარიბის რესპუბლიკის ნაკრები ძალოსნობაში შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ვინიპეგში სამი კუბელი ძალოსანი — ვარგასი, დელგადო და სანჩესი, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს, ანტიდოპინგურმა კომისიამ შეჯიბრებიდან გააძევა და დისკვალიფიკაციით დასაჯა.

დასჯილთა სამშობლოში დაბრუნებისთანავე თავად კასტროს მიუღია გადაწყვეტილება, სპორტსმენებისთვის ხელახალი ანალიზი ჩაეტარებინათ, რისთვისაც ესპანეთისა და პორტუგალიის დამოუკიდებელი ექსპერტებისთვისაც კი მიუმართავთ. კასტროს განცხადებით, ყველა შემოწმებამ კანადის ლაბორატორიის „აღმოჩენები" უარყო. კანადელი ექსპერტების მიერ აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატი ნანდროლონი სისხლში კიდევ ექვსი თვის განმავლობაში უნდა დაფიქსირებულიყო.

გიორგი ხაინდრავა

## ინგლისელებმა ინგლისელი გაამართლეს

### გერმანელი ექიმი კი ამტკიცებს, ეგ თქვენი კრისტი სხვებზე უარესიაო



ლინფორდ კრისტი

ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო მძლეოსანს, ბრიტანელ ლინფორდ კრისტის, ვინაც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე 100 მეტრ დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იააფ-ის წარმომადგენლის განცხადებით, კრისტის ანალიზში, რომელიც მან 13 თებერვალს დორტმუნდის ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩააბარა, ნანდროლონის კვალს მიაგნეს, ეს პრეპარატი კი აკრძალულთა სიაშია შეტანილი.

ორშაბათ საღამოს კი გაცხადდა, რომ დიდი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ კრისტი გაამართლა და მას დისკვალიფიკაციაც მოუხსნა. „კომისიამ, რომელიც პარასკევს, 3 სექტემბერს შეიკრიბა, დაადგინა, რომ კრისტის ანალიზში მიკვლეული ნივთიერება შესაძლოა ნანდროლონი არ ყოფილიყო. მისი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს, არის მხოლოდ ეჭვი, რომ მან დოპინგი მიიღო. ამიტომაც ლინფორდ კრისტის ყველა ბრალდება და შესაბამისად, დისკვალიფიკაციაც მოეხსნა" — ნათქვამია დიდი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

თვითონ სპორტსმენი კი ძალიან კმაყოფილი იყო იმით, რომ როგორც იქნა, თავისი გაიტანა და სიმართლე დაამტკიცა. „მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი აკრძალული პრეპარატების გამოყენებისა და სასაცილოც კია იმაზე საუბარი, რომ დოპინგით გავიჭყიპე, მაშინ, როცა, ფაქტობრივად, პენსიაზე გავედი" — უთხრა ჟურნალისტებს 39 წლის მძლეოსანმა, რომელიც სარბენ ბილიკებზე სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდება და მალე სულაც წასვლას აპირებს.

თუმცა რამდენად მართალია კრისტი, ძნელი სათქმელია. მისი ანალიზის შემმოწმებელმა ექიმმა თქვა, რომ ბრიტანელის ორგანიზმში იმ ნივთიერების დონე, რომელიც ნანდროლონის მიღების შემდეგ იზრდება, დასაშვებზე 100-ჯერ მეტი იყო. სპრინტერი კი ამტკიცებდა, რომ ეს ნივთიერება მისმა ორგანიზმმა ბუნებრივად გამოიმუშავა.

„ყველა იმ შემთხვევიდან, რომელიც ნანდროლონს ეხებოდა და ჩვენ განგვიხილავს, ეს ყველაზე მძიმეა. არანაირი ეჭვი არ არსებობს — კრისტიმ ნანდოლონი მიიღო. ნებით თუ უნებლიეთ, ეს სხვა საქმეა" — გადაჭრით დაადანაშაულა მძლეოსანი დოქტორმა ვილჰელმ შანცერმა, კიოლნის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ბრიტანულ გაზეთ „სანდი ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

დავით დაიაური

# ჯერ ირვინი, ბარიკელო მერე

გაისად „ფერარი-ში“ ცვლილება მოხდება. ირლანდიელი ედი ირვინის მაგივრად წითელი ბოლიდის საჭეს ბრაზილიელი პილოტი რუბენს ბარიკელო მიუჯდება. „გული კი გვწყდება, რუბენსი რომ გვტოვებს, მაგრამ მას მთელი გუნდი წარმატებას უსურვებს. „სტიუარტში“ გატარებული სამი წლის მანძილზე მან ბევრჯერ გაგვახარა. ჩვენი პირველი პოდიუმი (1997 წელს მონაკოში ბარიკელო მეორე ადგილზე გავიდა) და პირველი პოული (წლეულს საფრანგეთში) მის ანგარიშზეა. მადლობის მეტი რა გვეთქმის“ — ამ სიტყვებით დაემშვიდობა ჯეკი სტიუარტი ბრაზილიელს „სტიუარტის“ ოფიციალურ კომუნიკეში.

და როგორი იყო მიღება?

„ფერარის“ ქალაქის — მარანელოს მოსახლეობამ, რომლებიც იტალიური გუნდის ყველაზე თავგადაკლული ტიფოზები არიან, ახალი ამბავი დიდი ალტაცებით არა, მაგრამ საკმაოდ კრგად აღიქვა. „ამჟამად ჩვენ ირვინის მსოფლიოს ჩემპიონობას ველით. მერე კი კეთილი იყოს ბარიკელოს მობრძანება“ — თქვა დონ ალბერტო ბერნანდინიმ, მარინელოს ეკლესიის მოძღვარმა, ეკლესიისა, რომელიც „წითელი ბედაურის“ ყოველი გამარჯვებისას ზარებს რეკავს. ღვთისმსახური, რომელიც ფორმულა 1-ის დიდი სპეციალისტია, დარწმუნებულია, რომ ეს საკმაოდ კარგი არჩევანია: „ფერარის“ ხელმძღვანელები არასოდეს შემცდარან პილოტის არჩევისას და დარწმუნებული ვარ, რუბენსი ბევრჯერ გაგვახარებს. თუმცა ახლა მთლიანად მომავალ რბოლებზე და ირვინზე ვართ გადართულნი. ჩემპიონობა მას ნამდვილად შეუძლია“.

მარანელოს მერს, ჯანკარლო ბერტაჩინის კი ძალიან წყდება გული, რომ ირვინი „ფერარიდან“ წავიდა: „ედი ტოვებს წითელ მანქანას და ჩვენ ვნანობთ ამას, რადგან მისი აქ ყოფნისას ძალიან ბევრი კარგი რამ მომხდარა. იგი მშვენიერი პიროვნებაა, „ფერარის“ ტიფოზები მას უდიდეს პატივს ვცემთ და ძალიანაც გვიყვარს. რაც შეეხება ბარიკელოს, ის, ჩემი აზრით, კარგი პილოტია და იმედია, ამას „ფერარის“ საჭესთანაც დაამტკიცებს“.

ბარიკელო კი იტალიურ გუნდში ნამდვილად დიდი ამბიციებით მიდის. მას არანაირად არ სურს, გუნდის მეორე პილოტი იყოს და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, გერმანელ მიხაელ შუმახერს დაეხმაროს. „ჩემს კონტრაქტში წერია, რომ ჩემი სტატუსი შუმახერისაზე დაბალი არაა. ორივეს თანაბარი უფლებები გვექნება. ყველაფერი ჩემზე და ჩემს შედეგებზე იქნება დამოკიდებული. თუ რომელიმე რბოლისას შუმახერზე 20 წამით წინ ვიქნები, სიჩქარეს არავითარ შემთხვევაში არ დავაგდებ, რომ იგი გავატარო“ — განაცხადა ბარიკელომ.

ამ ორი პილოტიდან, რომელიმეს რომ არ არჩევს, „ფერარის“ არ გაემტყუნება, რადგან იტალიურ საავტომობილო გიგანტ ფიატს, რომელიც ამ გუნდის მფლობელია, სამხრეთ ამერიკის ბაზარზე მყარად ფეხის მოკიდება სურს. ამ საქმეში კი რუბენს ბარიკელოს იმიჯს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

საკითხავი ერთიღაა. შუმახერის კონტრაქტშიც წერია იგივე, რაც ბარიკელოსაში, თუ „ფერარი“ გერმანელთანაც ახალი კონტრაქტის დადებას აპირებს?



რუბენს ბარიკელო

**გაიოზ თალაკვაძე**

# ალკოჰოლიან ფულს ბრიტანეთის სპორტში კვლავაც დააბანდებენ

## ტონი ბლერის კაბინეტი «ალკოჰოლური ბარონების» მხარეს აღმოჩნდა

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ არ მოიწონა პარლამენტში განსახილველად გავრცელებული მოხსენება, რომლის ავტორები სპორტში ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი კომპანიების სპონსორული მოღვაწეობის მკაცრ შეზღუდვას მოითხოვდნენ. ეს მოხსენება სპირტიანი სასმელების მოხმარების მოწინააღმდეგეთა ორგანიზაცია „ალკოჰოლ კენსერმა“ მოამზადა, რომელიც ბრიტანეთის მედიკოსთა ასოციაციის მხარდაჭერით სარგებლობს. მოხსენების ავტორებს მიაჩნიათ, რომ ასეთი სპონსორობა სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში, წაახალისებს ალკოჰოლის ზომაზე მეტ მიღებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

მთავრობის აზრით კი, ასეთი შეზღუდვების შემოღება ძალიან სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის როგორც კონკრეტულ გუნდებს, ისე სპორტის მთელ რიგ სახეობებს. ბრიტანეთის კულტურის, მასმედიისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, მთავრობას კარგად აქვს გათვითცნობიერებული ალკოჰოლური ინდუსტრიის განსაკუთრებული როლი სპორტის სპონსორობაში.

ნისლიან ალბიონზე სპორტში „ალკოჰოლური ბარონები“ განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც მთავრობამ მკაცრად შეზღუდა თამბაქოს მწარმოებელი კომპანიების მონაწილეობა სპორტის სპონსორობაში. ამჟამად, ექსპერტთა შეფასებით, ყოველწლიურად თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები 10 მილიონ გირვანქას აბანდებენ ბრიტანეთის სპორტში, მაშინ, როცა „ალკოჰოლური“ ფინანსები თითქმის 10-ჯერ(!) მეტია ამ თანხაზე.

„ალკოჰოლური ფულით“ ფინანსდება ბრიტანეთში ისეთი პოპულარული სპორტის სახეობები, როგორებიც ფეხბურთი და რაგბია. პრემიერლიგას დიდი ხანია, ლუდის მწარმოებელი გიგანტის, „კარლინგის“ ჩემპიონატს ეძახიან. ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ სწორედ სპორტის ამ სახეობების მესვეურებისა და კლუბების მეპატრონეთა თხოვნის საფუძველზე არ დაუჭირა მხარი მთავრობამ „ალკოჰოლ კენსერის“ წინადადებას შეზღუდვების თაობაზე.

ამ სფეროში ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკაზე საუბრისას პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ორაზროვნად შენიშნა: „არ არსებობს უსაფრთხო სიგარეტი, მაგრამ არსებობს გონივრული ბალანსის მიღწევის შესაძლებლობა ალკოჰოლის მიღებისას“.

აზრს სპორტში ალკოჰოლური სპონსორობის უარყოფითი გავლენის შესახებ უსაფუძვლო უწოდა კომპანია „პორტმენმაც“, რომელიც ცხრა უდიდესი ლუდის მწარმოებელი კომპანიის ინტერესებს გამოხატავს. „პორტმენის“ წარმომადგენელმა ჯინ კასინზმა განაცხადა, რომ ალკოჰოლის გარკვეული რაოდენობის მიღება სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის, „დალევა და დათრობა ხომ ერთი და იგივე არ არის“ — თქვა მან. კასინზმა ამ განცხადებით დაასწრო ბრიტანეთის მთავრობას. „პორტმენის“ წარმომადგენელი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა ალკოჰოლური კომპანიების სპონსორობას სპორტში არ შეზღუდავდა. მისი პროგნოზი გამართლდა.

**სიმონ მენაბდე**





REUTERS ფუენლაბრადიდან

მარსელ ვუსტი





# ეძღვნება სანრომას

„ვუელტას“ მესამე ეტაპი ლა როდას და ფუენლაბრადას შორის, რომელიც ამ ტურნირზე უგრძესი იყო (229,5კმ), ისევე როგორც მეორე ეტაპი, გერმანელი მარსელ ვუსტის გამარჯვებით დასრულდა. ექვსსაათიანი რბოლის ფინიშზე მასიური სპრინტი გაიმართა, რომელშიც ვუსტმა ჯოვანი ლომბარდისა და სერგეი სმეტანინს აჯობა. პრემიალური წამების ხარჯზე „ფესტინას“ წევრი საერთო ჩათვლასაც სათავეში მოექცა და დღეს სტარტზე ლიდერის ოქროსფერ მაისურში გამოწყობილიც დადგება. 32 წლის ვუსტისთვის ეს „ვუელტაზე“ მოგებული მეათე ეტაპია, აი, საერთო ჩათვლაში კი იგი პირველად დაწინაურდა. წინა დღის ლიდერი ფრანგი ჟაკი დიურანი კი პელოტონზე კარგა გვიან მიადგა ფუენლაბრადას. იგი ნამდვილად ძალიან ცუდ ფორმაშია, რადგან დღის ერთადერთ ალმართზე, რომელიც საკმაოდ ადვილი დასაძლევი იყო, გვარიანადჩამორჩა დანარჩენებს.

ეტაპის მთავარი იერიში ესპანელმა გერმან ნიეტო ფერნანდესმა განახორციელა, რომელმაც 190 კმ იქროლა მარტომ და მხოლოდ ბოლო 7 კმ-ზე დათმო პოზიციები. ამ ავანტიურას ნიეტომ იმდენი ძალა და ენერგია შეალია, რომ არაქათგამოცლილმა პელოტონთან რამდენიმე წუთი წააგო.

რატომ შეუტია ნიეტომ? ესპანელს სამი მიზეზი მაინც ჰქონდა, შეუძლებლის გაკეთება მოეწადინებინა. პირველი — ფინიში ქალაქ ფუენლაბრადაში იყო, ის კი ამავე სახელწოდების გუნდის წევრია და საკუთარ კედლებში პირველობა ნაღდად დიდად გაახარებდა; მეორე — შარშანდელ „ვუელტაზე“ ბოლო ადგილზე გასულ ნიეტოს „ფუენლაბრადამ“ შეიძლება გაისად კონტრაქტი აღარ გაუგრძელოს, თუ ის შედეგებს არ გააუმჯობესებს; მესამე და, ალბათ, ყველაზე მთავარი — ეტაპის დაწყების წინ, ივნისში რბოლისას დალუპული მისი თანაგუნდელის, 22 წლის მანუელ სანრომას მამა „ფუენლაბრადას“ ყველა წევრს მიესალმა, გადაეხვია და შვილის ხსოვნისათვის გამარჯვება სთხოვა.

ნიეტომაც ბევრი იწვალა, ერთი ხანობა 50კმ/სთ სიჩქარითაც მიდიოდა და 23 წუთიან უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბოლომდე ძალები არ ეყო...

**გაიოზ თალაკვაძე**

| მესამე ეტაპი, ლა როდა — ფუენლაბრადა, 229,5 კმ |
|---|
| 1. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — 6სთ 02წთ 49წმ |
| 2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი) |
| 3. სერგეი სმეტანინი (რუსეთი, ვიტალიციო) |
| 4. სერვაის კნავენი (ჰოლანდია, ტვმ) |
| 5. იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) — ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. მარსელ ვუსტი — 15სთ 33წთ 51წმ |
| 2. რობი მაკივენი (ავსტრალია, რაბობანკი) — +9წმ |
| 3. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, ლამპრე) — +10 |
| 4. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +15 |
| 5. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +16 |

# ლორან ჟალაბერი: ფრანგულ გუნდში აღარ დავბრუნდები!



ლორან ჟალაბერი

დაახლოებით ერთი თვის წინ სერიოზული ტრავმა მიიღო „კასტილიისა და ლეონის ტურზე“, მაგრამ ცოტა ხანში გამოჯანმრთელდა და „ვუელტაშიც“ მონაწილეობს. ფრანგ ლორან ჟალაბერს სურდა, თავის ონსელ თანაგუნდელებთან ერთად ყოფილიყო ესპანეთის გზებზე. მათ ცოტათი მეც მოვეხმარებიო, თქვა მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ საფეხურზე მდგომმა მრბოლმა. ახლა გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც ფრანგულმა „ლე პარიზიენმა“ გამოაქვეყნა:

**— ასე მალე როგორ გამოჯანმრთელდით?**

— ამის უდიდესი სურვილი მქონდა. მოტეხილობების ტკივილები არაერთხელ ამიტანია და ახლაც კარგად გავუძელი, თუმცა ჩემი დამტვრევის შემდეგ ერთ კვირაში სახის დამბლის ნიშნები რომ აღმომაჩნდა, გვარიანი შიში ვჭამე. ამის მერე ერთ კვირას კიდევ ვმკურნალობდი და ველოსიპედზე მხოლოდ აგვისტოს მეორე ნახევარში დავჯექი. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მტკიცე ხასიათი მაქვს და თავსაც იოლად მოვერიე.

**— ხომ არ აჯობებდა, „ვუელტაში“ გამოსვლის ნაცვლად ჯანმრთელობისთვის მიგეხედათ?**

— ველოსიპედი უკვე ძალიან მაკლდა და აქ გამოსვლაც უდიდესი სტიმული იყო ჩემთვის. ამისთვის ყველაფერი გავაკეთე, რადგან რბოლა უპირველეს ყოვლისა, ჩემთვისაა აუცილებელი. ამიტომ არანაირ მილოცვებს არ ველი შეჯიბრებებზე დაბრუნებისათვის. საავადმყოფოში მივხვდი, რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შემოსავლების წყარო ველოსიპედია. გამარჯვებების წყურვილი მკლავს, მინდა, სეზონი წარმატებით დავასრულო. ამ შემოდგომაზე კიდევ ბევრი რამ დარჩა მოსაგები, მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატი...

**— ...მაგრამ თქვენ ხომ საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციამ ნაკრებში არ მიგიწვიათ?!**

— ძალიან მინდა, 10 ოქტომბერს ვერონაში ვიყო. ფედერაცია თუ რაიმე ბარიერებს მომიწყობს, ყოველნაირად ვეცდები მათ გადალახვას.

**— „ვუელტაზე“ რისი იმედი გაქვთ?**

— აქ იმიტომ გამოვდივარ, რომ ტურნირში მონაწილეობის გემო გავიხსენო და ფორმა აღვიდგინო. საბოლოო გამარჯვებაზე არც კი ვოცნებობ. რითიც შემეძლება, „ონსეს“ ლიდერ აბრაამ ოლანოს დავეხმარები. თუმცა ბოლო ეტაპებიდან ერთ-ერთის მოგება ნამდვილად ძლიერ მინდა.

**— ხომ არ ნანობთ წლევანდელ „ტურ დე ფრანსში“ რომ არ გამოხვედით?**

— დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს არასოდეს ვნანობ. „ტურის“ დაწყებამდე ძალიან ბევრ რბოლაში გამოვედი და საკმაოდ კარგი შედეგებიც მქონდა. საჭირო იყო, ცოტა ხნით დასასვენებლადაც გამომენახა დრო. წინასწარმეტყველი უნდა ყოფილიყავი, მიხვედრილიყავი, რომ „ტურში“ წლეულს ასე ცოტა ძლიერი მრბოლი გამოვიდოდა და მისი მოგება სხვა წლებთან შედარებით გაცილებით იოლი იქნებოდა.

**— ამბობენ, გაისად თქვენი ძმა ნიკოლა თქვენი თანაგუნდელი გახდებაო.**

— მართალია. ის „ონსესთან“ მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რადგან ჯერჯერობით უცნობია, 2000 წლის მერე გუნდს იგივე სპონსორი ეყოლება, თუ არა.

**— თუ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მომავალში რომელიმე ფრანგული გუნდის ან ნაკრების შემადგენლობაში გიხილოთ?**

— არასოდეს დავბრუნდები ფრანგულ გუნდში! ამ გადაწყვეტილებას არ შევცვლი, რადგან ფრანგული ველოსპორტის წრეებში ძალიან ცუდად მეპყრობიან, რაც ნამდვილად არ დამიმსახურებია. საბედნიეროდ, ვიცი, რომ ჩვეულებრივ, რიგით ფრანგებს მოვწონვარ. ესპანეთშიც ასევეა. „ვუელტაზე“ გმირივით მიმიღეს. ხალხი ჩერდება და მეკითხება, როგორ ვარ ტრავმების შემდეგ. სწორედ ეს მაძლევს რბოლისთვის საჭირო ძალებს.

**თარგმნა გაგი გურულმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## US OPEN

### ქალები

მონიკა სელეში (4, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:4, 6:3; მარი პირსი (5, საფრანგეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 7:6 (8:6); ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ჟული ალარი (9, საფრანგეთი) 6:1, 6:2; სერენა უილიამსი (7, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (16, ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:2; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:2, 6:0

### კაცები

სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) —ტომი ჰაასი (14, გერმანია) 6:4, 7:5, 6:3; გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:6 (7:4), ტრავმა



REUTERS ნიუ იორკიდან

მარი პირსი

## ამხანაგური მატჩი

### ბელგია 4:0 მაროკო

1:0 სტალენსი (93), 2:0 ვალემი (18), 3:0 ე. მპენზა (21), 4:0 შტრუპარი (87)

ბელგია: დე ვლიეგერი, დეფლანდრი (ბროკენი 46), პეეტერსი, სტალენსი (დე ბუკი 46, ჰოფკენსი 56), ვან კერკჰოვენი (ჰენდრიკსი 46), ვერჰეიენი (მ. მპენზა 73), ვანდერჰაეგე, ვალემი, გოორი, შტრუპარი, ე. მპენზა

მაროკო: ფუამი, საბერი, ელ ჰადრიუი (აბრამი 46), ნაიბეტი, ელ ხატაბი (როსი 46), კაჩლული (ზერუალი 46), ჩიბა, ჰაჯი, ჩიპო, ტაჰარი, ჰადა (ანზინი 75)

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი

VIII ტური

გენგამი — ლუანი 2:2; ლავალი — შატორუ 4:0; ნიმი — აიაჩო 1:0; ნიცა — კრეტეი 2:0; ვალანსი — კანი 0:0; ლორიანი — კაენი 1:2; გენიონი — ლე მანი 2:1; სოშო — ნიორი 1:0; ლილი — ვასკეალი 1:0; ამიენი — ტულუზი 1:1

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh3 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. მe3

## საღამო მაიამიში

ბეისბოლში თამაშის მსვლელობა მნიშვნელოვანი რამ არის, მაგრამ თამაში არაფერი იქნება, წინ თუ ცერემონიალები არ უძღვის. აი, მაიამის „პრო პლეიერზეც", იქაურ მარლინთა და სანდიეგოელ პადრეთა მატჩის წინ ბეისბოლის დიდების დარბაზის სამ წევრს, ხუან მარიკალს, ლუის აპარისიონსა და ორლანდო სეპედას მიაგებდნენ პატივს. სამივე ვეტერანი ლატინოსია და ღონისძიებასაც ძალიან ლატინოსური რამ ერქვა — „ესპანური მემკვიდრეობის საღამო".



REUTERS მაიამიდან



REUTERS ჰონგკონგიდან



## დიდი რბოლა

ჰონ კონგის ანინდელი ტუნგ ჩე ჰუა საგანგებო ჩაქუჩსა ჰკრავს ვერცხლის სინს, რითაც განთქმულ შატინის რბოლების დაწყებას აუწყებს ქვეყნიერებას. პირიქითა აზიის უმნიშვნელოვანესი საცხენოსნო შეჯიბრი საპრიზო ფონდით მესამეა მსოფლიოში და ინგლისურ ყოფას ნაზიარებ ჰონკონგელთათვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. პირველსავე დღეს შატინის რბოლას 53 ათასი კაცი დაესწრო.

## ნავთა ჭიდილი

*თურქეთში, ბოდრუმის ახალ „კლას ერთის" ოფშორული ძრავიანი ნავების შეჯიბრი მიმდინარეობს, რომელსაც აევინის დიდ პრიზს უწოდებენ. წინა პლანზე იტალიურ ნავ „ჰიატს" ხედავთ.*

*მისი ეკიპაჟის წევრები ელდორადო პოლი და ლაიტ ფარაონი ოფლსა ღვრიან, რათა წინ გაჭრილ საამიროელ არაბთა ნავს „ვიქტორია 7"-ს წამოეწიონ. არაბთა გუნდის წევრები კი ალი ნასარი და რენდი სქიზმი არიან.*



REUTERS ბოდრუმიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეჩელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli